


განსაკუთრებული
პროცესული
განმარტარება
ეროვნული მნიშვნელობის

ჰონ დიუი

სკოლა და
სოციალური ცხოვრება

ტავაძე და
კუჩუნიძე

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2013

ჰონ დიუი

სკოლა და საზოგადოება
ბავშვი და კურიკულუმი

JOHN DEWEY

The School and Society
The Child and the Curriculum

წიგნი ითარგმნა საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში (პროექტი „ილია ჭავჭავაძე“), საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) შუამდგომლობით, იაბონიის მთავრობის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის ეგიდით, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკის) მიერ გამოყოფილი გრანტის (PHRD Grant No. TF057515) სახსრებით.

მთარგმნელი

მანანა კვესელავა

რედაქტორები

მარინა კვესელავა

ნათია ნაცვლიშვილი

დიზაინი

ბესიკ დანელია

© 2013, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
ყველა უფლება დაცულია.
წიგნის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის აკრძალულია.

© Dover Publications, Inc.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

დოვერის ეს გამოცემა, რომელიც პირველად 2001 წელს გამოქვეყნდა, არის 1915 წელს გამოცემული „სკოლა და საზოგადოებისა“ (ჩიკაგოს უნივერსიტეტი, ილინოისი) და „ბავშვი და კურიკულუმის“ გაერთიანებული ვერსია. „ბავშვი და კურიკულუმი“ 1902 წელს ჩიკაგო პრესის (ჩიკაგოს უნივერსიტეტი, ილინოისი) მიერ გამოიცა.

ვუძღვნი ქალბატონ ემონს ბლეინს,
რომლის ინტერესმაც საგანმანათლებლო
რეფორმისადმი დამაწერინა ეს წიგნი

შინაურსი

სკოლა და საზოგადოება	11
I. სკოლა და სოციალური პროგრესი	19
II. სკოლა და ბავშვის ცხოვრება	34
III. დანაკარგები განათლებაში	53
IV. დაწყებითი განათლების ფსიქოლოგია	72
V. ფროებელის განათლების პრინციპები	85
VI. საქმიანობის ფსიქოლოგია	95
VII. ყურადღების განვითარება	100
VIII. ისტორიის მიზანი დაწყებით განათლებაში	107
განვითარება და კურიკულუმი	113

იღუსტრუცვიძის სია

გამოქვებული და ხეები ნახატზე	36
ტყე ნახატზე	38
ხელით დართვა ნახატზე	40
მრთველი გოგონა ნახატზე	44
სქემა I	50
სქემა II	54
სქემა III	59
სქემა IV	60

სკოლა და სოციალიზაცია

გამომცემლის შენიშვნა*

ამ წიგნის პირველი სამი თავი ბატონმა დიუიმ მშობლებსა და საუნივერსიტეტო დაწყებითი სკოლით დაინტერესებულ სხვა პირებს 1899 წლის აპრილში ლექციების სახით წაუკითხა, შემდეგ, სტენოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით, ნაწილობრივ აღადგინა, ხოლო უმნიშვნელო ცვლილებები და პრესისათვის საჭირო მცირე ადაპტაცია მის გარეშე გაკეთდა. ამიტომ ლექციებმა როგორც უშუალოა, ასევე, ზეპირი მეტყველების ძალა შეინარჩუნა. იმის გამო, რომ მათში არასრულად არის გადმოცემული დაწყებითი სკოლის მუშაობა, ბატონმა დიუიმ მათ დამატებითი მოსაზრებები დაურთო.

* გამომცემლის შენიშვნა დართული ჰქონდა „სკოლა და საზოგადოების“ პირველ გამოცემას და შემდეგ ამ ნაშრომის ყველა მომდევნო გამოცემაში, 1915 წლის გამოცემის ჩათვლით, შენარჩუნდა.

ავტორის შენიშვნა

მეორე გამოცემა იმის გახსენების შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს პატარა წიგნი ბევრი ადამიანის აზრების შეჯერებისა და მათი თანადგომის შედეგია. ქალბატონი ემა ბლენისადმი ჩემი განსაკუთრებული მადლობა ნაწილობრივ უკვე გამოვთქვი. ჩემი მეგობრები, ბატონი და ქალბატონი ჰერბერტ მიდები დაინტერესდნენ და დეტალებისადმი დაუღალავი ყურადღებითა და არტისტული გემოვნებით, ჩემ გარეშე დახვეწეს და შეეცალეს სასაუბრო გამოთქმები. ასე მომზადდა ეს სამი ლექცია დასაბეჭდად. მოგვიანებით ყველამ ერთად დავინახეთ შესანიშნავი შედეგი. ყველას ვუსურვებდი ასეთი მეგობრების ყოლას.

მეტად გრძელია იმ მეგობრების სია, რომლებმაც დრო და მონდომება არ დაიშურეს, რათა შეექმნათ სკოლა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორის შთაგონების წყაროდ იქცა. მე დარწმუნებული ვარ, ისინი პირველები აღიარებენ ქალბატონი ჩარლზ რ. კრეინისა და ქალბატონი უილიამ რ. ლინის სახელების აღნიშვნის განსაკუთრებულ აუცილებლობას.

თვითონ სკოლა, თავისი საგანმანათლებლო საქმიანობით, ერთობლივი მუშაობის შედეგია. მის ჩამოყალიბებაში ბევრი ადამიანია ჩართული. სკოლის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ჩემი მეუღლის ნათელი და გამოცდილი ინტელექტია ჩაქსოვილი. მასწავლებლების სიბრძნის, ტაქტისა და ერთგულების წყალობით, სკოლის თავდაპირველმა ამორფულმა გეგმებმა გამოკვეთილი და ცხოვრებისეული შინაარსი შეიძინა. ამ წიგნში ჩამოყალიბებული იდეები მრავალი ადამიანის მრავალფეროვანი აზრებისა და საქმიანობის შეჯერების შედეგია და ბავშვის თვალსაწიერის გაფართოებას ემსახურება.

ავტორის უმნიშვნა მეორე გამოცემისათვის

წინამდებარე გამოცემის პირველ ნაწილს უმნიშვნელოდ შესწორებული სამი ლექცია შეადგენს. მეორე ნაწილში კი პირველად ქვეყნდება ავტორის მიერ მცირედ შესწორებული პუბლიკაციები – ჩანაწერები დაწყებითი სკოლის შესახებ.

ავტორი კმაყოფილია იმით, რომ განათლების შესახებ ამ წიგნში გადმოცემული შეხედულებები დღეს ისეთი უცხო აღარ არის, როგორც თხუთმეტი წლის წინ იყო და იმ ექსპერიმენტმა, რომლის შედეგიც ეს წიგნია, განათლებაში ცვლილებებზე გარკვეული გავლენა მოახდინა.

ჭ. დ.

*ნიუ-იორკი
ივლისი,
1915*

I. სკოლა და სოციალური პროგრესი

ჩვენ განწყობილნი ვართ, რომ სკოლა პირადი პოზიციიდან აღვიქვამთ, როგორც ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ან მასწავლებელსა და მშობელს შორის. ყველაზე მეტად ბავშვის წინსვლა გვანტერესებს, მისი ნორმალური ფიზიკური განვითარება, წერის, კითხვისა და თვლის უნარის გაუმჯობესება, ცოდნის გაღრმავება ისტორიასა და გეოგრაფიაში, მანერების, სისხარტის, მოწესრიგებულობისა და სიბეჯითის ჩვევების გაუმჯობესება – ასეთი სტანდარტებით ვაფასებთ სკოლის მუშაობას. ეს ასეა, თუმცა საჭიროა ამ შეხედულებების ჩამონათვალის გაფართოება. საზოგადოებას თავისი შვილებისათვის იგივე უნდა უნდოდეს, რაც ყველაზე კარგ მშობელს საკუთარი შვილისათვის. სკოლის ყველა სხვა იდეალი ვიწროა და სულაც არ არის მომხიბლავი. სხვა მიმართულებით სიარული ჩვენს დემოკრატიას ანგრევს. ყველაფერი, რასაც საზოგადოებამ მიაღწია, მის მომავალ წევრებს სკოლის საშუალებით გადაეცემა. მას იმედი აქვს, თავის საუკეთესო სურვილებს შთამომავლობისათვის მეტი შესაძლებლობის გახსნის გზით აისრულებს. აქ ინდივიდუალიზმი და სოციალიზმი ურთიერთშეთანხმებულია. საზოგადოება თავის თავთან მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართალი, თუ ის მართალია ყველა იმ ინდივიდის აღზრდის საკითხში, რომელიც ამ საზოგადოებას შეადგენს. თვითმართვის პროცესში სკოლაზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, რადგან, როგორც ჰორას მანმა თქვა: „იქ, სადაც რაიმე იზრდება, ერთი გამომგონებელი ათას რეფორმატორს უდრის“. (Where anything is growing, one former is worth a thousand re-formers)

განათლების სისტემაში ახალი მიმდინარეობის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართო, ანუ სოციალური შეხედულების ქონა. სხვა შემთხვევაში, ცვლილებები სკოლის მართვასა და ტრა-

დიციებში დამოკიდებული იქნება კონკრეტული მასწავლებლების თვითნებურ გადაწყვეტილებებზე, დროებით ახირებებსა და, საუკეთესო შემთხვევაში, გარკვეული დეტალების უმნიშვნელო გაუმჯობესებაზე; ჩვეულებრივ, ამ სიბრტყეში განიხილება სასკოლო ცვლილებები. ეს ისევეა რაციონალური, როგორც ლოკომოტივისა და ტელეგრაფის პირადი მოხმარების მექანიზმებად მიჩნევა. განათლების მეთოდსა და ცოდნის სტანდარტებში მიმდინარე ცვლილებები სახეცვლილი სოციალური სიტუაციის შედეგია, ისევე როგორც მცდელობა, ვუპასუხოთ იმ ახალი საზოგადოების საჭიროებებს, რომელიც ახლა ყალიბდება. ასეთივე ძვრებია ინდუსტრიასა და კომერციაში.

ამის შემდეგ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ მცდელობას: უხეშად რომ ვთქვათ, „ახალი განათლება“ საზოგადოებაში მიმდინარე უფრო დიდი ცვლილებების ფონზე განვიხილოთ. შევძლებთ კი, მის ზოგად მოვლენათა რიგში ჩაყენებას? თუ შევძლებთ, მაშინ მას იზოლირებული (განკერძოებული) ხასიათი აღარ ექნება. მთელი სოციალური ევოლუციის ნაწილი გახდება, მისი ზოგადი მახასიათებლები სავალდებულო იქნება, და არა გამჭრიახი გონების მქონე პედაგოგებზე დამოკიდებული. მოდით, ახლა დავსვათ კითხვა სოციალური მიმდინარეობის მთავარი ასპექტების შესახებ. შემდეგ მივუბრუნდეთ სკოლას იმისათვის, რომ გავიგოთ, ხარჯავს თუ არა ის ძალისხმევას ამ მოძრაობაში ჩართვისათვის. იმის გამო, რომ ამ საკითხის სრულად განხილვა შეუძლებელია, ძირითადად თანამედროვე სასკოლო მოძრაობის ერთი ტიპური საკითხით შემოვიფარგლები, რომელსაც ხელსაქმე ჰქვია, იმ იმედით, რომ ჩვენ მზად ვიქნებით, ეს საკითხი სხვა საგანმანათლებლო სიახლეებთან ერთად განვიხილოთ. თუ შეცვლილ სოციალურ პირობებთან მისი კავშირი დადგინდება, ალბათ არ იქნება საჭირო, მოვიბოდიშო იმის გამო, რომ სოციალური ცვლილებების საკითხზე დეტალურად არ შევჩერდები. ის, რასაც მე შევეხები, იმდენად ნათელია, რომ, როგორც იტყვიან, ადამიანს სირბილის დროსაც კი შეუძლია წაკითხვა. პირველი ცვლილება, რომელიც გვახსენდება და რომელიც ჩრდილავს და აკონტროლებს კიდევ სხვა დანარჩენს, არის ცვლილება ინდუსტრიაში – მეცნიერების ჩართვა, რასაც შედეგად მოჰყვა დიდი აღმოჩენები (მიგნებები) ბუნების ძალების ფართო, მაგრამ იაფად გამოყენების სფეროში: მსოფლიო ბაზრის, როგორც წარმოების მიზნის, მოსამარაგებლად უზარმაზარი საწარმოო ცენტრების, ურთიერთობისა და განაწილების იაფი და სწრაფი საშუალებების ზრდა. ყველა ეს ცვლილება ერთ საუკუნეზე მეტს არ ითვლის. ბევრი მისი მნიშვნელოვანი ასპექტის ასაკი დღეს მცხოვრები ადამიანების ასაკს ემთხვევა. ძნელი დასაჯერებელია, რომ რევოლუციური ცვლილება ასე სწრაფად, მრავალმხრივად და სრულად მოხდა.

ამ რევოლუციის შედეგად, დედამიწის სახე ფიზიკურადაც კი შეიცვალა. მან პოლიტიკურ საზღვრებს ისე აუარა გვერდი, თითქოს ისინი მხოლოდ ხაზები იყო რუკაზე; მოსახლეობამ დედამიწის უკიდურესი წერტილებიდან დიდ ქალაქებში მოიყარა თავი; ცხოვრების წესი გამოაგნებლად სწრაფად და საფუძვლიანად შეიცვალა; წახალისდა ბუნების საიდუმლოებების კვლევა და მათი გამოყენება არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ კომერციული მიზნებისთვისაც აქტუალური გახდა. ჩვენი მორალური და რელიგიური შეხედულებები და ინტერესებიც კი, რომლებიც უკიდურესად კონსერვატიულია, რადგან ჩვენი ბუნების სიღრმეშია ჩამალული, აშკარა ცვლილებას განიცდის. შეუძლებელია, ამ რევოლუციას მხოლოდ ფორმალური და ზერეფე გავლენა მოეხდინა განათლებაზე.

სამრეწველო სისტემის უკან დგას საოჯახო და სამეზობლო სისტემა. ვინ არის ჩვენს შორის ისეთი, რომელსაც ერთი, ორი ან სამი თაობით უკან დაბრუნება სჭირდება იმ დროის გასახსენებლად, როდესაც ოჯახი პრაქტიკულად იყო ცენტრი, სადაც ვლინდებოდა, ან რომლის გარშემოც თავს იყრიდა, ინდუსტრიული საქმიანობის ყველა დამახასიათებელი ფორმა. ტანსაცმელი, რომელსაც ატარებდნენ, ძირითადად ოჯახში მზადდებოდა. ოჯახის წევრები ერთად უვლიდნენ ცხვარს, ჩეჩავდნენ და ართავდნენ მატყლს, ქსოვდნენ დაზგაზე. ისინი ვერ გაანათებდნენ სახლს ღილაკზე ხელის დაჭერით, ამიტომ განათების პროცესი მათთვის ხანგრძლივი და რთული იყო: კლავდნენ ცხოველს და მის ცხიმს ფითლისა და სანთლის დასამზადებლად იყენებდნენ. ფქვილი, ცხიმი, საკვები, საშენი მასალა, საოჯახო ავეჯი, მეტალის ნივთებიც კი – ლურსმნები, ანჯამები, ჩაქუჩები – უახლოეს სამეზობლოში, სახელოსნოებში მზადდებოდა, რომლებიც დასათვალისწინებლად და მეზობლების თავშესაყრელად მუდამ ღია იყო. მთელი ინდუსტრიული პროცესი, დაწყებული ფერმეებში ნედლეულის წარმოებიდან და დამთავრებული საბოლოო პროდუქტით, ღიად მიმდინარეობდა. საოჯახო საქმეში ოჯახის თითოეული წევრი მონაწილეობდა. როდესაც ბავშვები სათანადო ასაკს მიაღწევდნენ, ზოგიერთი პროცესის საიდუმლოს თანდათან აზიარებდნენ.

ასეთ ცხოვრებაში აშკარად ჩანს დისციპლინისა და ხასიათის შენების ფაქტორები. ამგვარად მიმდინარეობდა წესრიგისა და შრომისმოყვარეობის ჩვევების, პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის ჩამოყალიბება იმისათვის, რომ შეექმნათ, ეწარმოებინათ რაიმე. ყოველთვის იყო რაღაც, რაც აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო და ოჯახის ყველა წევრის ჩართვასა და საკუთარი წილი საქმის ერთგულად და სხვასთან შეთანხმებულად შესრულებას მოითხოვდა. და ისევ შეუძლებელია, ვერ დავინახოთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა განათლებისთვის ბუნებასთან მჭიდრო და უშუალო ურთიერთობას, რეალური საგნე-

ბისა და მასალების, მათი დამუშავების პროცესების შესწავლასა და სოციალური საჭიროებებისათვის გამოყენების ცოდნას.

ყოველივე ამით კი დაკვირვების უნარი, კონსტრუქციული წარმოსახვის, ლოგიკური აზროვნებისა და რეალობის გრძნობა, რომელიც სინამდვილესთან უშუალო შეხების გზით მიიღებოდა, მუდმივად ყალიბდებოდა. ოჯახში ქსოვისა და დართვის, ხის დამუშავებისა და ხორბლის დაფქვის, სპილენძის სახელოსნოსა და სამჭედლოს აღმზრდელიობითი მნიშვნელობა მუდამ აქტუალური იყო.

ვერანაირი თვალსაჩინოებები, რომლებსაც გაკვეთილზე ინფორმაციისათვის იყენებენ, ვერ შეცვლის ფერმასა და ბაღში მცენარეებსა და ცხოველებს შორის ცხოვრების, მოვლის გზით მათი გაცნობის მნიშვნელობას. გრძნობის ორგანოების გავარჯიშება სკოლაში, მხოლოდ ვარჯიშისათვის შემოღებული, ვერ შეედრება გრძნობიერი ცხოვრების სისრულესა და სიმკვეთრეს, რომელიც ყოველდღიური, ნაცნობი საქმიანობის სიმყუდროვესა და ინტერესს მოაქვს. დავალების შესრულებით, შეიძლება ვერბალური მეხსიერება გავივარჯიშოთ, მეცნიერებისა და მათემატიკის გაკვეთილებით შეიძლება მსჯელობის უნარი გამოვუმუშაოთ, მაგრამ ეს ხომ ბუნდოვანი თვისებებია ყურადღების გავარჯიშებასა და საკუთარი აზრის ქონასთან შედარებით. ამ თვისებების მიღწევა კი შეიძლება საქმის კეთების რეალური მოტივის არსებობით წარსულში და ამ საქმის რეალური შედეგის მიღებით მომავალში. დღეს წარმოების კონცენტრაციამ და შრომის განაწილებამ საოჯახო და სამეზობლო საქმიანობა გამორიცხა, ყოველ შემთხვევაში, საგანმანათლებლო მიზნებიდან. მაგრამ, თუ ჩვენ ვეღოთ, რომ უბრალოდ ტირილითა და შეგონებით დავიბრუნებთ ძველ დროს, როდესაც ბავშვები მოკრძალებულები, მოწიწებულები და უსიტყვოდ მორჩილები იყვნენ, ეს უშედეგო იქნება. საზოგადოებაში ძირითადი პირობები შეიცვალა და განათლებაშიც მხოლოდ ასეთივე ცვლილებები შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი. უნდა ვაღიაროთ ის, რასაც ამის სანაცვლოდ ვიღებთ — ტოლერანტობა, სოციალური შეფასების გაფართოება, ადამიანის ბუნების უკეთ გაგება, სოციალური სიტუაციების მახასიათებლების ამოცნობისა და ინტერპრეტირების მკვეთრი ცვლილება, მეტი ყურადღება განსხვავებული პიროვნებების ადაპტაციისადმი, კავშირი მეტ კომერციულ საქმიანობასთან. ეს შეხედულებები დღევანდელი ქალაქელი ბავშვისათვის ბევრს ნიშნავს. თუმცა მაინც არსებობს რეალური პრობლემა: როგორ შევინარჩუნებთ ამ უპირატესობებს და თან შევიტანთ სკოლაში იმას, რაც ცხოვრების მეორე მხარეს წარმოადგენს - საქმიანობებს, რომლებიც პირად პასუხისმგებლობას მოითხოვს და ბავშვს ცხოვრების ფიზიკური რეალობის გათვალისწინებით ამზადებს.

როდესაც ჩვენ ვუბრუნდებით სკოლას, ვხედავთ, რომ დღეს ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი ტენდენცია ხელსაქმის, ხელობისა და საოჯახო საქმის – კერვა და კერძის მომზადება – შემოტანაა.

ეს არ მომხდარა „გამიზნულად“, იმის სრული გაცნობიერებით, რომ ახლა სკოლამ აღზრდის ის ფაქტორი უნდა შემოიღოს, რომელიც მანამდე მხოლოდ სახლის პირობებში გამოიყენებოდა, არამედ ინსტინქტურად, ექსპერიმენტის სახით, იმისათვის რომ დადგინდეს, არის თუ არა ეს მოსწავლეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აძლევს თუ არა მათ იმას, რასაც სხვა გზით ვერ მიიღებდნენ. და მაინც, ამ ფაქტორის შემოტანის საჭიროება იმდენად მცირედაა გაცნობიერებული, რომ საქმე ხშირად უგულოდ, დაბნეულად და უაზროდ კეთდება. მიზეზები, რომლებითაც ამას ამართლებენ, შეუსაბამო ან ზოგჯერ, უბრალოდ, არასწორია.

თუ ჩვენ იმ ადამიანებს გამოვკითხავთ, ვინც სასკოლო სისტემაში ამ საქმის შეტანას უჭერს მხარს, ალბათ მივხვდებით, რომ მათთვისაც კი მთავარი მიზეზი ამ საქმისადმი ბავშვების სპონტანური ინტერესისა და ყურადღების მიპყრობაა. ბავშვები ყურადღებიანები, აქტიური ხდებიან და მხოლოდ ინფორმაციის მიმღებნი აღარ არიან; ისინი ხდებიან უფრო უნარიანი და, აქედან გამომდინარე, უფრო გამოსადეგნი ოჯახში. ეს სამუშაო ამზადებს მათ მომავალი ცხოვრების პრაქტიკული მოვალეობებისათვის, გოგონებს ოჯახის გაძღოლისათვის, და არა მხოლოდ მზარეულობისათვის ან თერძობისათვის; ხოლო ბიჭებს (თუ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა შესაბამისად მოეწყობოდა, როგორც პროფესიული სკოლები) – მომავალი პროფესიებისათვის. მე სულაც არ ვაკნინებ ამ მიზეზების მნიშვნელობას. იმას, თუ რაზე მეტყველებს ბავშვების შეცვლილი დამოკიდებულება, მომდევნო შეხვედრაზე შევხებით, როდესაც პირდაპირ სკოლისა და ბავშვის ურთიერთობაზე ვილაპარაკებ, მაგრამ მთლიანობაში ეს შეხედულება გაუმართლებლად შეზღუდულია. ხეზე და მეტალზე მუშაობა, ქსოვა, კერვა და საჭმლის მომზადება უნდა გვესმოდეს, როგორც ცხოვრებისა და სწავლის მეთოდები, და არა როგორც საკუთრივ სწავლა.

უნდა გვესმოდეს მათი სოციალური მნიშვნელობა და ვიფიქროთ მათზე, როგორც პროცესებზე, რომლებიც საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს, როგორც ქმედებებზე, რომლებსაც ბავშვებისთვის ოჯახში მოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი მთავარი აუცილებლობა, და როგორც იმ საშუალებებზე, რომლებსაც ადამიანები მზარდი გავებით უნდა შეხვდნენ. მოკლედ, როგორც საშუალებებზე, რომლებიც სკოლას აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზად გადააქცევს, და არა იმ ადგილად, სადაც უბრალოდ გაკვეთილები უნდა ისწავლო.

საზოგადოება არის ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ერთად იმიტომ არიან, რომ ერთი მიმართულებით მუშაობენ და საერთო მიზნებს ისახავენ. საერთო საჭიროებები და მიზნები კი აზრების მეტ ურთიერთგაცვლასა და ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მოითხოვს. საერთო და პროდუქტიული საქმიანობის ელემენტის არარსებობა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ თანამედროვე სკოლა ნამდვილ სოციალურ ერთეულად ჩამოყალიბებას ვერ ახერხებს. სპორტული თამაშების დროს მოედანზე სოციალური ორგანიზება სპონტანური და გარდაუვალია. სპეციალური მოქმედებაა საჭირო იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს შრომის ბუნებრივი განაწილება, ლიდერებისა და მიმდევრების სელექცია, ურთიერთთანამშრომლობა და კონკურენცია. ასეთი სურვილები საკლასო ოთახში სოციალური ორგანიზაციის მოტივი და დუღაბია. რაც შეეხება ეთიკურ მხარეს, თანამედროვე სკოლის მთავარი სისუსტე ისაა, რომ ის ცდილობს, სოციალური სისტემის მომავალი წევრები ისეთ გარემოში მოამზადოს, სადაც სოციალური სულის შექმნისათვის პირობები ნაკლებად არსებობს.

ძნელია, სიტყვებით აღწერო განსხვავება, რომელიც ჩნდება, როდესაც საქმიანობა სასკოლო ცხოვრების გამოკვეთილ ნაწილად იქცევა - განსხვავებულია მოტივი, სული და ატმოსფერო. როდესაც შედიხარ სამზარეულოში, სადაც ბავშვების ჯგუფი აქტიურად არის ჩართული საქმლის მომზადებაში, ფსიქოლოგიური განსხვავება, ცვლილება მეტ-ნაკლები პასიურობიდან, ინერტულობიდან და თავშეკავებულობიდან ხალისიან ენერგიულობამდე იმდენად აშკარა და ნამდვილია, რომ სილის გაწვანას ჰგავს. რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც ჩამოყალიბებული აქვთ სკოლის შესახებ ურყევი შეხედულება, ცვლილებები შოკის მომგვრელი იქნება. მაგრამ ასევე შესამჩნევია ცვლილებები სოციალურ დამოკიდებულებაში. ფაქტებისა და ჭეშმარიტებების უბრალოდ ათვისება იმდენად ინდივიდუალური საქმეა, რომ შეიძლება ის ბუნებრივად გადაიზარდოს ეგოიზმში. მხოლოდ ცოდნის შეძენას მკვეთრად გამოხატული სოციალური მოტივი არა აქვს, ამიტომ წარმატებაც ვერ მოიტანს აშკარა სოციალურ მოგებას. მისი თითქმის ერთადერთი საზომი ნამდვილი კონკურენციაა, ამ ტერმინის ცუდი გაგებით - ანუ როდესაც ათვისების შედეგებს ადარებენ, რათა დაადგინონ, რომელმა ბავშვმა შეძლო სხვების გასწრება და მეტი ინფორმაციის დაგროვება. ეს ატმოსფერო ისეთი მონდომებით დაინერგა და გაბატონდა, რომ ერთი ბავშვის მიერ მეორე ბავშვისთვის დავალების შესრულებაში დახმარება სკოლაში დანაშაულად იქცა. იქ, სადაც სასკოლო მუშაობა მხოლოდ გაკვეთილების მომზადებით შემოიფარგლება, მეგობრის დახმარებას ბავშვი სხვებისაგან ფარულად თუ მოახერხებს მაშინ, როდესაც ურთიერთდახმარება ურთიერთობისა და თანამშრომლობის ყვე-

ლაზე ბუნებრივი ფორმა უნდა იყოს. ამ სიტუაციის შეცვლა შეიძლება მხოლოდ სკოლაში აქტიური საქმიანობის შემოტანით. სხვების დახმარებას ქველმოქმედების ფორმა არ უნდა ჰქონდეს, რაც, თავისთავად, ამ დახმარების მიმღებს ასუსტებს, ხოლო როდესაც ეს უბრალოდ დახმარებაა, ადამიანი, რომელსაც ეხმარებიან, ძლიერდება და დამატებით იმპულსს იძენს. თავისუფალი ურთიერთობის, აზრების, შემოთავაზებების, შედეგების, ადრინდელი წარმატებებისა და წარუმატებლობების ურთიერთგაცვლის ატმოსფერო ცოდნის ათვისების საფუძველი ხდება. კონკურენცია, რომელიც სკოლაში შემოდის, ნიშნავს ინდივიდების შედარებას შესრულებული სამუშაოს ხარისხის, და არა მათ მიერ ათვისებული ინფორმაციის რაოდენობის მიხედვით – ეს ჭეშმარიტი საზოგადოების ღირებულებითი სტანდარტია. ასეთი ბუნებრივი და ყოვლისმომცველი გზით სასკოლო ცხოვრება თავად აორგანიზებს საკუთარ თავს სოციალურ საფუძველზე.

ამ ორგანიზებაში სასკოლო დისციპლინის ანუ წესრიგის პრინციპს თავისი ადგილი აქვს. რა თქმა უნდა, წესრიგი უბრალოდ არის ის, რაც უშუალოდ უკავშირდება შედეგს. თუ თქვენ თქვენი მუშაობის შედეგად მოიაზრებთ, რომ ორმოცმა ან ორმოცდაათმა ბავშვმა გაკვეთილების განსაზღვრული რაოდენობა შეისწავლოს მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ მასწავლებელს ჩააბაროს, თქვენი დისციპლინა ამ მიზნის უზრუნველსაყოფად იქნება გამოყენებული. მაგრამ თუ თქვენი მიზანია სოციალური თანამშრომლობისა და სოციალური ცხოვრების სულისკვეთების გაღვივება, მაშინ დისციპლინა ამ მიზნიდან უნდა გამომდინარეობდეს და მასვე უკავშირდებოდეს. არსებობს წესრიგის სახეობა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია. ნებისმიერ სახელოსნოში ყოველთვის არის ერთგვარი უწესრიგობა, იქ ხმაურია, ადამიანები მუდმივად მოძრაობენ. ხელები უქმად დაწყობილი არ აქვთ, არ უჭირავთ წიგნები. ისინი მრავალ სხვადასხვაგვარ სამუშაოს ასრულებენ, რაც არეულობასა და აურზაურს იწვევს. მაგრამ საქმე, რომელმაც შედეგი უნდა მოიტანოს, და ამ საქმის სოციალური და თანამშრომლობის გზით კეთება წარმოშობს განსაზღვრული სახისა და ტიპის, მხოლოდ ამ საქმიანობისათვის დამახასიათებელ დისციპლინას. მას შემდეგ, რაც ჩვენ ამ შეხედულებას დავეთანხმებით, სასკოლო დისციპლინის შესახებ ჩვენი კონცეფცია მთლიანად შეიცვლება. კრიტიკულ მომენტებში ყველა ვაცნობიერებთ, რომ ერთადერთი დისციპლინა, რომელიც ჩვენთვის გამოსადეგია, ერთადერთი ტრენინგი, რომელიც ინტუიციად იქცევა, არის ის, რომელსაც თვითონ ცხოვრება გვკარნახობს. ყველაფერი ის, რასაც ჩვენ გამოცდილებიდან, წიგნებიდან ან სხვისი გამონათქვამებიდან ვსწავლობთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არის უბრალო ფრაზები, თუ ის გამოცდილებას უკავშირდება. მაგრამ სკოლა იმდე-

ნად იზოლირებული აღმოჩნდა ცხოვრების ჩვეულებრივი პირობებისა და მოტივებისაგან, რომ გახდა ადგილი, სადაც ყველაზე უფრო ძნელია გამოცდილების მიღება, თუმცა იქ ბავშვებს დისციპლინის ჩამოყალიბებისათვის ვაგზავნით, გამოცდილება კი ნებისმიერი დისციპლინის დედაა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ტრადიციული, ვიწრო, დადგენილი სასკოლო დისციპლინის იმიჯია გამეფებული, არსებობს საშიშროება, რომ გამოგვრჩეს უფრო ღრმა და უსაზღვროდ ფართოდ დისციპლინა, რომელიც კონსტრუქციულ საქმიანობაში მონაწილეობით ყალიბდება, სოციალური სულისკვეთებით გაჟღერებული მიზნის მიღწევაში თავისი წვლილი შეაქვს და ფორმით არანაკლებ აშკარა და გამოკვეთილია. აქედან გამომდინარე, დისციპლინის ეს ფორმა იძლევა ზუსტი პასუხისმგებლობისა და დაკვირვებული შეფასების საშუალებას.

მთავარია გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა სახის აქტიური საქმიანობის შემოტანით სკოლა განახლების პროცესს განიცდის. მას უჩნდება შანსი, ცხოვრებას დაუკავშირდეს, ბავშვისათვის ისეთ გარემოდ იქცეს, სადაც ის მართული ცხოვრების მეშვეობით სწავლობს. სკოლა არ უნდა იყოს ადგილი, სადაც მან უბრალოდ უნდა ისწავლოს გაკვეთილები, რომლებსაც მის მომავალ ცხოვრებასთან ძალიან შორეული და ბუნდოვანი კავშირი აქვს. სკოლა იღებს შანსს, გახდეს მინიატურული, ჩანასახოვანი საზოგადოება. ეს ფუნდამენტური რამაა და სწავლების უწყვეტი და მოწესრიგებული ნაკადები მისგან გამომდინარეობს. უკვე აღწერილი ინდუსტრიული რეჟიმის დროს ბავშვი, ბოლოს და ბოლოს, საქმეში მონაწილეობისათვის კი არ მონაწილეობს, არამედ პროდუქტის მისაღებად. მიღწეული საგანმანათლებლო შედეგები ნამდვილი იყო, თუმცა შემთხვევითი და სხვა ფაქტორებზე დამოკიდებული. მაგრამ ტიპური საქმიანობა, რომელსაც სკოლაში მისდევენ, განთავისუფლებულია ყველანაირი ეკონომიკური ზეწოლისაგან. მიზანი სოციალური ძალისა და უნარის განვითარებაა და არა პროდუქტის ეკონომიკური ღირებულება. ეს განათლების დანიშნულების ვიწრო გაგებისაგან თავის დაღწევა და ადამიანის სულიერი შესაძლებლობებისადმი გახსნილობაა, რომელიც სკოლის პრაქტიკულ საქმიანობას ხელოვნების, მეცნიერებისა და ისტორიის ცენტრებს დაუკავშირებს.

ყველა მეცნიერება გეოგრაფიაში ერთიანდება. გეოგრაფიის აზრი იმაშია, რომ ის წარმოგვიდგენს დედამიწას, როგორც ადამიანის საქმიანობის ადგილს. მსოფლიო ადამიანის აქტივობასთან კავშირის გარეშე აღარ იარსებებდა. ადამიანის მცდელობებსა და მიღწევებს დედამიწასთან ფესვებით კავშირის გარეშე აზრიც კი არ აქვს. დედამიწა ადამიანისათვის საკვების წყაროა, მისი მუდმივი თავშესაფარი და დაცვა, ნედლეულია მისი საქმიანობისათვის და სახლია მათ-

თვის, ვისაც, დედამიწის ჰუმანიზაციისა და იდეალიზაციის წყალობით, ყველა მიღწევა უნაზღაურდება. ის არის დიდი მინდორი, უზარმაზარი საბადო, სითბოს, სინათლისა და ელექტრობის წყარო; ოკეანე, ნაკადული, მთა და ვაკე, რომლის მხოლოდ ნაწილის ფაქტორებია მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობა, ნედლეულის მოპოვება, ხის დამუშავება, მთელი ჩვენი წარმოება და განაწილება. კაცობრიობამ ისტორიულ, პოლიტიკურ პროგრესს იმ საქმიანობით მიაღწია, რომელსაც ეს გარემო განაპირობებდა. ამ საქმიანობით განვითარდა ბუნების ინტელექტუალური და ემოციური ინტერპრეტაცია. იმით, რასაც მსოფლიოში და მსოფლიოსთან ერთად ვაკეთებთ, ჩვენ ვიგებთ მის მნიშვნელობას და ვაფასებთ მის ღირებულებას.

საგანმანათლებლო ტერმინებით თუ ვისარგებლებთ, ეს ნიშნავს, რომ სკოლაში საქმიანობა ერთფეროვანი სამუშაოს – მზარეულობის, თერძობისა და დურგლობის ხელობის – დაუფლების პრაქტიკული საშუალება და მეთოდი კი არ უნდა გახდეს, არამედ ბუნებრივი მასალისა და ბუნებრივი პროცესების სამეცნიერო წვდომის აქტიური ცენტრი – ის საწყისი, საიდანაც ბავშვები ჩაერთვებიან ადამიანის ისტორიული განვითარების პროცესის რეალიზებაში. ამ ყველაფრის მნიშვნელოვნება მიმდინარე სასკოლო მუშაობიდან აღებული ერთი მაგალითით უკეთ ჩანს, ვიდრე ზოგადი მსჯელობით. საშუალო ინტელექტის სტუმრისათვის არაფერია უფრო უცნაური, ვიდრე იმის დანახვა, თუ როგორ კერავენ და ქსოვენ ათი, თორმეტი და ცამეტი წლის ბიჭები გოგონებთან ერთად. თუ ჩვენ ამას შევხედავთ, როგორც ბიჭების მომზადებას იმისათვის, რომ ლილის მიკერება ან ნაკუწებისაგან საბნის შეკერვა შეძლონ, მივიღებთ ვიწრო და პრაქტიკულ შეხედულებას, რომელიც ამ სახის საქმიანობის სკოლაში შემოღების აუცილებლობას ნაკლებად თუ გაამართლებს. მაგრამ თუ ამას მეორე მხრიდან შევხედავთ, აღმოვაჩინებთ, რომ ეს სამუშაო არის საწყისი წერტილი, საიდანაც ბავშვს შეუძლია, თვალი მიადევნოს და გაჰყვეს კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პროცესს, ასევე, გაითავისოს ის მასალა და მექანიკური პრინციპები, რომლებსაც იყენებს. ამ საქმიანობისას ადამიანის განვითარების ისტორია მეორდება. მაგალითად, ბავშვებს პირველად ეძლევათ სართავი სელი, ბამბა, მატყლი, პირდაპირ ცხვრის გაპარსვის შედეგად მიღებული (კარგი იქნება, თუ მას ვიშოვით რეგიონებში, სადაც ცხვარს აშენებენ). შემდეგ შეისწავლიან ამ მასალის სხვადასხვაგვარად გამოყენებას, მაგალითად, ბამბისა და სელის ბოჭკოს შედარებას. სანამ ბავშვებმა არ მიიხრეს, არ ვიცოდი, რომ ბამბის ინდუსტრია შალის ინდუსტრიაზე ბევრად გვიან იმიტომ განვითარდა, რომ ბამბის ბოჭკოს თესლისაგან ხელით განცალკევება ძალიან ძნელია. ბავშვების ერთი ჯგუფი ოცდაათი წუთის განმავლობაში

მუშაობდა და ერთ უნციაზე ნაკლები ბამბა დააგროვავ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ერთი ადამიანი დღეში ერთ ფუნტზე მეტ ბამბას ვერ დააგროვებდა, ამიტომ მათთვის გასაგები ხდება, რატომ ატარებდნენ მათი წინაპრები შალის, და არა ბამბის ტანსაცმელს. კიდევ ერთი, რასაც ისინი ამ სამუშაოს შესრულებისას გაიგებენ, არის ის, რომ ბამბის ბოჭკო შალისაზე ბევრად მოკლე იყო, უფრო ზუსტად – გოჯის მესამედი – მაშინ, როდესაც მატყლის სიგრძე სამ გოჯს აღწევს; და რომ ბამბის ბოჭკო, მატყლის ბოჭკოსაგან განსხვავებით, გლუვია და ერთმანეთს არ ეწყებება. ამიტომ მატყლის დართვა უფრო ადვილია. ყველაფერი ეს ბავშვებმა თვითონ, რეალურ მასალასთან შეხებისა და მასწავლებლის დასმული დამხმარე კითხვებისა თუ მოსაზრებების საშუალებით შეისწავლეს.

ამის შემდეგ ისინი გადავიდნენ ბოჭკოდან ტანსაცმლის მიღების პროცესზე. მათ თავიდან გამოიგონეს მატყლის საჩეჩი დაფა – ფიცარი, რომელზედაც წვეტიანი ლურსმნების საშუალებით მატყლს ჩეჩავენ. მათ თვითონ შექმნეს მატყლის დასართავი უმარტივესი ხელსაწყო – დახვრეტილი ქვა ან სხვა რაიმე საგანი, რომელშიც მატყლს ატარებენ და ტრიალის შედეგად მატყლს წელავენ. შემდეგ კი მისი დართვით ძაფს იღებენ. ბავშვები მომდევნო გამოგონებას ისტორიულ პროცესში ექსპერიმენტის საშუალებით ეცნობიან, ხედავენ მის საჭიროებას და თვალს ადევნებენ მის გავლენას არა მხოლოდ კონკრეტულ წარმოებაზე, არამედ სოციალური ცხოვრების მეთოდებზეც. ამ გზით ისინი მთელ პროცესს, თანამედროვე სრულყოფილ საქსოვ დაზგამდე იმეორებენ. ყველაფერი ეს ჩვენი დღევანდელი სიმძლავრეების გამოყენებაში მეცნიერების ჩართვით ხდება. აღარ არის საჭირო საუბარი მეცნიერებაზე – მის მონაწილეობაზე ბოჭკოების, გეოგრაფიული მახასიათებლების, ნედლეულის მოყვანის პირობების შესწავლაში, ასევე, დიდ საწარმოო გამანაწილებელ ცენტრებზე, ფიზიკის წვლილზე მანქანა-დანადგარების შექმნაში. ასევე, არც საკითხის ისტორიულ მხარეზე, იმ ზეგავლენაზე, რომელიც ამ გამოგონებებმა იქონია კაცობრიობის განვითარებაზე. თქვენ შეგიძლიათ, მთელი კაცობრიობის ისტორია სელის, მატყლისა და ბამბის ბოჭკოების ტანსაცმლად ქცევის პროცესით გადმოსცეთ. მე არ ვამბობ, რომ ეს ერთადერთი ან საუკეთესო გზაა, მაგრამ აშკარაა, იგი რასის ისტორიაზე მსჯელობის რეალურ და მნიშვნელოვან საშუალებას გვაძლევს და ბავშვები ბევრად უფრო ფუნდამენტური მაკონტროლებელი გავლენების შესახებ იღებენ ცოდნას, ვიდრე პოლიტიკურ და ქრონოლოგიურ ჩანაწერებში ამოიკითხავდნენ.

ის, რაც ქსოვილებში გამოყენებული ბოჭკოების შესახებ მოყვანილ მაგალითებთან დაკავშირებითაა სწორი (და მე, რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ერთი-ორ ელემენტარულ ფაზაზე ვილაპარაკე), ასევე სწორია ყველა სხვა მასალასთან

და მისი დამუშავების პროცესებთან დაკავშირებითაც. ეს საქმიანობა ბავშვს ჭეშმარიტ მოტივს უჩენს, აძლევს უშუალო გამოცდილებას და რეალობასთან აახლოებს. გარდა ამისა, ეს საქმიანობა, ისტორიულ და სოციალურ ღირებულებებზე და სამეცნიერო ეკვივალენტებზე გარდაქმნის გზით, მთლიანად ლიბერალიზებული ხდება. ბავშვის აზროვნება ვითარდება, მისი ცოდნა მატულობს და, პარალელურად, ეს საქმიანობა უბრალოდ სასიამოვნო კი არ არის, ის ხერხი, ინსტრუმენტი, აღქმის ორგანო ხდება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის უკვე ტრანსფორმირებულია.

სამაგიეროდ, ყველაფერს, რაც ზევით ითქვა, გავლენა აქვს მეცნიერების სწავლებებზე. დღევანდელ პირობებში, იმისათვის, რომ აქტივობები წარმატებული იყოს, ის სამეცნიერო ექსპერტის მიერ რაღაც მიმართულებით უნდა წარიმართოს – ეს გამოყენებითი მეცნიერების შემთხვევაა. ამ კავშირმა უნდა განსაზღვროს მისი ადგილი განათლებაში. ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ მსგავსი საქმიანობები (ე.წ. ხელსაქმე და ინდუსტრიული სამუშაო) სკოლაში მეცნიერების შეტანის საშუალებას იძლევა და, იმის ნაცვლად, რომ ხელისა და თვალისათვის უბრალო იარაღი იყოს, მათ ანათლებს, რაც მათ მატერიალურად აქცევს, მნიშვნელობას სძენს, არამედ იმასაც, რომ ასე მოპოვებული მეცნიერული შემეცნება თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის ფასდაუდებელი ინსტრუმენტი ხდება. პლატონი ამბობს, რომ მონა ის ადამიანია, რომელიც თავის ქმედებებში საკუთარ იდეებს კი არ გამოხატავს, არამედ – ხვისას. დღეს ჩვენი სოციალური პრობლემა უფრო აქტუალურია, ვიდრე პლატონის დროს. მეთოდი, მიზანი და გაგება იმ ადამიანის ცნობიერებაში ჩნდება, ვინც საქმეს აკეთებს და მის საქმიანობას მნიშვნელობა მხოლოდ მისთვისვე ექნება.

მაშინ, როდესაც სკოლაში საქმიანობა ასე ფართოდ და მრავლისმომცველად დააგეგმული, შემოიღია, მხოლოდ გაკვირვება გამოვხატო იმ საწინააღმდეგო გამონათქვამების გამო, რომლებიც ხშირად ისმის, რომ ასეთი საქმიანობების სკოლაში შეტანა უადგილოა, რადგან ისინი მატერიალისტური, პრაქტიკული და დაბალი ტენდენციისაა. ხანდახან მეჩვენება, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამას ამბობენ, სადღაც სხვა სამყაროში ცხოვრობენ. მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ადგილი, სადაც ყველას აქვს პროფესია და საქმე, რაიმე ხელობა. ზოგი მენეჯერია, ზოგი დაქვემდებარებული. მაგრამ როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის, მთავარი არის ის, რომ თითოეულს ექნება ისეთი განათლება, რომელიც საშუალებას მისცემს, ყოველდღიურ სამუშაოში ყველაზე მთავარი – ადამიანის დანიშნულება – დაინახოს. რამდენი დასაქმებულია დღეს იმ მანქანა-დანადგარების უბრალო დამატება, რომლებსაც ისინი მართავენ! ეს

შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც მანქანა-დანადგარის, ასევე, მისი მართვის სტრესული რეჟიმის სიმძიმიდან, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ დასაქმებულს არ ჰქონია საშუალება, დაენახა თავისი საქმიანობის სოციალური და სამეცნიერო ღირებულებები და ამიტომ ვერ განავითარა თავისი წარმოსახვა და საქმის ღრმა წვდომა. დღეს იმპულსები, რომლებიც სკოლაში ინდუსტრიული სისტემის შესწავლას უდევს საფუძვლად, ან მთლიანად უარყოფილია, ან – საფუძვლიანად დამახინჯებული. სანამ ბავშვობისა და სიყმაწვილის პერიოდის კონსტრუქციულობისა და პროდუქტიულობის ინსტინქტები მუდმივი ყურადღების ქვეშ არ იქნება, სანამ ისინი სოციალური მიმართულებით არ განვითარდება, ისტორიული ინტერპრეტაციებით არ გამდიდრდება და გაკონტროლდება, სამეცნიერო მეთოდებით არ დაიხვეწება, ჩვენ ვერ შევძლებთ არა თუ ეკონომიკურ დანაკარგებთან ეფექტიან ბრძოლას, არამედ ამ დანაკარგების წყაროს დაბლოკვასაც კი.

თუ გასულ საუკუნეებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სწავლა პრაქტიკულად მონოპოლიზებული იყო. ტერმინი „ცოდნა“ ბედნიერების ტოლფასი იყო და განსაზღვრული კლასის საკუთრებას წარმოადგენდა. ეს სოციალური მდგომარეობის აუცილებელი შედეგი იყო. არ არსებობდა საშუალებები, რომლითაც მასებს შეეხებოდათ ინტელექტუალურ რესურსებთან. ისინი იმალებოდა და ინახებოდა მანუსკრიპტებში, რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, ცოტა იყო და მათში გარკვევა ხანგრძლივ და მძიმე შრომას მოითხოვდა. ამ პირობების ჩვეულებრივი გამოხატულება იყო უმაღლესი სამღვდელთა, რომელიც სდარაჯობდა ჭეშმარიტების საგანძურს და მასებისათვის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითა და მკაცრი კონტროლის ქვეშ გაცემდა. მაგრამ ამ სიტუაციის შეცვლა ინდუსტრიული რევოლუციის, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, პირდაპირი შედეგი იყო. გამოიგონეს ბეჭდვა და ის კომერციული გახდა. წიგნები, ჟურნალები და გაზეთები გამრავლდა და გაიფანტა. ლოკომოტივისა და ტელეგრაფის გამოგონების შედეგად, ფოსტისა და ელექტრობის საშუალებით, ცხოვრებაში ხშირი და სწრაფი ურთიერთკავშირი შემოვიდა. მოგზაურობა ადვილი გახდა; გადაადგილების თავისუფლებამ იდეების გაცვლა განუსაზღვრელად გაადვილა. ამის შედეგი იყო ინტელექტუალური რევოლუცია. ცოდნის გაცვლის არეალი გაფართოვდა. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს და ალბათ ყოველთვის იარსებებს განსაკუთრებული კლასი, რომელიც ცოდნის ბიზნესს გააკონტროლებს. მაგრამ გამორჩეულად სწავლულ კლასზე ამის შემდეგ ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება. ეს ანაქრონიზმია. ცოდნა აღარ არის რაღაც უძრავი სიმყარე. ის გამდნარია და ნაკადებად მიედინება საზოგადოების შიგნით. ადვილი დასანახია,

რომ ამ რევოლუციამ შესასწავლი საგნისადმი ინდივიდის დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. ინტელექტუალური სტიმული ყველანაირი გზით გადმოიღვარა ჩვენზე. აქედან გამომდინარე, განათლებითა და სწავლით ცხოვრება სრულიად შეცვლილ ღირებულებას იძენს. აკადემიური და სქოლასტიკური, იმის ნაცვლად, რომ ღირსების გამომხატველი წოდებები იყოს, საღანძღავ სიტყვებად იქცა.

მაგრამ ეს ყველაფერი სკოლის შეხედულებებში აუცილებელ ცვლილებებს ნიშნავს, თუმცა ამის სრული ძალით განხორციელებისაგან ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ. ჩვენი სკოლის მეთოდები, და ძალიან ხშირად ჩვენი სტანდარტებიც, მემკვიდრეობითაა მიღებული იმ დროიდან, როდესაც მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ განსაზღვრული სიმბოლოების შესწავლას, რადგან მხოლოდ ეს სიმბოლოები იყო სწავლასთან დაკავშირებული. ამ პერიოდის იდეალები ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება, იქაც კი, სადაც გარეგნული მეთოდები და სწავლება შეცვლილია. დაწყებით და უმაღლეს სკოლაშიც კი გვესმის ხოლმე ხელსაქმის, ხელოვნებისა და მეცნიერების შემოღების კრიტიკა, იმ მოტივით, რომ ასე ჩვენ ვამზადებთ სპეციალისტებს – რომ ისინი ვარდებიან ჩვენი კეთილშობილი ლიბერალური კულტურის სქემიდან. ეს კრიტიკა სასაცილო იქნებოდა, ძალიან ხშირად ეფექტიანი რომ არ იყოს, რაც მას ტრაგიკულს ხდის. სწორედ ჩვენი დღევანდელი განათლების სისტემაა ზედმეტად სპეციალიზებული, ცალმხრივი და ვიწრო. ეს არის განათლება, რომელშიც თითქმის მთლიანად დომინირებს შუასაუკუნეობრივი კონცეფცია. ეს არის რაღაც, რაც მეტწილად უკავშირდება ჩვენი ბუნების ინტელექტუალურ ასპექტებს, ჩვენს სურვილს, ვისწავლოთ, დავგროვოთ ინფორმაცია და გავაკონტროლოთ სწავლის სიმბოლოები; და არა ჩვენს იმპულსებსა და ტენდენციებს, ვაკეთოთ, შევქმნათ თუ ვაწარმოოთ (გამოყენებითი ფორმით იქნება ეს თუ ხელოვნების). ის ფაქტი, რომ ხელსაქმე, ხელოვნება თუ მეცნიერება განიხილება, როგორც ტექნიკური, უბრალო სპეციალიზაციისაკენ მიმართული სფერო, თავად წარმოადგენს კარგ მტკიცებულებას. განათლება, ფაქტობრივად, გაიგივებული რომ არ ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტუალურ საქმიანობასთან, სწავლასთან, როგორც ასეთთან, მთელი ეს მასალები და მეთოდები მისასაღმებელი იქნებოდა, მათ გულღიად და მთელი გულით მიესაღმებოდნენ.

მასწავლებლის პროფესიისათვის მომზადება კულტურის სახეობად ან ლიბერალურ განათლებად ითვლება, მაშინ როდესაც მექანიკოსის, მუსიკოსის, ადვოკატის, ექიმის, ფერმერის, ვაჭრის, რკინიგზის მენეჯერის პროფესიისათვის მომზადება – წმინდად ტექნიკურად და პროფესიულად. ამის შედეგია ჩვენ გარშემო

საზოგადოების დაყოფა „კულტურულ ადამიანებად“ და „მუშებად“, თეორიისა და პრაქტიკის განცალკევება. სკოლადამთავრებულების ერთი პროცენტის კი არ იღებს იმას, რასაც ჩვენ უმაღლეს განათლებას ვუწოდებთ, ხოლო ჩვენი საშუალო განათლების უმაღლეს საფეხურს მხოლოდ ხუთი პროცენტი ამთავრებს. ნახევარზე მეტი სკოლას დაწყებითი სკოლის მეხუთე კლასის დამთავრებამდე ტოვებს. ფაქტები უჩვენებს, რომ ადამიანების უმრავლესობაში გამოკვეთილი ინტელექტუალური ინტერესები არ დომინირებს. მათ უფრო პრაქტიკული იმპულსი და განწყობა ამოძრავებთ. ხოლო მას, ვისშიც ბუნებრივი ინტელექტუალური ინტერესი ძლიერია, ადეკვატურ რეალიზებაში სოციალური პირობები უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, მოსწავლეების უმრავლესობა სკოლას ტოვებს, როგორც კი პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებლად საკმარის კითხვის, წერისა და ანგარიშის საწყის ცოდნას მიიღებს. მაშინ, როდესაც ჩვენი საგანმანათლებლო ლიდერები კულტურაზე, პიროვნების განვითარებაზე და ა.შ. ლაპარაკობენ, როგორც განათლების საბოლოო მიზანზე, სასკოლო სწავლება-გამოვლილ ადამიანთა უმრავლესობა მას თავისი შეზღუდული ცხოვრების გასატან, კარაქიანი პურის მოსაპოვებელ ვიწროდ პრაქტიკულ იარაღად მიიჩნევს. თუ საგანმანათლებლო პროცესში, იმის ნაცვლად, რომ განათლების საბოლოო მიზანი ასე ვიწროდ განვიხილოთ, შევიტანთ აქტივობებს, რომლებიც მისაღები იქნება მათთვის, ვისი მთავარი ინტერესიც კეთება და შექმნაა, აღმოვაჩინოთ, რომ სკოლის ზემოქმედება ადამიანებზე უფრო სასიცოცხლო, ხანგრძლივი და მეტი კულტურის შემცველი იქნება.

ამკარა ფაქტია, რომ ჩვენი სოციალური ცხოვრება სერიოზულად და რადიკალურად შეიცვალა. თუ გვინდა, რომ ჩვენს განათლებას ცხოვრებისეული მნიშვნელობა ჰქონდეს, მასშიც ისეთივე სრული ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს. ეს ტრანსფორმაცია უცებ ვერ გამოვლინდება; გაცნობიერებული მიზანი მის განხორციელებას ერთ დღეში ვერ შეძლებს. ის უკვე მიმდინარეობს. ჩვენი სასკოლო სისტემის მოდიფიკაციები, რომლებიც ხშირად (მათთვისაც კი, ვინც ამით აქტიურად იყო დაინტერესებული, რომ აღარაფერი ვთქვათ, გარედან მაყურებლებზე) უბრალო დეტალების ცვლილებებად და მხოლოდ სკოლის მექანიზმის გამოსწორებად აღიქმება, სინამდვილეში, ევოლუციის ნიშნები და მტკიცებულებებია. აქტიური საქმიანობის, ბუნების შესწავლის, ელემენტარული მეცნიერების, ხელოვნების, ისტორიის შემოტანა; უბრალოდ, სიმბოლურისა და ფორმალურის მეორე პლანზე განდევნა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაში მორალური ატმოსფეროს – დისციპლინის – შეცვლა; უფრო აქტიური, გამომსახველი, თვითმართული ფაქტორების შემოტანა – ეს ყველაფერი უბრალო

შემთხვევები არ არის, ეს უფრო დიდი სოციალური ევოლუციის საჭიროებებია. რჩება მხოლოდ ამ ფაქტორების ორგანიზება, მისი მნიშვნელობის სრულად მიღება და იდეებისა და იდეალების ჩვენი სასკოლო სისტემის სრულ და უკომპრომისო კუთვნილებად ქცევა. ამის გაკეთება ნიშნავს თითოეული ჩვენი სკოლის ცხოვრების ემბრიონულ საზოგადოებად გარდაქმნას, რომელიც აქტიური იქნება უფრო ფართო სოციალური ცხოვრების ამსახველ და ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერების სულით გაჟღენთილ საქმიანობაში. როდესაც სკოლა თითოეულ მოსწავლეს ამ პატარა ერთობის წევრად ზრდის, მას ქმედების სულისკვეთებით აღავსებს და თვითმართვის ეფექტიანი საშუალებებით აღჭურვავს, ჩვენ მივიღებთ უფრო ღრმა და უკეთეს გარანტიებს დიდი საზოგადოებისა, რომელიც ღირებული, მშვენიერი და ჰარმონიული იქნება.

II. სკოლა და ბავშვის ცხოვრება

გასულ კვირას შევეცადე, თქვენთვის მეჩვენებინა კავშირი სკოლასა და საზოგადოების უფრო ფართო ცხოვრებას შორის. ასევე, სასკოლო ცხოვრების მეთოდებსა და მასალებში გარკვეული ცვლილების აუცილებლობისთვისაც გამესვა ხაზი, რათა თანამედროვე სოციალურ საჭიროებებს უკეთ უპასუხონ.

დღეს მინდა ამ საკითხს სხვა მხრიდან შევხედოთ და განვიხილოთ სკოლის კავშირი სასკოლო ასაკის ბავშვების ცხოვრებასა და განვითარებასთან. ძნელია ზოგადი პრინციპების ისეთ უკიდურესად კონკრეტულთან დაკავშირება, როგორებიც პატარა ბავშვები არიან. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, გაგაცნოთ დიდი რაოდენობის საილუსტრაციო მასალა საუნივერსიტეტო დაწყებითი სკოლის (University elementary school) მუშაობიდან, რათა შეძლებისდაგვარად შეაფასოთ, როგორ მუშაობს მოწოდებული იდეები რეალურ პრაქტიკაში.

რამდენიმე წლის წინ ქალაქში სასკოლო ინვენტარის მალაზიებს ვეძებდი, რათა სკამები და მერხები მეპოვა, რომლებიც ყველა თვალსაზრისით (ხელოვნების, ჰიგიენისა და განათლების მიღების) ბავშვების საჭიროებებს უპასუხებდა. იმის მოძებნა, რაც გვჭირდებოდა, ძალიან ძნელი აღმოჩნდა და ბოლოს ერთმა დილერმა, რომელიც სხვებზე უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ასეთი რამ მითხრა: „გშიშობ, ჩვენ არ გვაქვს ის, რაც გინდათ. თქვენ ის გჭირდებათ, რაზედაც ბავშვები იმუშავებენ, ეს ყველაფერი კი მხოლოდ მოსმენისათვისაა“. ეს ნათქვამი ტრადიციული განათლების მთელ არსს გამოხატავს. თუ გონების თვალთ შევხედავთ ჩვეულებრივ საკლასო ოთახს – გეომეტრიულად დალაგებული საშინელი მერხების რიგებით, რომლებიც ისეა შექმნილებული, რომ სამოძრაო სივრცეს პრაქტიკულად არ ტოვებს; რომლებიც ყველა ერთი ზომისაა და

წიგნებს, ფანქრებსა და ფურცლებსაც კი ძლივს იტევს; ამას დაუმატეთ მაგიდა, რამდენიმე სკამი, შიშველი კედლები, შესაძლოა, მხოლოდ ერთი-ორი სურათით – შევძლებთ, ერთადერთი საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც შეიძლება ასეთ სივრცეში წარიმართოს, აღვადგინოთ ზუსტად ისე, როგორც ბიოლოგი აღადგენს ცხოველის რამდენიმე ძვლიდან მის სხეულს. დღევანდელი სკოლა მხოლოდ „მოსმენისთვისაა“ აღჭურვილი, რადგან გაკვეთილების უბრალოდ წიგნიდან სწავლა მოსმენის ერთ-ერთი ფორმაა. ის ერთი გონების მეორეზე დამოკიდებულებას გულისხმობს. მოსმენის პოზიცია პასიურია, ანუ არსებობს განსაზღვრული მზა მასალები, რომლებიც სკოლის დირექტორის, საბჭოსა და მასწავლებლის მიერაა მომზადებული და რომლიდანაც უმოკლეს ვადაში ბავშვმა რაც შეიძლება მეტი უნდა აითვისოს.

ტრადიციულ საკლასო ოთახში ძალიან ცოტა სივრცეა იმისათვის, რომ ბავშვმა იმუშაოს. სკოლების უმეტესობაში საერთოდ არ არსებობს სახელოსნო, ლაბორატორია, მასალები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ბავშვი ააწყობს, შექმნის, აქტიურად ეძიებს. ამ პროცესებთან დაკავშირებულ ნივთებსა და მასალებს განათლებაში თავისი მიჩენილი ადგილიც კი არ აქვს. ეს ისაა, რასაც განათლების ხელმძღვანელები სარედაქციო სტატიებში, რომლებსაც ყოველდღიურ გაზეთებში აქვეყნებენ, ჩვეულებრივ „ახირებასა“ და „ზედმეტობას“ უწოდებენ. გუშინ ერთმა ქალბატონმა მიაბო, რომ მან ბევრი სკოლა შემოიარა ისეთი ადგილის მოსაძებნად, სადაც დაინახავდა, რომ ბავშვების აქტივობა მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდებას უსწრებდა წინ, ან სადაც ბავშვებს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი გაუჩნდებოდათ. როგორც მან მითხრა, ის იყო ოცდაოთხ სხვადასხვა სკოლაში, სანამ იპოვნოდა იმას, რასაც ეძებდა. შემიძლია მხოლოდ დავუმატო, რომ ეს სკოლა ამ ქალაქში არ არის.

მერხებით გადატვირთული საკლასო ოთახები მიზნად ისახავს რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ბავშვების ერთად შეგროვებას, რომ საქმე გვექონდეს ბავშვების მასასთან. ეს კი, ისევ და ისევ, მათ პასიურობას იწვევს. მაგრამ როგორც კი ბავშვები მოქმედებას იწყებენ, ისინი ინდივიდუალად გადაიქცევიან, მასას აღარ შეადგენენ, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოირჩევიან და ისეთები ხდებიან, როგორებიც სკოლის გარეთ, ოჯახში, სათამაშო მოედანზე ან ჩვენს სამეზობლოში გვინახავს.

იმავე მიზეზით აიხსნება მეთოდებისა და სასწავლო გეგმების ერთგვაროვნება. თუ ყველაფერი მხოლოდ „მოსმენას“ ეფუძნება, შეიძლება შედეგად მასალი-სა და მეთოდის ერთფეროვნება მივიღოთ. მაშინ, როდესაც ყველა ბავშვი ერთი წიგნის შინაარსს ისმენს, ყველასთვის ერთნაირი გარემო იქმნება, იმის გამო,

რომ ყველა ბავშვის ყური ერთსა და იმავე ინფორმაციას ერთნაირად აღიქვამს. საშუალებებისა და მოთხოვნების ვარიანტების შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. არის მხოლოდ მზა შედეგებისა და ყველა ბავშვის მიერ მოცემულ დროში მიღწეული წარმატებების განსაზღვრული, დადგენილი რაოდენობა. ამ მოთხოვნამ გამოიწვია, რომ სასწავლო გეგმა მოიცავს პერიოდს დაწყებითი სკოლიდან კოლეჯის ჩათვლით. მსოფლიოში ძალიან ბევრი სასურველი ცოდნა და საჭირო ტექნიკური მიღწევა არსებობს. ამიტომ დგება ამ ცოდნის ექვს, თორმეტ ან თექვსმეტ სასკოლო წელიწადზე განაწილების მათემატიკური ამოცანა. უბრალოდ, ბავშვებს ყოველ წელს მთელიდან ერთი წლის შესაბამისი ნაწილი მიაწოდეთ და სკოლის დამთავრებისათვის ისინი მთელ ცოდნას დაეუფლებიან. განსაზღვრული რაოდენობის ცოდნის ერთ საათში ან დღეში, ან კვირაში, ან წელიწადში ათვისების შემთხვევაში, სწავლის დამთავრებისათვის ეს ცოდნა სრულყოფილად გამოვლინდება. ასეთ მიდგომას ეხება მეთიუ არნოლდი თავის ჩანაწერში იმის შესახებ, თუ როგორ განუცხადა განათლების ერთმა ჩინოსანმა საფრანგეთში, რომ ათასობით ბავშვს მოცემულ დროს, დავუშვათ თერთმეტ საათზე, გეოგრაფიის კაკვეთილი აქვს. ერთი-ერთი სკოლის დირექტორი ჩვენს ერთ-ერთ დასავლურ ქალაქში ხშირად იმავეს ტრაბახობდა.

მე შეიძლება ვაზვიადებ, რომ ძველი განათლების ტიპური მახასიათებლები ნათელი გავხადო: დამოკიდებულების პასიურობა, ბავშვების მექანიკური შეჯგუფება, მეთოდისა და სასწავლო გეგმის ერთგვაროვნება. ეს შეიძლება ასე შევაჯამოთ: ამ შემთხვევაში სიმძიმის ცენტრი ბავშვის გარეთ, მასწავლებელში, სახელმძღვანელოში, ნებისმიერ ადგილას, ყველგან არის, ოღონდ არა თვითონ ბავშვის უშუალო ინსტინქტებსა და ქმედებებში. ეს მიდგომა ბავშვის ცხოვრებაზე ლაპარაკის საშუალებას არ გვაძლევს. ბევრი რამ შეიძლება ითქვას ბავშვის სწავლაზე, მაგრამ სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც ბავშვი ცხოვრობს. ცვლილება, რომელიც ჩვენს განათლებაში შემოდის, სიმძიმის ცენტრის გადაადგილებას ნიშნავს. ეს ცვლილება, რევოლუცია, კოპერნიკისას ჰგავს, როდესაც ასტრონომიულმა ცენტრმა დედამიწიდან მზეზე გადაინაცვლა. ამ შემთხვევაში ბავშვი ხდება მზე, რომლის გარშემოც ბრუნავს განათლების ყველა მექანიზმი; არის ცენტრი, რომლის გარშემოც ეს მექანიზმები ლაგდება.

თუ, მაგალითად, იდეალურ ოჯახს ავიღებთ, სადაც მშობელი საკმარისად ჭკვიანია იმისათვის, რომ მიხვდეს, მისი შვილისათვის რა არის უკეთესი და, იმავე დროს, საშუალება აქვს, ყველა საჭიროებით უზრუნველყოს, დაგინახავთ, რომ აქ ბავშვი ოჯახის სოციალური კონსტიტუციისა და მასში ურთიერთობის საფუძველზე სწავლობს. ოჯახურ ურთიერთობაში მისთვის განსაზღვრული ინტერე-

სები და ღირებულებები გამოიყოფა: გამოითქმება შეხედულებები, შეკითხვები, განიხილება თემები და ბავშვი მუდმივად სწავლობს. ამრებს ის გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთქვამს, არასწორ შეხედულებებს უსწორებენ. ბავშვი საოჯახო ცხოვრებაში მონაწილეობს და უყალიბდება შრომისმოყვარეობის, წესრიგის, სხვისი უფლებებისა და ამრების გათვალისწინების და, რაც მთავარია, თავისი ქმედებების ოჯახის საერთო ინტერესებისადმი დაქვემდებარების ფუნდამენტური ჩვევა. ოჯახის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობა ცოდნის მიღების საშუალება ხდება. ბუნებრივია, იდეალურ ოჯახში იქნება სახელოსნო, სადაც ბავშვი თავისი კონსტრუქციული ინსტინქტების განვითარებას შეძლებს. ეს იქნება მინიატურული ლაბორატორია, სადაც მისი ძიებები წარიმართება. ბავშვის ცხოვრება სახლის ფარგლებს სცდება, გადის ბაღში, სახლის გარშემო მდებარე მინდვრებში, ტყეში. ის ივლის ექსკურსიებზე, ექნება საუბრები, მას დიდი სამყარო გაუხსნის კარს.


თუ ჩვენ ყველაფერ ამას ჩამოვაცალიბებთ და განვზოგადებთ, მივიღებთ იდეალურ სკოლას. არანაირი საიდუმლო, პედაგოგიკისა და საგანმანათლებლო თეორიების სფეროში რაიმე არაჩვეულებრივის აღმოჩენა ეს არ არის. საჭიროა, მხოლოდ სისტემატურად, ჭკვიანურად და კომპეტენტურად კეთება იმისა, რაც ყველა ოჯახში ხდება, ოღონდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვიწროდ და მოუწესრიგებლად. პირველ რიგში, საჭიროა იდეალური ოჯახის საზღვრების გაფართოება. იმისათვის, რომ ბავშვის სოციალური ცხოვრება უფრო თავისუფალი და მდიდარი გახდეს, მას მეტ ზრდასრულ ადამიანთან და ბავშვთან ურთიერთობის პირობები უნდა შევუქმნათ. მეტიც, საოჯახო გარემოში საქმიანობებისა და ურთიერთობების სპეციალურად ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შერჩევა არ ხდება. ამ საქმიანობების მთავარი მიზანი სხვაა ხოლმე, ხოლო ბავშვის მიერ მათი ათვისება უნებლიეთ ხდება. აქედან გამომდინარეობს სკოლის აუცილებლობა. ამ სკოლაში ბავშვის ცხოვრება არის მიზანი, რომელსაც ყველაფერი ექვემდებარება. ბავშვის შემდგომი ზრდისათვის საჭირო გარემო აქ იქმნება. სწავლა? რა თქმა უნდა, მაგრამ, პირველ რიგში, ცხოვრება და შემდეგ მისი მეშვეობით და მასთან კავშირში სწავლა. თუ ბავშვის ასე ორიენტირებულ და ორგანიზებულ ცხოვრებას დავაკვირდებით, მასში უბრალო მსმენელს ვერ აღმოვაჩინებ.

შშვენიერია გამოთქმა, რომ განათლება „ამოქაჩვას“ ნიშნავს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხოლოდ „ჩადების“ ცნებას დავუპირისპირებთ. მაგრამ „ამოქაჩვა“ რომ სამი, ოთხი, შვიდი ან რვა წლის ბავშვის საქციელთან დავაკავშიროთ, ცოტა არ იყოს, რთულია. მისგან აქტივობა ხომ თვითონ იფრქვევა, იღვრება. ის ლატენტური არ არის არსება, რომელსაც უფროსი დიდი სიფ-

რობილითა და საქმის ცოდნით უნდა მიუდგეს, რათა მასში დამალული აქტივობის ჩანასახი ნელ-ნელა „ამოქაჩოს“. ბავშვი ისედაც უკიდურესად აქტიურია, განათლებამ კი მისი აქტიურობა ხელში უნდა აიღოს და წარმართოს. აქტიურობის მიზანმიმართულად და ორგანიზებულად გამოყენებას ღირებული შედეგები მოაქვს – ის არ იფანტება და მხოლოდ იმპულსურ ქმედებებში არ გამოიხატება.

თუ ეს მხედველობაში გვექნება, სირთულე, რომელიც ბევრი ადამიანის მიერ ე. წ. ახალი განათლების დადებითად აღქმას უკავშირდება და რომელიც მე უმთავრესად მიმაჩნია, უბრალოდ, გაქრება. ხშირად სვამენ კითხვას: როგორ მიიღებს ბავშვი მისთვის აუცილებელ დისციპლინას, კულტურასა და ინფორმაციას, თუ თქვენ განათლებას მისი იდეებით, იმპულსებითა და ინტერესებით იწყებთ, რომლებიც ასეთი ნედლი, შემთხვევითი, გაფანტული, დაუხვეწავი და სულიერებას მოკლებულია? ამ შეკითხვას აზრი ექნებოდა, რომ არაფერზე ვლაპარაკობდეთ, ბავშვის იმპულსების წახალისებისა და გაძლიერების გარდა. ჩვენ მხოლოდ ბავშვის აქტივობის ან იგნორირებისა და დათრგუნვის, ან იუმორში გატარების გზა დავგრჩებოდა. მაგრამ, თუ საშუალებების, მასალების ორგანიზებას მოვახდენთ, ჩვენ წინაშე სხვა ბილიკი გაიხსნება. შეგვიძლია, გავარჯიშების გზით, ბავშვის აქტივობა განსაზღვრული მიმართულებით წარვმართოთ და ასე მივალწიოთ სასურველ შედეგს, რომლითაც ყველა არჩეული ბილიკი ლოგიკურად მთავრდება. „ოცნებები რომ ცხენები იყოს, მათხოვრები იჯირითებდნენ“. თუმცა ეს ასე არ არის და ამიტომ იმპულსისა და ინტერესის რეალურად დასაკმაყოფილებლად საჭიროა მათზე მუშაობა, ამისათვის კი წინააღმდეგობები უნდა გადავლახოთ, მასალებს გავეცნოთ, გავავარჯიშოთ სიბეჯითე, მოთმინება, შეუპოვრობა. გარდა ამისა, საჭიროა დისციპლინა – ენერჯის მართვა. აიღეთ, მაგალითად, პატარა ბავშვი, რომელსაც ყუთის გაკეთება უნდა. თუ ის თავის წარმოსახვასა და ოცნებას შეზღუდავს, ვერაფერს ისწავლის. მაგრამ თუ ის თავისი იმპულსის განხორციელებას შეეცდება, მან ჩანაფიქრი უნდა ჩამოაყალიბოს, გეგმად აქციოს, შესაბამისი ხის მასალა შეარჩიოს, საჭირო დეტალები გაზომოს, მათ საჭირო პროპორციები მისცეს და ა. შ. ასევე, საჭიროა მასალის მომზადება, დახერხვა, გაშალაშინება, ყველა კუთხისა და დეტალის ერთმანეთზე მორგება. ამ პროცესებისა და მათთვის საჭირო ინსტრუმენტების ცოდნა აუცილებელია. თუ ბავშვი თავის ინსტინქტს განახორციელებს და ყუთს გააკეთებს, ეს შესწავლის, შეუპოვრობის, წინააღმდეგობების გადალახვის უნარის გამომუშავებისა და დიდი ოდენობის ინფორმაციის მიღების შესანიშნავი საშუალება იქნება.

ასევე, ბავშვს, რომელსაც რაღაც საჭმლის მომზადება უნდა, ამაზე უდავოდ ნაკლები წარმოდგენა აქვს – რას ნიშნავს, რა ღირს ან რას მოითხოვს ეს პრო-



ბავშვის ნახატი: ბარძვავაული და ხეიბი

ცესი. მას უფრო არეულობის მოწყობა და იმის იმიტაცია უნდა, რასაც უფროსები აკეთებენ. ჩვენ შეგვიძლია, ამ ინტერესს იუმორით შევხედოთ, მაგრამ თუ იმპულსმა გამოყენება ჰპოვა, ის ნამდვილი ცხოვრების სერიოზულ პირობებს მიუახლოვდება, რომლებსაც საბოლოოდ უნდა მოერგოს. აქ ისევ დისციპლინისა და ცოდნის ფაქტორები შემოდის. ბავშვებიდან ერთ-ერთმა საქმის ასეთი ხანგრძლივი და ექსპერიმენტების გზით კეთება ვერ მოითმინა და თქვა: „რატომ უნდა შევიწუხოთ თავი ყველაფერი ამის კეთებით, მოდით, სამზარეულო წიგნში უბრალოდ რეცეპტი ვნახოთ“. მასწავლებელმა ბავშვებს ჰკითხა, თუ როგორ შეიქმნა ეს რეცეპტი. საუბარმა უჩვენა, რომ თუ ისინი პირდაპირ წიგნში წაკითხულ რეცეპტს გამოიყენებდნენ, იმ საფუძველს ვერ გაიგებდნენ, რისთვისაც ამ ყველაფერს აკეთებდნენ. ამის შემდეგ მათ სურვილი ჰქონდათ, ექსპერიმენტული სამუშაო ისევ გაეგრძელებინათ. იმ დღეს მათი სამუშაო კვერცხის მოხარშვა იყო, როგორც ბოსტნეულის მოხარშვასა და ხორცის მოხარშვას შორის გარდამავალი საფეხური. იმისათვის რომ ამ პროდუქტების შედარების საშუალება ჰქონოდათ, მათ, პირველ რიგში, ბოსტნეულში არსებული საკვები ელემენტები შეაჯამეს და ხორცში არსებულს შეადარეს. აქედან გაიგეს, რომ ბოსტნეულში ცელულოზა შეესაბამება ხორცის შემაერთებელ ქსოვილს, რომელიც მას ფორმასა და სტრუქტურას აძლევს. აღმოაჩინეს, რომ სახამებელი და სახამებლიანი ნივთიერებები ბოსტნეულისათვის დამახასიათებელია, რომ მინერალური მარილები ორივე სახის პროდუქტში თანაბრადაა, რომ ცხიმებიც ასევე ორივეგანაა, მაგრამ ბოსტნეულში – ნაკლები, ცხოველურ პროდუქტებში – მეტი. ამის შემდეგ ისინი მზად იყვნენ, დაეწყოთ ალბუმენის, როგორც ცხოველური საკვებისათვის დამახასიათებელ ნიშნის, შესწავლა, რომელიც ბოსტნეულში სახამებელს შეესაბამება. ასევე, მზად იყვნენ, ალბუმენის სწორად მოხმარების აუცილებელი პირობები განეხილათ. ექსპერიმენტის მასალად გამოყენებულ იქნა კვერცხები.

ექსპერიმენტი წყლის სხვადასხვა ტემპერატურის განსაზღვრით დაიწყო. მათ გაარკვიეს, როდის არის ის მწველი, როდის დუღილის ზღვარზე, როდის მდულარე და ამის შემდგომ სხვადასხვა ტემპერატურაზე კვერცხის ცილის მდგომარეობას დააკვირდნენ.

ამან გაამართლა, ისინი მზად იყვნენ, არა მარტო მოეხარშათ კვერცხი, არამედ თავად პრინციპი გაეგოთ. მე არ მინდა, კონკრეტული შემთხვევის ჩვენებით, მხედველობიდან გამომრჩეს მთავარი და უნივერსალური. მოსახარშად კვერცხის სამი წუთით წყალში ჩადება და შემდეგ ამოღება ბავშვისთვის არ არის საგანმანათლებლოდ ღირებული რამ, მაგრამ ამ პროცესში ჩართული ფაქტების, მასალებისა და პირობების გაგება-გაცნობიერება და შემდეგ საკუთარი იმპულს-

სების ამ გაგების საფუძველზე დალაგება – უკვე ღირებულია. მინდა ყურადღება მივაქციოთ, რომ ეს არის განსხვავება ინტერესის წახალისებასა და მათი წარმართვის გზით გაცნობიერებას შორის.

ბავშვის კიდეც ერთი ინსტინქტი ფანქრისა და ფურცლის გამოყენებაა. ყველა ბავშვს უყვარს თვითგამოხატვა ფორმისა და ფერის საშუალებით. თუ თქვენ ბავშვს მიუშვებთ, რომ სულ ხატოს და მის ინტერესს მხოლოდ ამით წახალისებთ, წარმატება მხოლოდ შემთხვევითი შეიძლება იყოს. მაგრამ თუ ბავშვს საშუალებას მისცემთ, ჯერ თავისი იმპულსი გამოხატოს და შემდეგ, კრიტიკის, კითხვებისა და შეთავაზებების გზით, მისი შემოქმედების შედეგის საფუძველზე დაანახევებთ, რა გააკეთა და რა უნდა გაეკეთებინა, სრულიად სხვა შედეგს მიიღებთ. აქ მაგალითად მოვიყვან შვიდი წლის ბავშვის ნახატს. ეს არ არის საშუალო დონის ნახატი, ეს ბავშვის მიერ შესრულებული საუკეთესო ნახატია, მაგრამ ის ადასტურებს პრინციპს, რომელზეც ვლაპარაკობდი. ითვლება, რომ პირველყოფილი ადამიანების სოციალური პირობები, როდესაც ისინი გამოქვაბულში ცხოვრობდნენ, პრიმიტიული იყო. ეს ბავშვის წარმოსახვამ ასე გამოხატა: გამოქვაბული განთავსებულია წარმოუდგენელ ადგილზე, მთის ფერდობზე. თქვენ ხედავთ ბავშვის ნახატისათვის ჩვეულებრივ ხეს – ერთი ვერტიკალური ხაზითა და მის ორივე მხარეს ჰორიზონტალური ხაზებით გამოსახული ტოტებით. ბავშვს თუ ასე ხატვის გაგრძელების საშუალებას მივცემთ, ის თავის ინსტინქტს კი არ გაავარჯიშებს, არამედ უბრალოდ წახალისებს. ამის შემდეგ ბავშვს სთხოვეს, ნამდვილ ხეებს დაკვირვებოდა და ისინი თავისი დახატულისათვის შეედარებინა, თავისი ნახატი უფრო ყურადღებითა და დაფიქრებით შეესწავლა. მომდევნო ეტაპზე მან პირდაპირ ნატურიდან გადმოხატა ხე, მერე კი ნაწილობრივ ნატურიდან დახატა და ნაწილობრივ – წარმოსახვით. შემდეგ ისევ თავისუფალი, წარმოსახვითი ნახატი გააკეთა, მაგრამ ხეებზე წარმოებული დაკვირვება გაითვალისწინა. შედეგად მივიღეთ ნახატი, რომელზედაც ტყის ფრაგმენტია გამოსახული. ეს ნახატი ჩემთვის ისეთი პოეტურია, როგორც, ალბათ, მხოლოდ ზრდასრული ადამიანის შეიძლება იყოს. მასზე ხეებიც, პროპორციებიც ნამდვილის მსგავსია, და არა სიმბოლოების.

თუ ჩვენ უხეშად დავახარისხებთ იმპულსებს, რომელთა შექმნაც შეიძლება სკოლაში, ოთხ ჯგუფს მივიღებთ. როგორც დიალოგიდან ჩანს, ბავშვებს აქვთ სოციალური ინსტინქტი, პირადი კავშირები, ურთიერთობები. ჩვენ ყველამ ვიცით, რამდენად თავის თავზე კონცენტრირებულია ოთხი, ხუთი წლის ბავშვი. თუ ის რაიმე ახალს დაინახავს, ერთადერთი, რასაც იტყვის, არის – „მე ეს ნახატი მაქვს“ ან „დედამ ან მამამ მე ეს უკვე მითხრა“. მისი ჰორიზონტი ფართო

არ არის, გამოცდილება უშუალოდ და პირდაპირ მის სახლს უნდა დაუკავშირდეს, რათა ამ გამოცდილების სხვისთვის გაზიარებისა და მათგანაც სანაცვლოდ იმავს მიღების საკმარისი ინტერესი გაუჩნდეს. პატარა ბავშვების ეგოისტურ და შებლუდულ ინტერესს განუსაზღვრებლად გაფართოების უნარი აქვს. ენის ინსტინქტი ბავშვის სოციალური გამოხატვის უმარტივესი ფორმაა. აქედან გამომდინარე, ის საგანმანათლებლო რესურსთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია.

შემდეგ არის კეთების ინსტინქტი – კონსტრუქციული იმპულსი. ის ჯერ გამოიხატება თამაშში, აქტივობაში, სხეულის მოძრაობაში უფრო გამოკვეთილი ხდება და რაღაც მასალებისათვის ფორმის მიცემაში პოულობს გამოსავალს. აბსტრაქტული ძიების ინსტინქტი ბავშვებს ნაკლებად აქვთ. კვლევის ინსტინქტი, სავარაუდოდ, კონსტრუქციული და საკომუნიკაციო ინსტინქტების შერწყმის საფუძველზე ყალიბდება. ბავშვებისათვის ექსპერიმენტულ მეცნიერებასა და დურგლობას შორის განსხვავება არ არსებობს. ის სამუშაო, რომელსაც ისინი ფიზიკის ან ქიმიის გაკვეთილებზე ასრულებენ, განზოგადებისათვის ან აბსტრაქტულ ჭეშმარიტებებამდე მისასვლელად გამიზნული არ არის. ბავშვები უბრალოდ რაღაცას აკეთებენ და შემდეგ ელოდებიან, რა მოხდება. ამ თვისების გამოყენება შეიძლება. ჩვენ შეგვიძლია მისი ისე წარმართვა, რომ ღირებულ შედეგებამდე მივიდეთ, ასევე – ის თავის ნებაზე მივუშვათ.

აგრეთვე, გამოხატვის, ხელოვნების ინსტინქტი ბავშვებში ურთიერთობისა და კონსტრუქციული ინსტინქტების შერწყმის შედეგად ყალიბდება. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება მათი დახვეწა და სრული გამოხატვა. გახადეთ კონსტრუქცია ადეკვატური, სრული, თავისუფალი, პლასტიკური, მიეცით მას სოციალური მოტივი და ხელოვნების ნიმუშს მიიღებთ. ერთი ასეთი ილუსტრაცია საფეიქრო სამუშაოსთან – კერვასა და ქსოვასთან კავშირში განიხილეთ. ბავშვებმა სახელოსნოში პრიმიტიული საქსოვი დაზგა გააკეთეს. აქ საქმე გვაქვს კონსტრუქციულ (ანუ მშენებლობის) ინსტინქტთან. შემდეგ მათ დაზგაზე რაიმეს გაკეთება მოისურვეს. ეს დაზგა ინდიელების დაზგის მსგავსი იყო. ბავშვებს ინდიელების მოქსოვილი საბნები უჩვენეს. ყოველმა მათგანმა ნავახოს ინდიელების საბნებს მიმსგავსებული ესკიზი შექმნა. მათგან საუკეთესო, ხელით ნამუშევართან ყველაზე უფრო მიმსგავსებული აარჩიეს. ტექნიკური რესურსები შებლუდული იყო, მაგრამ ფორმა და ფერები ბავშვებმა შეარჩიეს. აქ ნაჩვენები ნიმუში თორმეტი წლის ბავშვის მიერ არის შექმნილი. მასზე დაკვირვება გვიჩვენებს, რამდენი მოთმინება, სიბეჯითე და დაუინებულობაა საჭირო მის შესაქმნელად. მასში არა მხოლოდ დისციპლინა და ისტორიული და ტექნიკური ელემენტების შესახებ ინფორმაციაა ჩადებული, არამედ იდეის ადეკვატურად გადმოცემაში ხელოვნების სულიც იგრძნობა.



ბაგრატიონების მემკვიდრეობა

ხელოვნების კონსტრუქციულობასთან კავშირის კიდევ ერთი მაგალითი: ბავშვები პრიმიტიულ ჩეჩვასა და დართვას სწავლობდნენ, როდესაც ერთმა თორმეტი წლის ბავშვმა უფროსი მრთველის ჩანახატი გააკეთა. აი, კიდევ ერთი ნამუშევარი, რომელიც სულაც არ არის საშუალო დონის, ის ბევრად უკეთესია. მასზე გამოსახულია, როგორ წელავს ორი ხელი და ამზადებს მატყლს დასართველად. ეს ნახატი შესრულებულია თერთმეტი წლის ბავშვის მიერ. მაგრამ მთლიანობაში, განსაკუთრებით უფრო მცირე ასაკის ბავშვებში, ხელოვნების იმპულსი, ძირითადად, სოციალურ ინსტინქტს – სურვილს, თქვას, წარმოადგინოს – უკავშირდება.

ახლა კი თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ამ ოთხ ინტერესს – საუბრის ანუ ურთიერთობის, ძიების ანუ კვლევის, კეთების ანუ კონსტრუქციულობის და არტისტული თვითგამოხატვის – შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ბუნებრივი რესურსებია, უნივერსალური კაპიტალი, რომლის გავარჯიშებით ბავშვი აქტიურად იზრდება. რამდენიმე მაგალითი მინდა წარმოგიდგინოთ, პირველი – შვიდი წლის ბავშვების ნამუშევარი. ის გვიჩვენებს ბავშვების მთავარ სურვილს, ილაპარაკოს თავის ახლობლებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუ თქვენ პატარა ბავშვებს დააკვირდებით, აღმოაჩინებთ, რომ მათ ნივთების სამყარო მხოლოდ ადამიანებთან დაკავშირებით აინტერესებთ, როგორც ადამიანური ურთიერთობების ფონი და გარემო. ბევრ ანთროპოლოგს უთქვამს, რომ ბავშვისა და პირველყოფილი ცხოვრების ინტერესებს შორის ბევრი მსგავსება არსებობს. აქ საქმე გვაქვს ბავშვის გონების პირველყოფილი ადამიანების ტიპური საქმიანობისაკენ ერთგვარ ბუნებრივ მიბრუნებასთან. ამის მტკიცებულებაა ის ქოხი, რომელსაც პატარა ბიჭი ეზოში აშენებს ხოლმე, ნადირობის თამაში მშვილდით, ისრებით, შუბებით და ა.შ. ისევ დგება საკითხი: რა უნდა ვუყოთ ამ ინტერესს, იგნორირება უნდა მოვახდინოთ თუ უნდა გავალვივოთ? თუ რაღაც უკეთესისაკენ უნდა წარვმართოთ? ამ მეორე მიზანს ისახავს შვიდი წლის ბავშვებისათვის ჩვენ მიერ დაგეგმილი სამუშაო – ეს ინტერესი ისე გამოიყენოს, რომ ის ადამიანური მოდემის პროგრესის დანახვის საშუალებად იქცეს. ბავშვებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ თანამედროვე პირობები არ არსებობს, სანამ ისინი ბუნებასთან უშუალო კონტაქტში არიან. ეს მათ აბრუნებს მონადირე ადამიანების პერიოდში, რომლებიც გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და თავს ნადირობითა და თევზაობით ირჩენდნენ. ისინი, რამდენადაც შეძლებენ, იმ ცხოვრებასთან მიახლოებულ ბუნებრივ ფიზიკურ პირობებს წარმოიდგენენ, ვთქვათ, მთის ძირში გორაკებს, ტყით დაფარულ ფერდობს და თევზით მდიდარ მდინარეს. შემდეგ ისინი წარმოსახვას განაგრძობენ ნადირობის პერიოდიდან ნახევრად სასოფლო-სამეურნეო პერი-



ბავშვის ნახატი: ხელით დართვა

ოღამდე, მომთაბარე პერიოდიდან ბინადარი ცხოვრების პერიოდად. ჩემი შეხედულებით, ეს თამაში გვაძლევს აქტიური სწავლის, ძიების გზით ინფორმაციის მიღების მდიდარ შესაძლებლობებს. ამგვარად, როდესაც ინსტინქტი სოციალური ინტერესის სფერო იყო, ბავშვის დაინტერესება ადამიანებითა და მათი ქმედებებით რეალურ ცხოვრებაში გადადის. მაგალითად, ბავშვებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ პრიმიტიულ იარაღებზე, ქვისგან დამზადებული ისრის ბუნიკზე და სხვ. ეს კი სხვადასხვა მასალის, მათი მტვრევადობის, ფორმის, ტექსტურის კვლევის საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტი კი, რომლის დროსაც ბავშვები სხვადასხვანაირ ქვას სცდიან, მინერალოგიის გაკვეთილად გადაიქცევა. რკინის ხანის განხილვამ მოითხოვა სადნობი ლუმლის თიხისაგან გაკეთება. იმდენად, რამდენადაც ბავშვებს თავიდან ნახაზები არ გააჩნდათ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ უნდა შეესაბამებოდეს ლუმლის ყელის ზომა და მდებარეობა საჭაერო მილს, მათ წვის პრინციპებისა და საწვავის შესახებ ინსტრუქცია სჭირდებოდათ. თუმცა მათ ეს ინფორმაცია მზა ფორმით არ მიეწოდათ – ჯერ ამ ინფორმაციის საჭიროება დადგა და შემდეგ ბავშვებმა ის ექსპერიმენტის შედეგად მოიპოვეს. მერე მათ ისეთი მასალა აიღეს, როგორცაა სპილენძი და მასზე ექსპერიმენტების მთელი წყება ჩაატარეს. მაგალითად, დაადნეს, მისგან სხვადასხვა ნივთი შექმნეს. იგივე ექსპერიმენტები მათ ტყვიასა და სხვა მეტალებზეც ჩაატარეს. ასეთი სამუშაო გეოგრაფიის შესწავლის საშუალებაც არის, რადგან ბავშვებს იმ ფიზიკური პირობების წარმოდგენა და შესწავლა უხდებოდათ, რომლებიც სხვადასხვა სახის სოციალური ცხოვრებისათვის არის საჭირო. როგორი ფიზიკური პირობები იქნებოდა შესაფერისი, დავუშვათ, პასტორალური ცხოვრებისათვის? სოფლის მეურნეობის დაწყებისათვის? მეთევზეობისათვის? როგორი იქნება ამ საქმიანობებით დაკავებულ ადამიანებს შორის ბუნებრივი გაცვლის მეთოდები? ამ საკითხების განხილვის შემდეგ ბავშვებმა ისინი ნახაზებად და მაკეტებად გამოსახეს. აქედან გამომდინარე, მათ დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა ფორმის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ და, იმავე დროს, დაინახეს ამ ფორმების ურთიერთკავშირი ადამიანების საქმიანობებთან. გააცნობიერეს, რომ ისინი მხოლოდ გარე ფაქტორები კი არაა, არამედ კაცობრიობის ცხოვრებასა და პროგრესთან შეზრდილი და შედუღებულია. ჩემი აზრით, შედეგი მთლიანად ამართლებს შეხედულებას, რომ ერთი წლის განმავლობაში (კვირაში ხუთი საათი) ასეთი სამუშაოს შესრულების დროს ბავშვები გეოგრაფიასა და ანთროპოლოგიაში მეცნიერულ ფაქტებს ბევრად უკეთ ეცნობიან, ვიდრე იქ, სადაც მიზანი და საგანი უბრალოდ ამ ინფორმაციის მათთვის მიწოდებაა და სადაც ისინი ფიქსირებული გაკვეთილებიდან უნდა ისწავლონ. რაც შეეხება წვრთნას, ისინი

შედეგად იღებენ მეტად გავარჯიშებულ ყურადღებას, ინტერპრეტაციის, დასკვნების გამოტანის, დაკვირვებისა და აღქმის მეტ უნარს, რომ შემდგომში ნებისმიერი პრობლემის განხილვა შეძლონ.

მე მინდა, ამავე კუთხით შევეხო თხრობის საკითხს. ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ ხდებოდა ეს — ბავშვი მასწავლებლისა და სხვა ბავშვების წინაშე იმ ინფორმაციას გადმოსცემდა, რომელიც მან სახელმძღვანელოდან წარმატებით აითვისა. ამ საკითხზე მეორე შეხედულებით, თხრობა სოციალური ურთიერთობის საფუძველია, აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, როდესაც ხდება გამოცდილებისა და შეხედულებების გაზიარება და განსახილველად გამოტანა, არასწორი შეხედულებების გასწორება და ახალი აზრებისა და ძიებების დამკვიდრება.


ჩვენი ცვლილების შედეგად, თხრობა უკვე აღარ არის ათვისებული ცოდნის გამოკითხვა, ის ბავშვების კომუნიკაციური ინსტინქტის თავისუფალი გამოყენებაა და ამ ფორმით ის ზემოქმედებს და ცვლის სკოლის მთელ ენობრივ სამუშაოს. ძველი რეჟიმის პირობებში, ბავშვებისათვის ენის თავისუფლად და სრულად გამოყენების საშუალების მიცემა უდავოდ ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო. ამის მიზეზი აშკარა იყო. ბავშვებს იშვიათად სთავაზობდნენ ენის გამოყენების ბუნებრივ მოტივს. პედაგოგის სახელმძღვანელოებში ენა განსაზღვრულია, როგორც აზრების გამოხატვის საშუალება. გავარჯიშებული გონების მქონე უფროსებისათვის ეს შეიძლება მეტ-ნაკლებად ასე იყოს, მაგრამ ალბათ საჭიროც არ არის იმის აღნიშვნა, რომ ენა, პირველ რიგში, სოციალური რამაა.

ეს არის საშუალება, რომლითაც ჩვენს გამოცდილებას სხვებს ვუზიარებთ და მათგან სანაცვლოდ იმავეს ვიღებთ. როდესაც ენას თავის ბუნებრივ მიზანს ჩამოვაცილებთ, აღარ უნდა გავგვიკვირდეს, რომ მისი სწავლება კომპლექსურ და რთულ პრობლემად გადაიქცევა. დაფიქრდით ენის, როგორც ასეთის, დამოუკიდებლად არსებულის, სწავლების აბსურდულობაზე. თუ არსებობს რაიმე, რასაც ბავშვი სკოლაში შესვლამდე აკეთებს, ეს იმაზე ლაპარაკია, რაც მას აინტერესებს. მაგრამ როდესაც არ არსებობს სასიცოცხლო ინტერესები, რომლებსაც სკოლა მიმართავს და ენა მხოლოდ გაკვეთილების გასამეორებლად

გამოიყენება, გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე სკოლის მუშაობაში ყველაზე რთული პრობლემა მშობლიური ენის სწავლება გახდა. ენის სწავლება არაბუნებრივი ხდება, ის სასიცოცხლო შთაბეჭდილებებისა და შეხედულებების გაზიარების რეალური სურვილიდან არ გამომდინარეობს, ბავშვები მას თავისუფლად ვეღარ გამოიყენებენ. ბოლოს მაღალი კლასების მასწავლებელს ათასნაირი საშუალების გამოგონება სჭირდება, რომ მეტყველების სპონტანურ და სრულად გამოყენებას შეუწყოს ხელი. მეტიც, როდესაც ენის ინსტინქტი სოცი-

ალური მიმართულებით გამოიყენება, მაშინ რეალობასთან მუდმივი კონტაქტის არსებობა გარდაუვალია. ამის შედეგად, ბავშვს ყოველთვის აქვს გონებაში რაღაც, რის შესახებაც ლაპარაკი უნდა, მას აქვს რაღაც სათქმელი, აზრი – გამოსახატავი, ის კი აზრი მხოლოდ მაშინ არის, თუ მისია, საკუთარია. ტრადიციული მეთოდი გულისხმობს, რომ ბავშვმა უნდა თქვას მხოლოდ ის, რაც მან უბრალოდ ისწავლა. რაიმეს თქმასა და რაღაცის თქმას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ბავშვს, რომელსაც მრავალფეროვანი ფაქტები და მასალები აქვს, ყოველთვის უნდა მათ შესახებ ლაპარაკი, მისი ენა უფრო დახვეწილი და სავსე ხდება, რადგან ის რეალობის მიერაა ინფორმირებული და მისგანვე რეგულირებული. ამ საფუძველზე შეიძლება წერისა და კითხვის, ისევე როგორც ზეპირმეტყველების, სწავლება. ეს შეიძლება გაკეთდეს დაკავშირების გზით, როგორც ბავშვის სოციალური სურვილის – თავისი გამოცდილება დაწვრილებით გადმოსცეს და სანაცვლოდ სხვების მიიღოს – ზრდა, რაც მოვლენებთან და ძალებთან მუდმივი კონტაქტის გზით წარიმართება, რომლებიც ნამდვილ ურთიერთობებს განაპირობებს.

მე არ მექნება დრო, ვილაპარაკო შედარებით უფროსი ბავშვების შრომამზე, სადაც კონსტრუქციულობისა და ურთიერთობის პირველადი ნედლი ინსტინქტები უკვე მეცნიერულად მართული კვლევისმაგვარ რაღაცად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მინდა, ამ ექსპერიმენტის მიხედვით, ენის გამოყენების მაგალითი მოგიყვანოთ. სამუშაო მიმდინარეობდა ყველაზე ზოგადი ფორმის უმარტივესი ექსპერიმენტის საფუძველზე, რომელსაც ბავშვები თანდათან მიჰყავდა გეოლოგიისა და გეოგრაფიის შესწავლამდე. წინადადებები, რომელთა წაკითხვაც მინდა, მეჩვენება როგორც პოეტურად, ასევე, „მეცნიერულად“. „დიდი ხნის წინ, როდესაც დედამიწა ახალი იყო, როდესაც იყო ლავა, დედამიწაზე არ იყო წყალი და ჰაერში, მთელი დედამიწის გარშემო, იყო ორთქლი, როდესაც ჰაერში ბევრი გაზი იყო, ამ გაზებიდან ერთ-ერთი იყო ნახშირბადის დიოქსიდი. ორთქლი გადაიქცა ღრუბლებად, რადგან დედამიწამ გაგრილება დაიწყო. გავიდა ხანი და წვიმა წამოვიდა, წყალში ჰაერიდან ნახშირბადის დიოქსიდი გაიხსნა.“ ამ სიტყვებში ბევრად მეტი მეცნიერული აზრია, ვიდრე თავიდან ჩანს. ის ბავშვის, სულ რაღაც, სამი თვის მუშაობის შედეგია. ბავშვები მოხსენებებს ყოველდღიურად და ყოველკვირეულად აკეთებდნენ, მაგრამ ეს ერთი მეოთხედის მუშაობის შეჯამების ნაწილია. ამ ენას მე პოეტურს ვუწოდებ, რადგან ბავშვს აქვს გამოკვეთილი წარმოსახვა და ამ წარმოსახული რეალობების პირადული განცდა. კიდევ ორი ნაშრომიდან ამოვიღე წინადადებები, რომ გიჩვენოთ, თუ როგორ ნათლად გამოიყენება ენა, როდესაც მის უკან ნათელი გამოცდილებაა. „როდესაც დედამიწა



განმარტების ნახატი: მრთმეული მომტნა

საკმარისად ცივი იყო იმისათვის, რომ მკვრივი ყოფილიყო, წყალმა, ნახშირბადის დიოქსიდთან ერთად, კლდეებიდან კალციუმი გამოდევნა და უზარმაზარ წყლის მასაში ის პატარა ცხოველებმა მიიღეს.“ კიდევ ერთი ბავშვი კითხულობს შემდეგ: „როდესაც დედამიწა გაგრილდა, კალციუმი კლდეებში იყო. შემდეგ ნახშირბადის დიოქსიდი და წყალი შეერთდა და წარმოქმნა ხსნარი, რომელმაც დინების დროს კლდეებს კალციუმი გამოჰგლიჯა და ზღვაში ჩაიტანა, სადაც პატარა ცხოველები იყო, რომლებმაც კალციუმი ამ ხსნარიდან მიიღეს.“ ქიმიურ პროცესზე ლაპარაკის დროს ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა „გამოდევნა“ და „გამოჰგლიჯა“, მიგვითითებს პიროვნულ გაგებაზე, რაც შესაბამისი გამოთქმის გამოყენებას მოითხოვს.

ჩემს სხვა მაგალითებზე ამდენი დრო რომ არ დამეხარჯა, შევძლებდი, მეჩვენებინა, როგორ მიგვყავს ბავშვები ძალიან მარტივი მასალიდან კვლევის უფრო სერიოზულ სფეროებამდე და ინტელექტუალურ ცოდნამდე, რაც ამ კვლევებს თან ახლავს.

მე მხოლოდ ვიტყვი ექსპერიმენტის შესახებ, რომლითაც მუშაობა დაიწყო. ეს იყო კრისტალიზებული ცარცის შექმნა, რომელიც მეტალების გასაპრიალებლად გამოიყენება. ბავშვებმა მარტივი ტექნიკური საშუალებებით – ტუმბურით, ლიმონიანი წყლითა და მინის მილით – წყლიდან კალციუმის კარბონატი კრისტალებად აქციეს და შემდეგ იმ პროცესების შესწავლაზე გადავიდნენ, რომელთა შედეგადაც დედამიწის ზედაპირზე იმ ადგილას, სადაც ისინი მდებარეობს, სხვადასხვა სახის კლდეები წარმოიშვა – ვულკანური, დალექვის შედეგად მიღებული და სხვ. შემდეგ გადავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფიაზე, ჰავაიზე, პუერტო-რიკოზე, ადამიანის საქმიანობაზე, სხვადასხვა სახისა და კონფიგურაციის კლდეების შემოქმედებაზე. ამ გეოლოგიური ჩანაწერებით ბავშვები დღევანდელი ადამიანის ცხოვრებამდე მოვიდნენ. მათ დაინახეს და იგრძნეს საუკუნეების წინ მომხდარი გეოლოგიური პროცესების კავშირი ფიზიკურ პირობებთან, რომლებიც დღევანდელ ინდუსტრიულ საქმიანობას განაპირობებს.

ყველა შესაძლებლობიდან, რომელსაც საკითხი „სკოლა და ბავშვის ცხოვრება“ მოიცავს, მე ერთი შევარჩიე, რადგან მიგზვდი, რომ მისი გაგება ადამიანებს ყველაზე მეტ სირთულეს უქმნის და რომ ის არის ქვაკუთხედი, და არა რომელიმე რიგითი საკითხი. ადამიანი შეიძლება დაგვეთანხმოს, რომ სასურველია, სკოლა ის ადგილი იყოს, სადაც ბავშვი რეალურად იცხოვრებს, მიიღებს ცხოვრების გამოცდილებას, სიამოვნებას და ამ ცხოვრებიდან აზრს გამოიტანს. მაგრამ შემდეგ ისმის კითხვა: ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მიიღოს ბავშვმა საჭირო ინფორმაცია, როგორ უნდა შეიძინოს ცოდნა, რომელიც მოეთხოვება?

დიხს, ბევრი ადამიანისათვის, თუ არა უმრავლესობისათვის, ყველაფერი აქამდე მიდის, ცხოვრების ნორმალური პროცესი ინფორმაციისა და ცოდნის მიღებას ვერაფრით შეედრება. მე შევეცადე, უკიდურესად ზოგადად და არასაკმარისად (რადგან ამის დეტალურად და ღრმად ჩვენება მხოლოდ სკოლის ყოველდღიურ მუშაობას შეუძლია) გადმომეცა, თუ როგორ ამოწურავს პრობლემა თავის თავს, როგორ შეიძლება, ადამიანების პირველადი ინსტინქტების შესაბამის გარემოში მოქცევიდა და ამ გზით მათი გამოხატვის გაკონტროლებით, ყოველი ინდივიდუალური ბავშვის აღზრდას ხელი შევუწყოთ და გავამდიდროთ. აგრეთვე, როგორ შეიძლება მისთვის ისეთივე და იმაზე ბევრად მეტი ტექნიკური ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდება, რასაც განათლება წარსულში თავის იდეალად თვლიდა.

მაგრამ, თუმცა მე მიდგომის ეს განსაკუთრებული გზა ავირჩიე (როგორც ამ გავრცელებული კითხვისადმი ერთგვარი დათმობა), არ მინდა, ეს საკითხი მეტნაკლებად უარყოფით და თავის მართლების პირობებში დავეტოვო. ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე ბრწყინვალე რამაა და ბავშვის სიცოცხლე — არანაკლებად, ვიდრე უფროსის. ნამდვილად უცნაური იქნებოდა, თუ, იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად და გააზრებულად მივდგომოდით იმას, რაც ბავშვს ახლა სჭირდება და რისი უნარიც მდიდარ, ღირებულ და ფართო ცხოვრებაში აქვს, ის ზრდასრული ცხოვრების შესაძლებლობებისა და საჭიროებებისთვის დაგვეპირისპირებინა. „ვიცხოვროთ ჩვენს ბავშვებთან ერთად“ — ნიშნავს, რომ ბავშვებმა, უპირველეს ყოვლისა, იცხოვრონ, სავალდებულო პირობებში ძალდატანებით კი არ ვამყოფოთ. ამით ჩვენ მათ ზრდას დავაბრკოლებთ და არგუმენტი, რომ ეს პირობები ბავშვის დღევანდელ ცხოვრებას უკავშირდება, ჩემთვის სრულიად გაუგებარია. თუ განათლებაში ზეციურ სამყაროს ვეძებთ, სხვა ყველაფერი ჩვენ უნდა დაგვემატოს — რაც ნიშნავს, რომ თუ ჩვენ საკუთარ თავს ბავშვობისდროინდელ ნამდვილ ინსტინქტებთან და საჭიროებებთან ვაიგივებთ და მას მხოლოდ გაზრდის შემდეგ მოვიკითხავთ, ზრდასრული ცხოვრების დისციპლინა, ინფორმაცია და კულტურა, ყველა თავის დროზე მოვა.

კულტურის თემამ გამახსენა, რომ მე ბავშვის აქტივობის მხოლოდ გარეგნულ მხარეზე — თქმის, კეთების, აღმოჩენისა და შექმნისადმი იმპულსების გარეგნულ გამოხატვაზე ვილაპარაკე. ალბათ სადავო არ არის, რომ ბავშვი წარმოსახვითი ღირებულებებისა და იდეების სამყაროში ცხოვრობს, რომელთა რეალური გარეგნული ფორმაც არასრულყოფილია. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ბავშვის „წარმოსახვის“ კულტივირებაზე. იმ რწმენით, რომ ის ბავშვის რაღაც კონკრეტული ნაწილია, რომელიც კმაყოფილდება რაღაც ერთის — არარეალურის, ვითომ-ის, მითისა და გამოგონილი ამბის — მიმართულებით, ჩვენი ნათქვამიდან

და გაკეთებულიდან ბევრს უარვყოფთ. რატომ გვიჭირს დაჯერება, რომ წარმოსახვა არის ის სამყარო, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს. ყველგან და ყველად ფერში პოულობს ის იმას, რისი ღირებულებისა და მნიშვნელოვნების სრული მოცულობაც მის გონებას აინტერესებს. ბავშვის ცხოვრებასა და სკოლას შორის კავშირის საკითხი ძირითადად ასეთია: უარს ვიტყვით ჩვენს ძირითად გარემოსა და ტენდენციებზე, რომელიც უკავშირდება არა ცოცხალ ბავშვს, არამედ ჩვენ მიერ შექმნილ მკვდარ შეხედულებას, თუ მას განვითარებისა და დაკმაყოფილების გზას მივცემთ? თუ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნებთ ცხოვრების, კონკრეტულად კი ბავშვის ცხოვრების, მნიშვნელოვნებას, მაშინ ყველა საქმიანობა და გამოყენება, მთელი ისტორია და მეცნიერება, რომელზედაც აქამდე ვლაპარაკობდით, მისი წარმოსახვისადმი მიდგომის ინსტრუმენტებად და კულტურულ მასალად გარდაიქმნება და ამ გზით მისი ცხოვრების გამდიდრებასა და მოწესრიგებას შეუწყობს ხელს. იქ, სადაც დღეს გარეგნულ ქმედებასა და შედეგს ვხედავთ, ყოველი მათგანის უკან აზრობრივი მიდგომების ცვლილებები მიმდინარეობს, ყალიბდება გაფართოებული და თანამგრძობი ხედვა, მზარდი ძალის შეგრძნება და შესაძლებლობა – წვდომის უნარი და ნიჭიერება ადამიანისა და სამყაროს ინტერესებთან გავაიგივოთ. თუ კულტურა არ არის მხოლოდ ზედაპირული ბრწყინვალება, ძვირფასი ხით მოპირკეთებული უბრალო ხის ზედაპირი, ის ნამდვილად არის – წარმოდგენების, ელასტიკურობის, მასშტაბებისა და თანაგრძობის თვალსაზრისით გაფართოება, სანამ ადამიანის ცხოვრება ინფორმაციას ბუნებისა და საზოგადოებისგან იღებს. როდესაც ბუნებასა და საზოგადოებას საკლასო ოთახში ცხოვრების საშუალება აქვს, როდესაც სწავლების ფორმები და საშუალებები გამოცდილების არსს ექვემდებარება, მაშინ შეიძლება იდენტიფიცირების საშუალება გაჩნდეს და კულტურა დემოკრატიული საშვი გახდეს.

III. დანაკარგები განათლებაში

დღევანდელი ლექციის თემაა „დანაკარგები განათლებაში“. პირველ რიგში, მინდა წინა ორ ლექციასთან მისი კავშირი მოკლედ ჩამოვაცალიხო. პირველი ეხებოდა სკოლის სოციალურ ასპექტებსა და ცვლილებებს, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ თანამედროვე სოციალურ პირობებში სკოლა ეფექტიანი გახდეს. მეორე – სკოლას ბავშვების ინდივიდუალ ჩამოყალიბების საკითხთან კავშირში განიხილავდა. ახლა ვეხებით თვითონ სკოლას, როგორც ინსტიტუტს, მის კავშირს როგორც საზოგადოებასთან, ასევე, ბავშვებთან. ლაპარაკი იქნება ორგანიზაციის საკითხზე, რადგან მთელი დანაკარგები მისი არქონითაა გამოწვეული. ორგანიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ეკონომიკასა და ეფექტიანობას. მაგრამ ჩვენ არ ვილაპარაკებთ ფულის ან ნივთების დანაკარგებზე. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი დანაკარგი ადამიანის სიცოცხლეა, ბავშვის სიცოცხლე მისი სკოლაში ყოფნის დროს, როდესაც ორგანიზაციაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა ვიგულისხმობთ მხოლოდ გარეგნული ფაქტორები, რომლებსაც აქვთ საერთო სახელი – „სასკოლო სისტემა“ – სასკოლო საბჭო, სკოლის დირექტორი, სკოლის შენობა, მასწავლებლის ჩართვა და წინ წაწევა და სხვ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ფუნდამენტური ორგანიზაცია არის თვითონ სკოლა, როგორც ინდივიდების საზოგადოება და მისი ურთიერთობა სოციალური ცხოვრების სხვა ფორმებთან. მთელი დანაკარგი იზოლაციიდან მომდინარეობს. ორგანიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ყველა ნაწილის უფრო ადვილად, მოქნილად და სრულად მუშაობისთვის ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირება. ამიტომ, განათლების სისტემაში დანაკარგებზე საუბრისას, მინდა თქვენი ყურადღება სასკოლო სისტემის

სხვადასხვა ნაწილის იზოლირებაზე, განათლების ერთიანი მიზნის არარსებობა-სა და, ასევე, სწავლასა და მეთოდს შორის შეუსაბამობაზე მივმართო.








მე გავაკეთე სქემა (I), რომელიც, მაშინ როდესაც თვითონ სასკოლო სისტემის იზოლაციაზე ვლაპარაკობ, ზოგ რაიმეს თვალნათლივ დაგანახვებთ და ნაკლები ზეპირი განმარტება დაგვჭირდება. პარადოქსების მოყვარული ერთი ჩემი მეგობარი ამბობს ხოლმე, რომ არაფერია ისეთი ბუნდოვანი, როგორც ილუსტრაცია და, შესაძლებელია, ჩემ მიერ წარმოდგენილმა ილუსტრაციამ ამ სიტყვების სისწორე დაადასტუროს. უჯრედების ბლოკები უჩვენებს სასკოლო სისტემის სხვადასხვა ელემენტს და თან თითოეული დანაყოფის მიახლოებით ხანგრძლივობას. გარდა ამისა, აქ მოცემულია დამთხვევები როგორც დროში, ისე შესასწავლ საგნებში, სისტემის ინდივიდუალურ ნაწილებს შორის. თითოეულ ბლოკს თან ახლავს ისტორიული პირობები, რომლებშიც ის იშვა და მისი წარმმართველი იდეალი.

სქემა ზევიდან ქვევით ვითარდებოდა. შუა საუკუნეებში ძირითადად იყო პროფესიული სკოლების ჯგუფი, განსაკუთრებით, სამართლისა და თეოლოგიური. თანამედროვე უნივერსიტეტი ჩვენამდე შუა საუკუნეებიდან მოვიდა. არ ვიტყვოდი, რომ დღეს ის შუასაუკუნეობრივი დაწესებულებაა, მაგრამ მას ფესვები შუა საუკუნეებში აქვს და ვერ ვიტყვი, რომ ის სწავლების ყველა შუასაუკუნეობრივი ტრადიციისაგან გათავისუფლდა.

საბავშვო ბაღი, რომელიც ჩვენს საუკუნეში წარმოიშვა, ბავშვის მოვლისა და შელინგის ფილოსოფიის შერწყმის შედეგია, დედა-შვილის თამაშისა და გართობის შეჯერება შელინგის უკიდურესად რომანტიკულ და სიმბოლისტურ ფილოსოფიასთან. ელემენტები, რომლებიც ბავშვის ცხოვრების შესწავლის შედეგია – მისი მოვლის გაგრძელება – მთელი შემდგომი განათლებისათვის სასიცოცხლო ძალად რჩება. შელინგისეულმა ფაქტორებმა კი მასა და სასკოლო სისტემის დანარჩენ ნაწილებს შორის წინააღმდეგობა შექმნა და იზოლაციამდე მიგვიყვანა.

თამასის მაქსიმალური აწევა საბავშვო ბაღსა და დაწყებით სკოლას შორის გარკვეულ ურთიერთქმედებას გულისხმობს. რადგან დაწყებითი სკოლის ატმოსფერო ბავშვის ბუნებრივი სასიცოცხლო ინტერესებისათვის უცხოა, ის საბავშვო ბაღისაგან იზოლირებულია და დღეს დაწყებით სკოლაში საბავშვო ბაღის მეთოდების შეტანის საკითხი დგება. სირთულე ისაა, რომ ეს ორი თავიდანვე ერთად არ მოიაზრება. მასწავლებელს, იმის ნაცვლად, რომ კარიდან შევიდეს, კედელზე გადაძრომა სჭირდება. რაც შეეხება მიზნებს, საბავშვო ბაღის იდეალი უფრო ბავშვების მორალური განვითარება იყო, ვიდრე მათთვის საგნის სწავ-

სქემა I



ლება, ამ იდეალის ხაზგასმა ხანდახან სენტიმენტალობამდეც კი მიდიოდა. დაწყებითი განათლება, პრაქტიკულად, მე-16 საუკუნის პოპულარული მოძრაობიდან მოდის, როდესაც ბეჭდვის გამოგონებასა და ვაჭრობის ზრდასთან ერთად, გაჩნდა კითხვის, წერისა და ანგარიშის ცოდნის აუცილებლობა. ეს მიზანი გამოკვეთილად პრაქტიკული იყო, ის გამოყენებას გულისხმობდა. ამ საშუალებების, სასწავლო სიმბოლოების დაუფლება საჭირო იყო არა თვითონ სწავლისათვის, არამედ იმისათვის, რომ გაეკეთებინათ კარიერა, რომელიც სხვა შემთხვევაში მიუწვდომელი იქნებოდა.

დანაყოფი, რომელიც დაწყებითი სკოლის შემდეგ მოდის, საშუალო სკოლა (grammar school) – ეს ტერმინი დასავლეთში ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ აღმოსავლეთის შტატებში გავრცელებულია. ის სათავეს იღებს სწავლების განახლების პერიოდიდან, რომელიც ცოტათი წინ უსწრებს დროს, როდესაც დაწყებითი განათლება შეიქმნა და განსხვავებული იდეალი ჰქონდა. ის ენის უმაღლეს დონეზე სწავლებას გულისხმობდა, რადგან აღორძინების ხანაში ლათინურისა და ბერძნულის სწავლა ადამიანებს წარსულის კულტურასთან – რომაულ და ბერძნულ სამყაროსთან – აკავშირებდა. კლასიკური ენების სწავლა შუა საუკუნეების შეზღუდვებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იყო. აქედან გამომდინარე, იშვა საშუალო სკოლის პროტოტიპი, რომელიც უფრო ლიბერალური იყო, ვიდრე უნივერსიტეტი (უკიდურესად პროფესიული ხასიათისა) და მიზნად ისახავდა ადამიანებისათვის ძველი ცოდნის გასაღების მიცემას, რომ მათ სამყარო უფრო ფართოდ დაენახათ. პირველ რიგში, ისწავლებოდა კულტურა და შემდეგ საგნები (discipline). ის ბევრად მეტი იყო, ვიდრე დღევანდელი საშუალო (grammar) სკოლა, ეს იყო კოლეჯის ლიბერალური ელემენტი, რომელიც შემდეგ აკადემიასა და უმაღლეს სკოლაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე, საშუალო სკოლა ჯერ კიდევ, ნაწილობრივ, კოლეჯის დაბალი საფეხური (უფრო მაღალი დონის სასწავლო გეგმით, ვიდრე რამდენიმე საუკუნის წინ კოლეჯს ჰქონდა), კოლეჯისათვის მოსამზადებელი დანაყოფი იყო და, ნაწილობრივ, დაწყებით სკოლაში მიღებული სასარგებლო ცოდნის გაღრმავებას ემსახურებოდა.

შემდეგ გამოჩნდა მე-19 საუკუნის ორი პროდუქტი – ტექნიკური და პედაგოგიური სკოლები; ტექნოლოგიური, საინჟინრო სკოლები და ა.შ., რა თქმა უნდა, მე-19 საუკუნეში ისევე იყო ბიზნესის განვითარების შედეგი, როგორც დაწყებითი სკოლა – მე-16 საუკუნეში. ხოლო პედაგოგიური სკოლის წარმოშობის მიზეზი იყო მასწავლებლების ნაწილობრივ პროფესიული და ნაწილობრივ კულტურული მომზადების აუცილებლობა.

ჩვენ გავაქვს სასკოლო სისტემის რვა სხვადასხვა ნაწილი, რომელიც მოცემულია სქემაზე. ყოველი მათგანი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში წარმოიშვა, განსხვავებული მიზნები ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული მეთოდებიც. მე არ ვამბობ, რომ წარსულში არსებული იზოლაცია და განცალკევება სასკოლო სისტემის ნაწილებს შორის დღესაც არსებობს. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი ერთ დასრულებულ მთლიანობად ჯერ კიდევ არ ქცეულა. სკოლის ადმინისტრირების მხრივ, ყველაზე დიდ პრობლემად დღესაც მათი გაერთიანება რჩება.

განვიხილოთ მასწავლებლების მოსამზადებელი სკოლები – პედაგოგიური სკოლები. ისინი დღეს სრულიად ანომალურ, უმაღლეს სკოლასა და კოლეჯს შუა, პოზიციაში აღმოჩნდა – უმაღლესი სკოლის დონის მომზადებას მოითხოვს და კოლეჯის სამუშაოს ასრულებს. მათ სტიპენდიის თემა არ ეხებათ, თუმცა, მთლიანობაში, ისინი პიროვნებებს ასწავლიან, როგორ ასწავლონ, და არა – რა ასწავლონ მაშინ, როდესაც კოლეჯში, ამ იზოლაციის მეორე ნაწილში, ასწავლიან, რა უნდა ასწავლონ და სწავლების მეთოდებს არაფრად აგდებენ. კოლეჯს ბავშვებსა და ყმაწვილებთან მაინცდამაინც დიდი კონტაქტი არ აქვს. მისი მოსწავლეები კი, დიდწილად სახლს მოშორებულები, თავიანთ ბავშვობას ივიწყებენ, ნელ-ნელა საგნების საუკეთესოდ მცოდნე მასწავლებლები ხდებიან, მაგრამ იმის ცოდნა არ გააჩნიათ, თუ როგორ უკავშირდება ეს ცოდნა იმათ აზროვნებას, ვისაც ეს საგნები უნდა ასწავლონ. საგანმანათლებლო სისტემის ამ დანაყოფში ის, რაც უნდა ასწავლო, სწავლების მეთოდისაგან სრულიად განცალკევებულია.


საინტერესოა, თვალი გავადევნოთ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლას შორის ურთიერთკავშირს. დაწყებითი სკოლა სავსეა საგნებით, რომლებიც ადრინდელი, ახალი ინგლისის საშუალო სკოლაში ისწავლებოდა. უმაღლესმა სკოლამ თავისი საგნები უარყო. ლათინური და ალგებრა უმაღლეს საფეხურზე ატანილი, ამიტომ მეშვიდე და მერვე საფეხურები მთლიანად ადრინდელი საშუალო სკოლებისაგან დარჩენილი საგნებით შეივსო. საშუალო სკოლა არის რაღაც ამორფული წარმონაქმნი, სადაც ბავშვები მიდიან ნაწილობრივ იმისათვის, რომ ისწავლონ ის, რაც უკვე ნასწავლი აქვთ (წერა, კითხვა და ანგარიში), და ნაწილობრივ უმაღლესი სასწავლებლისათვის მოემზადონ. ახალი ინგლისის ზოგიერთ ნაწილში ამ სკოლებს „საშუალო სკოლები“ ჰქვია. ეს სახელი ბედნიერად ემთხვევა ჩვენს მიზანს, ანუ მისი დანიშნულება საშუალო (გარდამავალი) საფეხურია იმასა და იმას შორის, რაც იყო და რაც უნდა ყოფილიყო.

ზუსტად ისევე, როგორც ნაწილებია განცალკევებული, განსხვავდება მიზნებიც – მორალური განვითარება, პრაქტიკული გამოყენება, ზოგადი კულტურა,

დისციპლინა და პროფესიული მომზადება. ამ მიზანთაგან თითოეული წარმოდგენილია განათლების სისტემის რომელიღაც გამოკვეთილ ნაწილში. მათ შორის მზარდი ურთიერთქმედების შედეგად, ყოველი მათგანი შეძლებდა გარკვეული მოცულობის კულტურის, საგნებისა და პრაქტიკული ცოდნის მოსწავლეებისათვის მიწოდებას. მაგრამ ფუნდამენტური ერთიანობის არარსებობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ზოგი სწავლება ჯერ კიდევ დისციპლინის განვითარებას ისახავს მიზნად, მეორე კი – კულტურის; არითმეტიკის ერთი ნაწილი – დისციპლინის განვითარებას, მეორე კი – გამოყენებითს; ლიტერატურა – კულტურის, გრამატიკა – დისციპლინის; გეოგრაფია – ნაწილობრივ კულტურის, ნაწილობრივ გამოყენებითის და ა.შ. განათლების ერთიანობა დარღვეულია და სწავლება ცენტრიდანული ძალის ზეგავლენით იფანტება. რამდენადაც ერთი ტიპის სწავლება ერთი მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს, იმდენად მეორე – მეორისას, სანამ მთელი ეს პროცესი დაპირისპირებულ მიზნებს შორის აბსოლუტურ კომპრომისად არ იქცევა და სხვადასხვა ნაკუწისაგან შედგენილს არ დაემსგავსება. განათლების ადმინისტრირების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მთლიანობის შენარჩუნებაა. განათლებაში არსებობს ერთმანეთთან დაუკავშირებელი და, ხანდახან დუბლირებული, ნაწილების მთელი რიგი. განათლების კარგი ადმინისტრირება ნიშნავს მათი გაერთიანების გზით დანაკარგების შემცირებას, რასაც წინააღმდეგობა, დუბლირება და არასწორი კავშირები იწვევს.

ამ მეორე სიმბოლურ დიაგრამაში (II) მინდა ვაჩვენო, რომ სისტემის ნაწილების გაერთიანების ერთადერთი გზა ამ თითოეულის დაკავშირებაა ცხოვრებასთან. თუ ჩვენს ყურადღებას მხოლოდ თვითონ სასკოლო სისტემით შემოვფარგლავთ, ხელოვნურ გაერთიანებას მივიღებთ. მას, როგორც უფრო დიდი სოციალური ცხოვრების ნაწილს უნდა შევხედოთ. ბლოკი (A) ცენტრში არის სასკოლო სისტემა, როგორც მთელი. (1) ერთ მხარეს გვაქვს სახლი, ორი ისარი გვიჩვენებს საოჯახო და სასკოლო ცხოვრებას შორის გავლენების, მასალებისა და იდეების თავისუფალ ურთიერთგაცვლას.

(2) ქვევით გვაქვს ბუნებრივ გარემოსთან კავშირი, გეოგრაფიის უზარმაზარი სფერო, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. სკოლის შენობას გარშემო ბუნებრივი გარემო აქვს. ის აუცილებლად უნდა იყოს ბაღში და ბავშვები ბაღიდან ახლომდებარე სივრცეში უნდა გავიყვანოთ, მოვლენებისა და ძალების დიდ სამყაროში. (3) ზევით მოცემულია ბიზნესის სფერო და სკოლასა და წარმოების საჭიროებებსა და ძალებს შორის თავისუფალი გაცვლის აუცილებლობა. (4) მარცხენა მხარეს ნაჩვენებია უნივერსიტეტი თავისი ლაბორატორიებით, რესურსებით, ბიბლიოთეკებით, მუზეუმებით და პროფესიონალური სკოლებით.



ბავშვის შეხედულებით, სასკოლო სისტემის დანაკარგები სკოლის გარეთ მიღებული გამოცდილების სკოლის შიგნით სრულად და თავისუფლად გამოყენების საშუალების არქონიდან მომდინარეობს, მეორე მხრივ, მას საშუალება არ აქვს, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსცადოს ის, რასაც სკოლაში სწავლობს. სკოლაში მისვლისას, ბავშვი გამოხატავს იმ იდეების, ინტერესებისა და საქმიანობების უმეტესობას, რომლებიც მის ოჯახსა და სამემობლოში დომინირებს. სკოლა ვერ ახერხებს, სარგებლობა გამოუნახოს ამ ყოველდღიურ გამოცდილებას და მრავალფეროვანი საშუალებებით ცდილობს ლერძის შეცვლასა და ბავშვში სკოლაში სწავლისადმი ინტერესის გამოწვევას, რაც ძალზე რთულია. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ქალაქ მოლინში ვიყავი ჩასული, იქაური სკოლის დირექტორმა მითხრა, რომ ბავშვები გაკვირვებულები დარჩნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ მდინარე მისისიპი, რომლის შესახებაც მათ სახელმძღვანელოებიდან ისწავლეს, წყლის იმ ნაკადს რაღაცნაირად უკავშირდებოდა, რომელიც მათი სახლების სიახლოვეს მიედინებოდა. როდესაც გეოგრაფია მხოლოდ საკლასო ოთახში შესასწავლი საგანი ხდება, ბავშვებს უჭირთ იმის გაგება, რომ ეს მხოლოდ უფრო ფორმალური და ჩამოყალიბებული თხრობაა იმისა, რასაც ისინი ყოველდღიურად ხედავენ, გრძნობენ და ეხებიან. როდესაც დავფიქრდებით იმაზე, რომ ჩვენ ყველა ატმოსფეროთი გარემოცულ დედამიწაზე ვცხოვრობთ, რომ ჩვენს ცხოვრებაზე სინათლისა და სითბოს აღდგენით გავლენას ახდენს ნიადაგი, ფაუნა და ფლორა, და შემდეგ იმაზე ვფიქრობთ, როგორი იყო სკოლაში გეოგრაფიის სწავლება, ვხვდებით, რამხელა ბზარია ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებასა და იმ მასალას შორის, რომელიც მათ სკოლაში ასეთი დიდი მოცულობით მიეწოდებათ. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია და სწორედ ის, რომელიც დღევანდელი სკოლის ხელოვნურობის საჭიროებასა და აუცილებლობაში ბევრ ჩვენგანს დააეჭვებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლასა და ბიზნესს შორის ორგანული კავშირი უნდა იყოს, ეს არ ნიშნავს, რომ სკოლამ ბავშვი რაიმე კონკრეტული ბიზნესისათვის უნდა მოამზადოს. ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მის გარშემო არსებულ ბიზნესგარემოს შორის ბუნებრივი კავშირები უნდა იყოს. სკოლის დანიშნულებაა, ის განმარტოს, გააფართოოს და ბავშვებს ეს ურთიერთობები გააცნობიერებინოს. და ეს გააკეთოს არა სპეციალური საგნების შემოტანით, როგორებიცაა კომერციული გეოგრაფია ან არითმეტიკა, არამედ უბრალო ურთიერთობების ცოცხლად შენარჩუნებით. ერთობლივი ბიზნესპარტნიორობის საგანი დღეს ალბათ აღარ ისწავლება, მაგრამ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სახელმძღვანელოების შემქმნელებს უმტკიცებდნენ, რომ თუ ისინი ამ საგ-

ნიდან რაიმეს გამოტოვებდნენ, წიგნებს ველარ გაყიდდნენ. ერთობლივი ბიზნეს-პარტნიორობის ეს საგანი სათავეს მე-16 საუკუნიდან იღებს. სააქციო კაპიტალის კომპანია ჯერ გამოგონილი არ იყო, ინდოეთთან და ამერიკასთან გაზრდილ-მა ვაჭრობამ დიდი კაპიტალის აკუმულირების აუცილებლობა მოიტანა. ერთმა ადამიანმა თქვა: „მე ვდებ ამ რაოდენობის თანხას ექვსი თვის ვადით“, მეორემ თქვა: „მე კი ამდენს — ორი წლის ვადით“ და ა. შ. ასე შეგროვებული კაპიტალი საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავისი კომერციული საქმიანობა შეენარჩუნებინათ. ბუნებრივია, ამის შემდეგ სკოლაში „ერთობლივი პარტნიორობის“ სწავლება დაიწყო. სააქციო კომპანიაც გამოიგონეს. ერთობლივი პარტნიორობა გაქრა, მაგრამ მასთან დაკავშირებული პრობლემები არითმეტიკაში კიდევ ორი საუკუ-ნე დარჩა და იმის შემდეგაც კი შენარჩუნდა, თითქოსდა გონების გავარჯიშების მიზნით, რაც მათ პრაქტიკული გამოყენება აღარ ჰქონდათ. დღემდე არსებული არითმეტიკის დიდი, პროცენტებთან დაკავშირებული, ნაწილი, იმავე ბუნებისაა. თორმეტი, ცამეტი წლის ბავშვები სწავლობენ მოგება-წაგების დაანგარიშებას და ისეთ რთულ საბანკო ოპერაციებს, რომლებსაც ბანკირები დიდი ხნის წინ აკეთებდნენ. როდესაც ვამბობთ, რომ ბიზნესი დღეს ასე აღარ კეთდება, გვპა-სუხობენ, ეს „გონების ვარჯიშიაო“ (mental discipline). და მაინც, ბავშვის გამოც-დილებასა და ბიზნესპირობებს შორის მრავალი კავშირი არსებობს, რომელიც გამოყენებასა და გაშუქებას მოითხოვს. ბავშვმა კომერციული არითმეტიკა და გეოგრაფია უნდა ისწავლოს არა განყენებულად, არამედ, როგორც სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული. ახალგაზრდებს სჭირდებათ, გაეცნონ ბანკს, რო-გორც თანამედროვე ცხოვრების ფაქტორს, გაიგონ, რას აკეთებს და როგორ აკეთებს ის. მაშინ მასთან დაკავშირებული არითმეტიკული პროცესები მათთვის გასაგები გახდება. სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს უამრო და ხანგრ-ძლივ მაგალითებს პროცენტების, ნაწილობრივი გადახდების და ა. შ. შესახებ, რომლებითაც ჩვენი არითმეტიკის სახელმძღვანელოები გადავსებულა.


უნივერსიტეტთან კავშირი, როგორც ეს სქემამეა ნაჩვენები, დაწვრილებით განხილვას არ მოითხოვს. მე უბრალოდ მინდა დაგანახოთ, რომ სასკოლო სის-ტემის სხვადასხვა ნაწილს შორის ურთიერთქმედება აუცილებელია. დაწყებითი და საშუალო განათლების საგნებში ბევრი რამაა სრულიად უმნიშვნელო. მათი შესწავლის დროს ვხედავთ, რომ ის სავესეა ფაქტებით, რომლებიც ასეთები სუ-ლაც არ არის და მოგვიანებით მათი უარყოფა მოგვიწევს. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი სასკოლო სისტემის „ქვედა“ ნაწილებს ცოცხალი კონტაქტი არა აქვს „ზედა“ ნაწილებთან. უნივერსიტეტი ან კოლეჯი უნდა იყოს ადგილი, სადაც კვლევა მიმ-დინარეობს, არის ბიბლიოთეკები და მუზეუმები, სადაც გროვდება, ინახება და

ლაგდება წარსულის საუკეთესო რესურსები. ის, რომ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საშუალებითა და ცნობისმოყვარე მიდგომით მიიღწევა, ეხება როგორც უნივერსიტეტს, ისე სკოლას. მოსწავლემ უნდა ისწავლოს ის, რასაც მნიშვნელობა აქვს და რაც მის ჰორიზონტს აფართოებს, და არა ის, რაც უმნიშვნელოა. ის უნდა გაეცნოს სიმართლეს და არა იმას, რაც ასეთად ორმოცდაათი წლის წინ ითვლებოდა ან საეჭვო განათლების მქონე მასწავლებელი თვლის. ძნელია იმის თქმა, როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, თუ არა საგანმანათლებლო სისტემის ყველაზე მოწინავე ნაწილის ყველაზე ჩამორჩენილთან სრული ურთიერთქმედებით.

შემდეგ (III) სქემაში მოცემულია მეორის განვრცობა. სკოლის შენობა, ასე ვთქვათ, გაიზარდა, თუმცა მის გარშემო არსებული გარემოს, სახლი, ბაღი, ქვეყანა, ბიზნესცხოვრებასთან და უნივერსიტეტთან კავშირი იგივე დარჩა. ჩვენი მიზანია იმის ჩვენება, როგორი უნდა გახდეს სკოლა, რომ იზოლაციას თავი დააღწიოს და სოციალურ ცხოვრებასთან ორგანული კავშირი უზრუნველყოს. ეს, რა თქმა უნდა, არქიტექტორის პროექტი არ არის, მაგრამ არის სქემატური გამოხატულება იდეისა, რომლის განხორციელების დანახვა სკოლის შენობაში გვინდა. ქვედა მხარეს თქვენ ხედავთ სასადილო ოთახს და სამზარეულოს, ზედა ნაწილში კი – ხისა და მეტალის სახელოსნოებსა და ტექსტილის ოთახს კერვისა და ქსოვისათვის. ცენტრი კი, ბიბლიოთეკის სახით, არის ადგილი, სადაც ყველაფერი თავს იყრის, ანუ მთელი ინტელექტუალური რესურსი, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობას შუქს ჰფენს, მას მნიშვნელობასა და ლიბერალურ ღირებულებას სძენს. თუ ოთხი კუთხე არის პრაქტიკა, შიდა მხარე პრაქტიკული საქმიანობის თეორიაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ტიპის საქმიანობის მიზანი თვითონ მათში არ არის, არც მზარეულობის, თერძობის, დურგლობის და ქვის მთლელობის ტექნიკური ჩვევების შექმნაშია, არამედ ცხოვრებასთან სოციალურ კავშირში;

ხოლო ინდივიდუალური თვალსაზრისით, ისინი აკმაყოფილებს ბავშვის ქმედების, გამოხატვის სურვილს, მოთხოვნილებას, გააკეთოს, ააგოს, შექმნას და, უბრალოდ, პასიური არ იყოს. მათი მნიშვნელოვნება სოციალური და ინდივიდუალური მხარეების დაბალანსებაშია – სქემა სწორედ ასეთ კავშირს გვიჩვენებს. აქ ერთ მხარეს სახლია. როგორ ბუნებრივად აკავშირებს ეს ხაზები სახლს სკოლის სამზარეულოსა და ტექსტილის ოთახთან და – პირიქით. ბავშვს შეუძლია, სახლში შექმნილი ცოდნა სკოლაში მიიტანოს და გამოიყენოს, ხოლო სკოლაში შექმნილი კი – სახლში. ეს ის ორი დიდი რამაა, რაც იზოლაციას ანგრევს, კავშირს ამყარებს, რომ ბავშვი სკოლაში გარეთ შექმნილი მთელი გამოცდილებით მოვიდეს.


სფერო III



როდესაც ბავშვი ტრადიციულ სკოლაში მოდის, მას ჯანმრთელი სხეული და მეტ-ნაკლებად მოუშზადებელი გონება აქვს. თუმცა, ფაქტობრივად, გონება ამ სკოლაში სულაც არ სჭირდება, რადგან აქ მისი გამოყენების არანაირი საშუალება არ არსებობს. მას რომ წმინდად აბსტრაქტული გონება ჰქონოდა, შეიძლებოდა ის სკოლაში გამოსდგომოდა, მაგრამ მისი გონება კონკრეტული საკითხებითაა დაინტერესებული და თუ სკოლაში ისინი არ დახვდა, მის გონებას აქ გამოყენება არ ექნება. ჩვენი მიზანია, რომ ბავშვი სკოლაში სრულყოფილი სხეულითა და გონებით მოვიდეს და აქედან მეტად სრულყოფილი გონებითა და კიდევ უფრო ჯანმრთელი სხეულით წავიდეს. სხეულზე ლაპარაკი გულისხმობს იმას, რომ, თუმცა სკოლის შენობის ნახაზზე სპორტული დარბაზი არ არის, ამ სკოლის ოთხივე კუთხეში მიმდინარე აქტიურ ცხოვრებას მუდმივი ფიზიკური ვარჯიში ახლავს, მაშინ როდესაც ჩვენი სპორტული დარბაზი იმისთვის იქნება, რომ ბავშვების კონკრეტული ფიზიკური სისუსტეები გამოასწოროს და უფრო გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი ჯანმრთელი სხეულის, როგორც ჯანმრთელი სულის სამყოფლის, შენებას.

აღბათ იმის აღნიშვნა არც ღირს, რომ სასადილო ოთახი და სამზარეულო ბუნებას, მის პროცესებსა და პროდუქტებს უკავშირდება. მზარეულობა შეიძლება ისე ვასწავლოთ, რომ მას კავშირი არ ჰქონდეს სოფლის ცხოვრებასთან და იმ მეცნიერებებთან, რომლებიც ერთი სახელის – გეოგრაფიის ქვეშ ერთიანდება. აღბათ, ჩვეულებრივ, ის ამ კავშირების რეალურად დამყარების გარეშეც ისწავლება. მაგრამ ყველა პროდუქტი, რომელსაც ჩვენ სამზარეულოში ვხედავთ, სოფლიდანაა. ის მოდის მიწაზე სინათლისა და წყლის ზემოქმედებით და ადგილობრივი გარემოს მრავალფეროვნებას ასახავს. ამ კავშირების შედეგად, რომლებიც ბალიდან დიდ სამყაროში გადადის, ბავშვი სრულიად ბუნებრივად იწყებს მეცნიერების შესწავლას. სად გაიზარდა? რა იყო საჭირო მისი მოყვანისათვის? რა კავშირი აქვს ნიადაგთან? რა ზეგავლენა ჰქონდა მათ ზრდაზე განსხვავებულ კლიმატურ პირობებს? და ა.შ. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა იყო ტრადიციული ბოტანიკა: ნაწილობრივ ყვავილების შეგროვება, რომლებიც თავისთავად მშვენიერი იყო, შემდეგ, გახმობა და მუყაოზე დაკვრა; ასევე, ყვავილების დაშლა ნაწილებად და თითოეულისათვის ტექნიკური სახელის დარქმევა, სხვადასხვა ფორმის ფოთლების შეგროვება და ყოველი ფორმისათვის სახელის მინიჭება. ბოტანიკა იყო მცენარეების შესწავლა ნიადაგისა და ზრდის ფაქტორების გაუთვალისწინებლად. ამის საპირისპიროდ, მცენარეების რეალური შესწავლა ნიშნავს ბუნებრივი ზრდის გარემოსა და მის არა მხოლოდ საკვებად გამოყენების, არამედ ადამიანის სოციალური ცხოვრებისათვის მისი მორგების ყველა

სფეზა IV



შესაძლებლობის შესწავლას. მზარეულობა ქიმიის შესწავლისთვისაც შეიძლება საუკეთესო დასაწყისი იყოს და ბავშვს აძლევს რაღაცას, რითაც ის თავის ყოველდღიურ გამოცდილებაზე მაშინვე ზემოქმედებს. ერთხელ ერთი ჭკვიანი ქალისაგან მოვისმინე, რომ მას არ ესმის, როგორ უნდა ასწავლო პატარა ბავშვებს მეცნიერება, რადგან ვერ ხედავს, როგორ უნდა მიახვედრო ისინი, რა არის ატომი და მოლეკულა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან ის ვერ ხედავდა, როგორ უნდა მიგვეწოდებინა ბავშვებისათვის უკიდურესად აბსტრაქტული საკითხები ყოველდღიური გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ მას საერთოდ არ ესმოდა, როგორ უნდა გვესწავლებინა მეცნიერება. სანამ ამ შეკითხვაზე გავველიძებო, ვკითხოთ ჩვენს თავს, მხოლოდ ამ ქალს მოუვიდა თავში ეს აზრი თუ მის კითხვაში უბრალოდ ჩვენი სკოლების პრაქტიკისათვის დამახასიათებელი პრინციპია ფორმულირებული.

სადურგლო და საფეიქრო სახელოსნოებს გარე სამყაროსთან იგივე ურთიერთობა აქვთ. ისინი უკავშირდება ბუნებას, როგორც მასალის წყაროს, ფიზიკას – როგორც ენერჯის გამოყენების მეცნიერებას, კომერცისა და დისტრიბუციას, ხელოვნებას – არქიტექტურისა და დეკორირების განვითარების თვალსაზრისით. მათ ასევე ახლო კავშირი აქვთ უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ, საინჟინრო სკოლებთან, ლაბორატორიების სამეცნიერო მეთოდებთან და შედეგებთან.

მიუხედავად კვადრატს, რომელსაც აწერია „ბიბლიოთეკა“ (სქემა III, B): თუ ჩვენ წარმოვიდგინებთ სივრცეს, ნახევრად კუთხეებში და ნახევრად ბიბლიოთეკაში, წარმოვდგინებთ შეგვექმნება სასაუბრო ოთახზე, სადაც ბავშვებს მოაქვთ თავიანთი გამოცდილება, შეკითხვები, პრობლემები, კონკრეტული ფაქტები, რომლებიც აღმოაჩინეს და მათზე მსჯელობენ. სხვების გამოცდილებისა და მსოფლიოში დაგროვილი სიბრძნის გაზიარებამ, რომლის სიმბოლოც არის ბიბლიოთეკა, შეიძლება ყველაფერი ეს ახალი კუთხით დაანახვოს მათ. ეს არის თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი. ბავშვი არა მარტო აკეთებს რაღაცას, არამედ წარმოვდგინებს იქმნის, თუ რას აკეთებს და დასაწყისიდანვე იყალიბებს გარკვეულ ინტელექტუალურ კონცეფციას, რომელიც მის გამოცდილებას ემატება და ამდიდრებს. ამავე დროს, ყოველი იდეა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენება გამოცდილებაში და მის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

კიდევ ერთი სქემა (IV) ზუსტად იმავე იდეის ილუსტრირებაა. ის სიმბოლური იდეალური სკოლის ზედა სართულია. ზედა კუთხეებში მოცემულია ლაბორატორიები, ქვედა კუთხეებში კი – ხელოვნების სტუდიები, როგორც სამხატვრო, ისევე მუსიკალური. კითხვები, ფიზიკისა და ქიმიის პრობლემები, რომლებიც სამზარეულოსა და სახელოსნოებში წარმოიშვა, შემდგომი დამუშავებისათვის ლა-

ბორატორიებში გადადის. მაგალითად, წინა კვირას უფროსკლასელი ბავშვების ერთმა ჯგუფმა, რომელიც დაზგაზე ქსოვაში პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებდა, რაც საქსოვი ბორბლის გამოყენებას გულისხმობდა, პედლისა და ბორბლის მუშაობაში ჩართული ძალების მიმართულებისა და ბორბლისა და თითისტარის სიჩქარეებს შორის ურთიერთკავშირის ნახაზები შექმნეს. იმავენაირად, მცენარეები, რომლებსაც ბავშვი საჭმლის მომზადების დროს იყენებს, ბოტანიკით მისი დაინტერესების საფუძველს აჩვენებს და შეიძლება შემდგომი შესწავლის საგანი გახდეს. ბოსტონის ერთ-ერთ სკოლაში რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ბამბის მეცნიერული შესწავლა. და მაინც, ყოველდღიურად რაღაც ახალი ჩნდებოდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, იმავე სამუშაოს ჩატარებას ყველა მცენარეზე, რომელიც კერვისა და ქსოვისათვის მასალაა. იმედი მაქვს, ამ მაგალითებს იმ კავშირებამდე მივყავართ, რომლებიც ლაბორატორიებს ზოგადად სკოლასთან აქვს.

ხატვა და მუსიკა, ანუ გრაფიკული და აუდიოხელოვნება, არის იდეალიზაციის კულმინაცია, მთელი განვლილი სამუშაოს უმაღლეს დონეზე დახვეწა. ვფიქრობ, ყველა, ვისაც ამ საკითხისადმი მხოლოდ ლიტერატურული დამოკიდებულება არა აქვს, აღიარებს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ხელოსნის სამუშაოდან იწყება. აღორძინების ხანის ხელოვნება დიადი იყო იმიტომ, რომ ხელსაქმის ხელოვნებიდან წარმოიშვა. ის უცებ, იზოლირებულ ატმოსფეროში, თუნდაც იდეალურში კი არ აღმოცენებულა, არამედ სულიერი პროცესებიდან მომდინარეობდა, რომლებიც სახლისა და ცხოვრების ყოველდღიურ ფორმებში არსებობდა. სკოლა ამ ურთიერთკავშირს უნდა დააკვირდეს. მხოლოდ სახელოსნო საქმე ვიწრო და შეზღუდულია, მაგრამ ცალკე აღებულ უბრალო ხელოვნება იძულებითი, ცარიელი და სენტიმენტალურია. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ ყველანაირი სახელოვნებო საქმე აუცილებლად სხვა სასკოლო საქმესთან დეტალურად უნდა დავაკავშიროთ. მე ვამბობ, რომ ერთიანობის სული ხელოვნებას სიცოცხლისუნარიანს ხდის და სხვა საქმიანობას სიღრმესა და სიმდიდრეს ანიჭებს. სახელოვნებო საქმიანობაში ჩართულია ალქმის ყველა ორგანო – თვალი და ხელი, ყური და ხმა, მაგრამ ხელოვნება ბევრად მეტია, ვიდრე გამოხატვის ორგანოების უბრალო ტექნიკური ჩვევები. ის მოიცავს იდეას, აზრს, და არა საგნების ჩვეულებრივ გადმოცემას. და მაინც, ის ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ იდეების განსაზღვრული რიცხვი. ის აზრისა და გამოხატვის საშუალებების ცოცხალი ერთობაა. იდეალურ სკოლაში სახელოვნებო სამუშაო შეიძლებოდა ჩათვლილიყო სახელოსნოების სამუშაოდ, რომელიც ბიბლიოთეკისა და მუზეუმის გზით დაიწმინდება.

ასეთი სინთეზის მაგალითად საფეიქრო სახელოსნო ავიღოთ. მე ვლაპარაკობ მომავლის სკოლაზე, რომელიც, იმედი მაქვს, ოდესმე გვექნება. ამ ოთახში მთავარი არის ის, რომ ეს არის სახელოსნო, სადაც კერვის, ქსოვისა და საფეიქრო სამუშაოები სრულდება. ბავშვები უშუალოდ ეცნობიან ძირითად მასალას – აბრეშუმის, ბამბის, ტილოსა და შალის სხვადასხვა ქსოვილს. ინფორმაცია ამ მასალების შესახებ – წარმოშობა, ისტორია, მათი კონკრეტული დანიშნულებით გამოყენება, სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარები, რომელთა მეშვეობითაც ნედლეული ქსოვილებად იქცევა, მაშინვე ხდება ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი. დისკობლინა წარმოიშვება არსებულ, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პრობლემებთან შეხებით. საიდან ჩნდება კულტურა? ნაწილობრივ იქიდან, რომ ყველაფერ ამას მეცნიერული პირობებისა და ასოციაციების გარემოში არეკლილს ხედავენ, საიდანაც ბავშვი მათ აფასებს, როგორც ტექნიკურ მიღწევებს, როგორც ქმედების შედეგად ჩამოყალიბებულ აზრებს. ნაწილობრივ კი იქიდან, რომ ამ ოთახში თვითონ ხელოვნების იდეა შემოდის. იდეალურ სკოლაში რაღაც ასეთი უნდა იყოს: სრულყოფილი ინდუსტრიული მუზეუმი, მასალების ნიმუშები მანუფაქტურული დამუშავების სხვადასხვა სტადიაში და ამისთვის საჭირო ინსტრუმენტები, დაწყებული მარტივიდან და დამთავრებული რთულით; სურათები, რომლებიც ამ მასალების წარმოშობისა და მათი დამუშავების ადგილებს ასახავს. ასეთი კოლექცია ხელოვნების, მეცნიერებისა და წარმოების სინთეზის ნათელი გაკვეთილი იქნება. ამ მუზეუმში წარმოდგენილი იქნება საფეიქრო მრეწველობის ყველაზე სრულყოფილი ფორმების – იტალიური, ფრანგული, იაპონური და აღმოსავლური ნიმუშები. აქვე იქნება ნივთები, რომლებიც დიზაინისა და დეკორატიული მოტივების ილუსტრირება იქნება. ლიტერატურა თავის ადგილს დაიკავებს მსოფლიო ინდუსტრიის იდეალისტურად წარმოდგენაში. მაგალითად, პენელოპე ოდისეაში – კლასიკურ ლიტერატურაში – სოციალური ცხოვრების გარკვეული ინდუსტრიული ეტაპის ადეკვატური განსხეულებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰომეროსიდან დაწყებული, დღევანდელ დღემდე, არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტების უწყვეტი რიგი, რომელიც შემდეგ ხელოვნების ენაზე ითარგმნება. მუსიკა იღებს რაღაცას შოტლანდიური სიმღერიდან, რომელიც საქსოვ დაზგასთან იმღერებოდა, მარგარიტას სიმღერიდან, რაღაცას კი ვაგნერის სენტადან. სახელოსნო თვალისათვის სასიამოვნო სურათებით მორთული ადგილი ხდება. მე შევეცადე მეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება სკოლა ცხოვრებას დაუკავშირდეს და ბავშვმა თავისთვის ნაცნობი გზით მოპოვებული გამოცდილება სკოლაში მიიტანოს და გამოიყენოს, და პირიქით, იქ მიღებული ცოდნა – ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამით

იქმნება ორგანული მთლიანობა, და არა იზოლირებული ნაწილების ერთობა. სწავლების, ისევე როგორც სასკოლო ცხოვრების ნაწილების, იზოლირება ქრება. გამოცდილებას აქვს გეოგრაფიული ასპექტი, არტისტული, ლიტერატურული, სამეცნიერო და ისტორიული მხარეები. ყველა სწავლება მომდინარეობს ერთი დედამიწის ასპექტებიდან და მასზე ერთი სიცოცხლიდან. ჩვენ არ გავაქვს დედამიწების ფენები, რომელთაგან ერთი მათემატიკურია, მეორე – ფიზიკური, მესამე – ისტორიული და ა.შ. ჩვენ ვერ შევძლებდით, თითოეულ მათგანში, ცალკე აღებულში, დიდხანს გვეცხოვრა. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყველა მხარე ერთმანეთზეა გადაბმული. ყველა სწავლება მომდინარეობს ერთ დიდ საერთო სამყაროში ურთიერთობებიდან. როდესაც ბავშვი ამ დიდ სამყაროსთან ცვალებადი, მაგრამ კონკრეტული ურთიერთკავშირით ცხოვრობს, მისი სწავლის პროცესი ერთიანია. სწავლების ერთმანეთთან დაკავშირების პრობლემა აღარ იქნება. მასწავლებელს არ დასჭირდება, ათასნაირ ხერხს მიმართოს, რათა ისტორიის გაკვეთილში მცირეოდენი არითმეტიკა ჩართოს. დააკავშირეთ სკოლა ცხოვრებასთან და სხვადასხვა საგნის ერთმანეთთან დაკავშირების პრობლემა აღარ იქნება.

მეტიც, თუ სკოლას, როგორც ერთ მთლიანობას, ცხოვრებასთან, როგორც მთლიანობასთან, დავაკავშირებთ, მისი სხვადასხვა მიზანი და იდეალი – კულტურა, დისციპლინა, ინფორმაცია და მოხმარება აღარ იქნება ვარიანტები, რომელთაგან ერთისათვის სწავლების ერთი ფორმა უნდა გამოვიყენოთ, მეორისათვის – მეორე. ბავშვის აღზრდას სოციალური უნარებისა და სამსახურის მიმართულებით თუ წარვმართავთ, მისი უფრო დიდი და ცოცხალი კავშირი ცხოვრებასთან გამაერთიანებელ მიზნად იქცევა, ხოლო დისციპლინა, კულტურა და ინფორმაცია ამ აღზრდაში ეტაპების ადგილს დაიკავებენ.

კიდევ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჩვენი კონკრეტული სკოლის ურთიერთობაზე უნივერსიტეტთან. პრობლემა არის განათლების გაერთიანება და ორგანიზება, მისი სხვადასხვა ფაქტორის თავის მოყრა, რათა ის, როგორც მთლიანი, ყოველდღიურ ცხოვრებას ორგანულად დაუკავშირდეს. უნივერსიტეტის პედაგოგიკური სკოლის უკან დგას განათლების გაერთიანებისათვის საჭირო მოდელის გამომუშავების აუცილებლობა, რომელიც ოთხი წლის ბავშვთან მუშაობიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე პერიოდს მოიცავს. უნივერსიტეტი, მისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები სამეცნიერო სამუშაოს დეტალურად დაგეგმვაში უკვე ძალიან გვეხმარებიან. ჩვენთან ხშირად მოდიან დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებსაც თავიანთი კვლევები მოაქვთ და იდეებსა და პრობლემებს გვთავაზობენ. ბიბლიოთეკა და მუზეუმიც აქვე გვაქვს. ჩვენ

გვინდა, ყველაფერი, რაც განათლებას უკავშირდება, გავაერთიანოთ და დავან-
გრიოთ ბარიერები, რომლებიც პატარა ბავშვებისა და მოწიფული ყმაწვილების
განათლებას შორის არსებობს. დავადგინოთ, რომ განათლებაში არ არსებობს
დაბალი და მაღალი დონეები, არამედ არსებობს უბრალოდ განათლება.

თუ საქმიანობის პედაგოგიურ მხარეზე ვილაპარაკებთ, მინდა, აღვნიშნო,
რომ ჩვენს ქვეყანაში უძველესი პედაგოგიკის კათედრა დაახლოებით ოცი წლი-
საა, ვგულისხმობ მიჩიგანის უნივერსიტეტის კათედრას, რომელიც სამოცდაათი-
ანი წლების ბოლოსაა დაარსებული. არსებობს კიდევ მხოლოდ ერთი-ორი, რო-
მელიც ცდილობს თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირის დამყარებას. ისინი
ძირითადად ლექციებისა და წიგნების მეშვეობით ასწავლიან, თეორიის, და არა
თვითონ აქტიური სწავლების საშუალებით. კოლუმბიის უნივერსიტეტში, მასწავ-
ლებლების კოლეჯში, უნივერსიტეტსა და მასწავლებლების მომზადების პრო-
ცესს შორის ახლო და ფართო კავშირია. ამ მიმართულებით შეიძლება რაღაც
კეთებოდეს ერთ-ორ სხვა ადგილასაც. ჩვენ ამაში მეტი ახლო ურთიერთობა
გვჭირდება. უნივერსიტეტმა მთელი თავისი რესურსები დაწყებით სკოლაში
ღირებული საგნებისა და სწორი მეთოდების დანერგვას უნდა მოახმაროს. სა-
მაგიეროდ, განათლების დარგის სტუდენტისათვის სკოლა იქნება ლაბორატო-
რია, რომელშიც ის დაინახავს ახალი თეორიების დემონსტრირებას, გამოცდას,
კრიტიკას, წახალისებასა და ახალი ტემპარიტეტების განვითარებას. ჩვენ გვინდა
სკოლა, რომელიც უნივერსიტეტთან თავისი კავშირით ერთიანი განათლების
სამუშაო მოდელი გახდება.

მინდა, ორიოდე სიტყვა ვთქვა, ზოგადად, სკოლის კავშირზე საგანმანათ-
ლებლო ინტერესებთან. ერთხელ მოვისმინე, რომ განსაზღვრული მეთოდის
გამოყენების საჭიროებას ერთ-ერთი მასწავლებელი შემდეგი სიტყვებით შეეწი-
ნააღმდეგა: „ეს ხომ ექსპერიმენტული სკოლაა. ისინი იმავე პირობებში არ მუშა-
ობენ, როგორშიც ჩვენ.“ ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი ისაა, რომ სხვებს ეს
ექსპერიმენტი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ექსპერიმენტი, არ სჭირდებათ. მათ
შეიძლება სხვა განსაზღვრული და პოზიტიური რამ აქვთ. იმისათვის რომ შედეგს
თავისუფლად და გარანტირებულად მივაღწიოთ, ექსპერიმენტს ხელსაყრელი
პირობები ესაჭიროება. მან დაუბრკოლებლად უნდა იმუშაოს და ყველა საჭირო
რესურსზე მიუწვდებოდეს ხელი. ყველა დიდი ბიზნესწამოწყების, ყველა დიდი
ფაბრიკის, რკინიგზისა და გემთმშენებლობის უკან ლაბორატორიები დგას.
თუმცა თვითონ ლაბორატორიას ბიზნესისა და წარმოების სფეროს ვერ მივა-
კუთვნებთ; ის ბიზნესცხოვრების ან კომერციული წამოწყებისათვის პირობების
უზრუნველყოფას არ მოითხოვს. დიდი განსხვავებაა ახალი ტემპარიტეტის ან მე-

თოდის აღმოჩენას, გამოცდასა და მისი ფართომასშტაბიანი გამოყენების, მრავალი ადამიანისათვის ხელმისაწვდომობის, კომერციალიზაციის უზრუნველყოფას შორის. მაგრამ მთავარი მაინც ჭეშმარიტების აღმოჩენა, მისთვის საჭირო საშუალებების უზრუნველყოფაა, რადგან ეს შორს მიმავალი მიზნების მიღწევის ყველაზე პრაქტიკული გზაა. ჩვენ არ ველით, რომ სხვა სკოლები ზედმიწევნით გაიმეორებენ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ჩვენი სამუშაო მოდელი არ არის ის, რისი კოპირებაც უნდა მოხდეს. ის იმისთვისაა, რომ პრინციპის განხორციელების შესაძლებლობისა და იმ მეთოდის დემონსტრირება მოახდინოს, რომლითაც უნდა განხორციელდეს. თუ ისევ ჩვენს შეხედულებას დავუბრუნდებით, გვინდა ერთიანობის, სასკოლო სისტემის შიგნით ორგანიზების პრობლემა დავძლიოთ. ეს კი უნდა გავაკეთოთ ცხოვრებასთან მისი ისეთი ახლო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფით, რომელიც ასეთი ორგანიზაციის შესაძლებლობასა და მთელი განათლებისათვის აუცილებლობას ყველას დაანახევებს.

IV. დანყბითი განათლების ფსიქოლოგია

ბუნებრივია, ადამიანების უმრავლესობას აინტერესებს, რა ხდება სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოღონდ ეს ინტერესი მხოლოდ ბავშვს უკავშირდება. ნათქვამი ეხება მშობლებს, რომლებიც თავიანთ შვილებს სკოლაში კონკრეტული, პირადი შედეგების მისაღწევად, და არა საგანმანათლებლო თეორიების ხელშესაწყობად უშვებენ. მაგრამ სკოლის სტუმრები სხვადასხვა დონეზე მაინც მხოლოდ იმას ხედავენ, რაც მათ თვალწინ ხდება. ისინი ვერ ხედავენ და არც აინტერესებთ, რაც სამუშაოს უკან, თვალისაგან დაფარულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. მაგრამ სკოლას თავისი სამუშაოს ეს ასპექტი მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს, რადგან მხოლოდ მათზე ყურადღების გამახვილებით შეძლებს, თავისი უფროსების კეთილგანწყობა და მოსწავლეები შეინარჩუნოს.

და მაინც, უნივერსიტეტის დეპარტამენტის მიერ მართულ სკოლას კიდევ ერთი სხვა ასპექტი უნდა ჰქონდეს. უნივერსიტეტის თვალსაზრისით, სკოლის მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე სამეცნიერო მხარეა, ანუ ის წვლილი, რომელიც მას საგანმანათლებლო ამრის განვითარებაში შეაქვს. უნივერსიტეტის ტრადიციული საქმიანობიდან, რომელიც ზრდასრული ადამიანების სწავლებით შემოიფარგლება, მოწყვეტის გამართლებად მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ბავშვებისთვის განათლების მიცემა ვერ გამოდგება. დაწყებითი განათლების პროცესში უნივერსიტეტის მონაწილეობის ერთადერთი მიზანი მეცნიერულია. ეს მიზანი სხვა ლაბორატორიების ტოლფასი ლაბორატორიის შექმნა და მართვაა. ასეთი სკოლა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ლაბორატორიაა. ეს ნიშნავს, რომ აქ ხდება ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების შესწავლა და იმ მასალებისა და ღონისძიებების შემდგომი

კვლევა, რომლებიც, სავარაუდოდ, ბავშვების ბრდისათვის ნორმალურ პირობებს ყველაზე მეტად შექმნიან და განავრცობენ.

ეს არ არის მასწავლებლების მოსამზადებელი სკოლა ან დეპარტამენტი. ეს არ არის სკოლის მოდელი. ის კონკრეტული იდეისა თუ დოქტრინის დემონსტრირებას არ ისახავს მიზნად. მისი ამოცანა ბავშვის გონებრივი აქტივობისა და ბრდის პროცესების, რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიამ შეისწავლა, განათლების ფონზე დანახვაა. ეს პრობლემა თავისი ბუნებით უკიდევანოა. ნებისმიერ სკოლას შეუძლია, მხოლოდ აქა-იქ შეუწყოს ხელი და განათლების ამ ფონზე განხილვის აუცილებლობას დაუჭიროს მხარი. ამ მიზანს, რა თქმა უნდა, სკოლის პირობები უნდა შეესაბამებოდეს. ბრდის პროცესებისა და კანონების ისეთ ხელოვნურ პირობებში, რომლებიც ბავშვის ცხოვრების მთავარი მოვლენების გამოშლავნებას უშლის ხელს, შესწავლის მცდელობა აშკარა აბსურდია.

ამ ლაბორატორიის პრაქტიკული დანიშნულება იქნება სწავლების ისეთი კურსის შექმნა, რომელიც ბავშვის უნარებისა და გამოცდილების ბრდის ბუნებრივ ისტორიას შეესაბამება. აქ საკითხი ეხება საგნების ისეთი პროპორციით შერჩევას, რომელიც სრულიად გარკვეულად უპასუხებს ბრდის განსაზღვრული პერიოდის საჭიროებებსა და იმ საპრეზენტაციო საშუალებების შერჩევას, რომლებიც ბრდის პროცესში შერჩეული მასალების სასიცოცხლო მონაწილეობას გამოიწვევს; ბავშვის ბრდის ამა თუ იმ საფეხურის სრული სამეცნიერო ცოდნის წარმოჩენას ვერა-ვინ შეძლებს. იმის მტკიცება, რომ უკვე აღმოჩენილია მასალა, რომელიც ბავშვის ბრდას სრულად შეუწყობს ხელს, მხოლოდ თვითდაჯერებულობა იქნება. საგანმანათლებლო ლაბორატორიას შეუძლია ამტკიცოს, რომ დღეისათვის საკმარისად არის ცნობილი იმ პირობებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გონებრივ ინტერესს გამოიწვევს. იმაზე მუშაობა, რაც უკვე ცნობილია, საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო მეტი დავადგინოთ. მთავარია, ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ჩვენს შეხედულებებს განამტკიცებს. მოთხოვნა გულისხმობს ისეთ ორგანიზებას, რომელიც კვლევის თავისუფლებას უზრუნველყოფს და წაახალისებს, იმის გარანტიას მოგვცემს, რომ მნიშვნელოვანი მოვლენები ყურადღების მიღმა არ დარჩება. ეს იქნება პირობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, დამახინჯებისა და დათრგუნვის გარეშე, ღიად ვიმოქმედოთ საგანმანათლებლო პრაქტიკაზე, რასაც ტრადიციებსა და მიკერძოებულ შეხედულებებზე ზედმეტი დამოკიდებულება იწვევს. ამ აზრით, სკოლა უნდა იყოს ადგილი ექსპერიმენტისათვის განათლებაში.

მაშ, რომელი მთავარი სამუშაო ჰიპოთეზები გადმოღებული ფსიქოლოგიიდან? რომელი საგანმანათლებლო ანალოგიები შეიძლება დავაყენოთ მათ დონეზე?

დღევანდელ და ძველ ფსიქოლოგიას შორის კონტრასტზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება ამ საკითხების განხილვასთან მიგვაახლოოს. ეს კონტრასტი სამმაგი ხასიათისაა. ძველი ფსიქოლოგია განიხილავს გონებას, როგორც წმინდად ინდივიდუალურს, გარე სამყაროსთან პირდაპირ და შიშველ ურთიერთობაში მყოფს. ერთადერთი შეკითხვა, რომელიც მაშინ ისმებოდა, ეხებოდა იმ გზებს, რომლებითაც სამყარო და გონება ურთიერთქმედებდა. ძველი ფსიქოლოგიის მიერ აღიარებული მთელი პროცესი თეორიულად იგივე იქნებოდა, მთელ სამყაროში ერთადერთ გონებას რომ ეარსება. დღევანდელი ფსიქოლოგია კი გონებას, როგორც სოციალური ცხოვრების ფუნქციას, ისე განიხილავს, რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედება და განვითარება არ შეუძლია, რომელიც სოციალური ქმედებებისაგან მუდმივ სტიმულს ითხოვს და მისი წყაროებით იკვებება. მემკვიდრეობითობის იდეამ გაგვაცნო შეხედულება, რომ ინდივიდის წყობა, როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური, არის მისი რასისაგან მემკვიდრეობით მიღებული, რომელსაც ინდივიდი წარსულიდან იღებს და რწმენით გადასცემს მომავალს. ხოლო განვითარების იდეა გონებას განსხვავებულად განიხილავს: გონება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური, მონოპოლური საკუთრება, ის კაცობრიობის ძალისხმევისა და აზროვნების შედეგია; ის ვითარდება გარემოში, რომელიც სოციალურია, ისევე როგორც ფიზიკური, და მის ჩამოყალიბებაზე სოციალურ საჭიროებებსა და მიზნებს ძლიერი გავლენა აქვს. ველურობასა და ცივილიზაციას შორის ძირითადი განსხვავება არა მათ შიშველ ბუნებაშია, არამედ სოციალურ მემკვიდრეობითობასა და სოციალურ გარემოში.

ბავშვობის კვლევამ აშკარა გახადა, რომ ეს სოციალურად მოპოვებული მემკვიდრეობა ინდივიდზე გავლენას მხოლოდ თანამედროვე სოციალური სტიმულის შემთხვევაში ახდენს. ბუნება სინათლის, ბგერისა და სითბოს სახით, რა თქმა უნდა, მას ფიზიკურ სტიმულს აწვდის, მაგრამ მათი მნიშვნელოვნება და ინტერპრეტაცია ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს და რეაგირებს მათზე საზოგადოება, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს. სინათლის შიშველი ფიზიკური სტიმული არ არის სრული რეალობა; სოციალური აქტივობისა და აზროვნების გზით, მას მთელი რიგი მნიშვნელობები ენიჭება. შიშველი ფიზიკური სტიმულის შეფასებასა და გაძღოლას ბავშვი მიბაძვის, შეთავაზებისა და პირდაპირი სწავლის, უფრო მეტად გაუცნობიერებელი, გზით ითვისებს. სოციალური საქმიანობაა ის გზა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი სულ რამდენიმე წელიწადში იმეორებს პროგრესს, რომლისთვისაც კაცობრიობას საუკუნეები დასჭირდა.

აშკარა გახდა საგანმანათლებლო პრაქტიკის ადაპტაცია და ჰარმონიულობა არსებულ ფსიქოლოგიურ თეორიებთან, ორივე ერთი ნიადაგიდან წარმოიშვა. მას შემდეგ, რაც ჩაითვალა, რომ გონება საკუთარ თავს სამყაროსთან პირდაპირი კონტაქტის გზით ივსებს, ბავშვის სწავლებისათვის საკმარისად იქნა მიჩნეული მისთვის განსაზღვრული მოცულობის იმ მოვლენების განყენებულად მიწოდება, რომლებსაც სახელად ჰქვია გეოგრაფია, არითმეტიკა, გრამატიკა და ა. შ. მაგრამ მხედველობიდან იქნა გამორჩენილი, რომ მოვლენების ეს განსაზღვრული მოცულობები უბრალოდ წარსული სოციალური ცხოვრებიდან გადმოსული შერჩევითი მოცულობებია, ზუსტად ისე, როგორც ისინი სოციალური სიტუაციებიდან წარმოიშვნენ და სოციალურ საჭიროებებს პასუხობდნენ. ბავშვისთვის სასწავლო საგანში არ არსებობს არც სოციალური ელემენტი და არც შინაგანი მომხიბლაობა. ის მთლიანად ბავშვის გარეთ, მასწავლებელშია - წახალისებაში, გაფრთხილებაში, იძულებასა და სხვადასხვა საშუალებაში, რომელთაც ბავშვის გონებას ამუშავებენ იმ მასალის მიმართულებით, სოციალურ ცხოვრებასთან მხოლოდ ფრაგმენტული კავშირი რომ აქვს.

ყველას დაავიწყდა, რომ ბავშვისთვის შეიძლება მაქსიმალურად მიმზიდველი და აზრიანი იყოს სწავლება, რომელიც არა მხოლოდ მოვლენების განყენებულად მიწოდებას ეყრდნობა, არამედ მათ საზოგადოების ცხოვრებასთან აკავშირებს. აღარავის ახსოვს, რომ ბავშვის ქცევისა და ხასიათის შემადგენელ ელემენტებად გადასაქცევად ისინი ათვისებულ უნდა იქნეს არა როგორც უბრალოდ ინფორმაციის ნაწილები, არამედ როგორც ბავშვის ახლანდელი საჭიროებებისა და მიზნების ორგანული შემადგენლები - რომლებიც სოციალურია.

მეორეც, ძველი ფსიქოლოგია ცოდნისა და ინტელექტის ფსიქოლოგია იყო. ემოცია და ძალისხმევა იქ მხოლოდ ფრაგმენტული და მეორადია. ალქმას ბევრი ადგილი ეთმობოდა და მოქმედებაზე ლაპარაკი თითქმის არ იყო. კამათი მიმდინარეობდა იდეებსა და იმაზე, ალქმიდან იღებდნენ ისინი სათავეს, თუ სხვა რომელიმე თანდაყოლილი ნიჭიდან. მაგრამ ქცევის საჭიროებიდან მათი წარმოშობის შესაძლებლობა იგნორირებული იყო. მათი ზემოქმედება მართვასა და ქცევაზე გარეგნულ დამატებად ითვლებოდა. ახლა ჩვენ გვკერა (თუ ბატონი ჯეიმსის სიტყვებს გამოვიყენებთ), რომ ინტელექტი, ალქმისა და იდეების სფერო, სხვა არაფერია, თუ არა „შუა განყოფილება, რომელიც ჩვენ, იმის გამო, რომ ვერ ვხედავთ, ხშირად ბოლო გვკონია, უზარმაზარი რაოდენობისა და სირთულის ალქმის მრავალფეროვნებაში, რომელიც შეიძლება მას ავსებდეს. მას შეიძლება მხოლოდ ერთი არსებითი ფუნქცია ჰქონდეს - მიაგნოს იმ მიმართულებას, ჩვენი აქტივობა, უახლოესი თუ დროში დაშორებული, რომ უნდა დაადგეს“.

აგრეთვე აქვე იყო წინასწარ დადგენილი ჰარმონია საგანმანათლებლო პრაქტიკასა და ფსიქოლოგიურ თეორიას შორის. სკოლებში ცოდნა იზოლირებული იყო და თვითმიზანს წარმოადგენდა. მოვლენები, კანონები, ინფორმაცია სასწავლო პროგრამის მთავარი ელემენტი იყო. საგანმანათლებლო თეორიასა და პრაქტიკას შორის წინააღმდეგობას ხედავდნენ ისინი, ვინც ცოდნაში უფრო გრძნობას, ნივთებთან კონტაქტს, საგნის გაკვეთილს და ა.შ. ეყრდნობოდა, და ისინი, ვინც აბსტრაქტულ იდეებს, განზოგადებებს და ა.შ., თუმცა, სინამდვილეში – წიგნებში ჩამოყალიბებულ სხვის აზრებს უსვამდა ხაზს. არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა გრძნობების წვრთნა ან ლოგიკური პროცესების პრაქტიკული ცხოვრების პრობლემებთან და ინტერესებთან დაკავშირების მცდელობა. თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი ფსიქოლოგიური თეორიები ცხოვრების ჭეშმარიტებებს უმყარებს ზურგს, ისევ საგანმანათლებლო ცვლილებასთან მივდივართ.

მესამე შეხედულება კონტრასტის შესახებ, თანამედროვე კონცეფციაში დევს, რომელიც გონებას, როგორც პროცესს – ზრდის პროცესს – განიხილავს, და არა როგორც რაღაც ფიქსირებულს. ძველი შეხედულების მიხედვით, გონება გონებაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ბავშვისა და დიდის გონება ერთი იყო, რადგან ერთნაირი უნარები ჰქონდა. ერთადერთი განსხვავება, რომელსაც უშვებდნენ, იყო ის, რომ ამ მზა უნარებიდან ზოგიერთი, ისეთი, როგორცაა მეხსიერება, უფრო ადრე მუდგანდებოდა მაშინ, როდესაც სხვები, მაგალითად, მსჯელობა და დასკვნის გაკეთება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი სავარჯიშოების დამახსოვრების გზით სხვისი აზრებისადმი სრული დაქვემდებარების დონემდე დაემშვიდობდა. ერთადერთი განსხვავება, რომელსაც აღიარებდნენ, იყო რაოდენობა, მოცულობა. ბიჭი იყო პატარა კაცი და მას პატარა გონება ჰქონდა, სხვა ყველაფრით – ყურადღების, მეხსიერების უნარებით – მისი გონება ზრდასრული ადამიანის გონების მსგავსი იყო. დღეს ჩვენ განვიხილავთ გონებას, როგორც მზარდს და, აქედან გამომდინარე, არსებითად ცვალებადს, სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული შესაძლებლობებისა და ინტერესების მქონეს. ცხოვრების უწყვეტ დინებაში ეს ყველაფერი ერთნაირია, მაგრამ თითოეულს თავისი გამოკვეთილი მოთხოვნა და ვალდებულება აქვს.

შეუძლებელია, გადაჭარბებულად შეაფასო ამ ეტაპზე განათლებისა და ფსიქოლოგიის შეთანხმება. სწავლების პროცესი ზედმიწევნით, ზოგჯერ არაცნობიერად, კონტროლდებოდა იმ ვარაუდით, რომ, რადგან გონება და მისი უნარები მთელი ცხოვრების მანძილზე არ იცვლება, ზრდასრული ადამიანების თემა – ლოგიკურად ჩამოყალიბებული ფაქტები და პრინციპები – რა თქმა უნდა, გამარტივებული და გაადვილებული, ბავშვებისთვის არის ბუნებრივი „სწავლა“; როგორც

იტყვიან, გაპარსული ბატკნისთვის სუსტი ქარი ჯობია. ამის შედეგად, ვიღებდით ტრადიციულ სწავლებას, რომელშიც ბავშვისა და მოზრდილის გონება აბსოლუტურად გათანაბრებული იყო. განსხვავება მხოლოდ აღქმის ძალის მოცულობა-სა და რაოდენობაში იყო. მთელი სამყარო დაყოფილია სექციებად, რომლებსაც სწავლებები ეწოდება. შემდეგ თითოეული მათგანი დაყოფილია უფრო პატარა ნაწილებად და ყოველი მათგანი სასწავლო კურსის თითო წელს შეესაბამება. განვითარების არანაირი რიგითობა არ არსებობდა. საკმარისად იქნა მიჩნეული, რომ სწავლების ადრეული წლების მასალა უფრო მარტივი იყოს, ვიდრე გვიანის. იმისათვის რომ ამ ტიპის სასწავლო პროგრამის აბსურდულობა დაგანახოთ, აქ ბატონ უ. ს. ჯეკმანის მოსაზრებას მოვიყვან: „გეოგრაფიის მასწავლებლებს ალბათ ეჩვენებათ, რომ ზეცამ გაუღიმა, როდესაც სულ ოთხი თუ ხუთი კონტინენტი მოუვლინა. როდესაც გეოგრაფიის კურსი იწყება, პროგრამაში წელიწადში ერთ კონტინენტს ამატებენ, მერვე წელიწადს კი მათ შესწავლას ამთავრებენ.“

თუ ჩვენ სერიოზულად განვიხილავთ გონების ზრდის იდეას, როდესაც ზრდის თითოეულ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი თვისებები ახლავს, ეს ისევ განათლების სისტემაში ცვლილების აუცილებლობაზე მიუთითებს. ნათელია, რომ სწავლების პერიოდში მასალის შერჩევა და დახარისხება უნდა მოხდეს მოცემული პერიოდისათვის დამახასიათებელი მთავარი მიმართულებებისა და აქტივობების გათვალისწინებით, და არა მზა ცოდნის საწყაროს უბრალო დაქუცმაცებით.

რა თქმა უნდა, შედარებით ადვილია ზოგადი წინადადებების (შეთავაზებების), მაგალითად, ზემოთ აღნიშნულის, დადება, არსებული სასკოლო პირობების გამოყენება კრიტიკისათვის, მათი საშუალებით რაღაც ახლის მოთხოვნა. მაგრამ ხელოვნება მარადიულია. რთულია ამ კონცეფციების ეფექტიანობის მიღწევა, იმის დადგენა, თუ რა მასალები და მეთოდები, რა პროპორციით და როგორ ორგანიზებული, იქნება ხელმისაწვდომი და სასარგებლო მოცემული პერიოდისათვის. აქ ისევ ვუბრუნდებით ლაბორატორიის იდეას. ამ კითხვებზე წინასწარი პასუხი არ არსებობს. ტრადიცია ამ პასუხს არ იძლევა, რადგან ის რადიკალურად განსხვავებულ ფსიქოლოგიას ეფუძნება. მას ვერც უბრალოდ მსჯელობა მოგვცემს, რადგან ის მხოლოდ ფაქტების საკითხია. ერთადერთი გზა ამის აღმოჩენის მცდელობაა. მცდელობაზე უარის თქმა, ტრადიციისადმი ბრმა ერთგულება ნიშნავს უარის თქმას ერთადერთ ნაბიჯზე, რომელსაც განათლებაში რაციონალური შეხედულებების შეტანა შეუძლია, რადგან ტემპარიტების ძიება შეუსწავლელ სფეროში ექსპერიმენტს გულისხმობს.

აქედან გამომდინარე, ეს მოსაზრება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წა-

მოჭრილი საკითხების უბრალო ჩამონათვალს და ბოლო ხანებში მიღებულ სულ რამდენიმე შედეგს გვაძლევს. ეს დასკვნები მხოლოდ წინასწარი დასკვნებია, იმდენად, რამდენადაც პრობლემების არსის გაცნობიერებას გამორიცხავს, მაგრამ მომავალში გზას უხსნიან უფრო ჭკვიანურ ქმედებას, რაც უკვე მნიშვნელოვანი წინსვლაა. ასევე, უნდა ითქვას, რომ საუკეთესო იდეებზე ადეკვატურად მუშაობა ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ შეუძლებელია. ამის მიზეზი ადმინისტრაციული სირთულეებია, რომლებსაც ფონდების არარსებობა იწვევს. გარდა ამისა, სირთულეები შესაფერისი შენობისა და ინვენტარის არარსებობასა და გარკვეული მიმართულების მასშავლებლების სრული დროით დასაქირავებელი თანხების ნაკლებობაში გამოიხატება. სკოლების რაოდენობისა და ბავშვების ასაკისა და მოწიფულობის ზრდასთან ერთად, ისმის სამწუხარო კითხვა - კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ამ ექსპერიმენტის გაგრძელება ადეკვატური საშუალებების არქონის პირობებში?

როდესაც განათლების სისტემის ფსიქოლოგიური ჰიპოთეზებისადმი დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, ყველაზე მოსახერხებელია ზრდის სტადიების საკითხის განხილვით დაწყება. პირველს საფეხურს (ოთხიდან რვა წლამდე ასაკი) ახასიათებს სოციალური და პირადი ინტერესების უშუალოება, ასევე, შთაბეჭდილებებს, იდეებსა და ქმედებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სიწრფელე და სისწრაფე. ამ პერიოდში გამოხატვა სწრაფი და დაუყოვნებელია. აქედან გამომდინარე, ამ ასაკისთვის თემების შერჩევა ცხოვრების იმ სფეროებიდან ხდება, რომლებიც ბავშვის გარემოს უშუალოდ ეხება და რომელთა ასახვას ბავშვი შეძლებს სოციალურთან მიახლოებულ თამაშში, თამაშობებში, საქმიანობაში ან ხელოვნების ნაწარმოების მინიატურულ ასლში, ისტორიებში, მხატვრულ წარმოსახვასა და საუბარში. დასაწყისში მასალა შედგება იმისაგან, რაც თვითონ ბავშვის გარშემო, ოჯახისა და სამეზობლოს ცხოვრებაში არსებობს. შემდეგ გადადის ბავშვისაგან ოდნავ უფრო დაშორებულ საკითხებზე, სოციალურ საქმიანობაზე (განსაკუთრებით, ისეთებზე, რომლებსაც ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ურთიერთკავშირთან აქვთ საქმე) და საბოლოოდ ფართოვდება და მოიცავს ტიპური საქმიანობების ისტორიულ ევოლუციასა და მათთან დაკავშირებულ სოციალურ ფორმებს. ეს მასალა არ არის რაღაც, რის სწავლაც ბავშვებს გაკვეთილზე მოუწევთ. ის ბავშვის გამოცდილებამ უფრო საქმიანობის - ქსოვის, საჭმლის მომზადების, სახელოსნოში მუშაობის, მოდელირების, დრამატული წარმოდგენების, საუბრის, დისკუსიისა და თხრობის - გზით უნდა აითვისოს. ეს პირდაპირი ქმედებებია, მოტორული ან გამოხატვის აქტივობის ფორმები. მათზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ სასწავლო პროგრამის უმნიშვნელოვა-

ნესი ნაწილი გახდეს, რათა ბავშვის ცხოვრების ამ პერიოდისათვის ასე დამახასიათებელ ცოდნასა და კეთებას შორის უშუალო კავშირი დამყარდეს. ამის შედეგად, ბავშვისთვის სკოლა მისი ცხოვრებისაგან განცალკევებული კი არ იქნება, არამედ ადგილი, სადაც საკუთარი, სკოლის გარეთ მიღებული, გამოცდილების ტიპურ მხარეებს მოიტანს, გააფართოებს, გაამდიდრებს და თანდათან ჩამოაყალიბებს.

მეორე პერიოდის (რვა-ცხრა წლიდან თერთმეტ-თორმეტ წლამდე) მიზანი ბავშვში მომხდარი ცვლილების, რომლებსაც მასში უფრო მუდმივი და რეალური შედეგების მიღწევის შესაძლებლობის მხარე შეგრძნება იწვევს, ამოცნობა, მათზე რეაგირება და იმ ქმედებების გაკონტროლების აუცილებლობაა, რომლებიც ამ მიზნების მიღწევის უნარის გამოსამუშავებლად საჭირო. როდესაც ბავშვი აცნობიერებს მკაფიო და მყარ მიზნებს, რომლებიც მის ყურადღებას ითხოვს, ადრინდელი ცხოვრების ბუნდოვანი და ცვალებადი მთლიანობა იმსხვრევა. უბრალოდ თამაშის აქტივობა კმაყოფილებას უკვე აღარ იწვევს. უნდა იგრძნო, რომ რაღაცას – განსაზღვრულ და მყარ შედეგს – მიაღწიე. აქედან მომდინარეობს მოქმედების წესების აღიარება – მუდმივი შედეგების მიღწევისათვის შესაფერისი, რეგულარული საშუალებები – და განსაკუთრებული პროცესების ისე მართვის მნიშვნელოვნება, რომ მათმა გამოყენებამ უნარები განავითაროს.

აქედან გამომდინარე, განათლების თვალსაზრისით, პრობლემა, რომელიც განსახილველ საგანს ეხება, არის გამოცდილების დახარისხებაში მთლიანობის დამახასიათებელ ტიპურ ფრაზებად და მათგან ისეთების ამორჩევაში, რომლებიც კაცობრიობის უმაღლესი მიზნების მისაღწევად აზროვნებისა და ქმედების სპეციფიკური საშუალებებისა და მეთოდების მართვის აუცილებლობას ნათლად გვიჩვენებს. მეთოდის თვალსაზრისით, პრობლემა ანალოგიურია: ბავშვს საკუთარ თავში მსგავსი განვითარების საჭიროების აუცილებლობა ვალიარებინოთ – თავისთვის გამოიმუშაოს პრაქტიკული და ინტელექტუალური კონტროლი შრომის ისეთ მეთოდებზე, რომელთა საშუალებითაც შედეგებს თვითონ მიაღწევს.

რაც შეეხება უშუალოდ სოციალურ მხარეს, ამერიკის ისტორია (განსაკუთრებით, კოლონიზაციის პერიოდი), უზარმაზარი რისკებისა და წინააღმდეგობების პირობებშიც კი, გვაძლევს მოთმინების, სიმამაცის, მოხერხებულობისა და საშუალებების მიზნებისათვის მორგების მუდმივი შეფასების საუკეთესო მაგალითს. მაშინ, როდესაც თვითონ მასალა იმდენად ნათელი, მკაფიო და ადამიანურია, რომ ბავშვის ხატოვან და კონსტრუქციულ წარმოსახვას პირდაპირ ესადაგება, ის მისი მხარე ცნობიერების ნაწილი ხდება. იმის გამო, რომ მიზანი „თემის დასახელება“ კი არ არის, არამედ სოციალური შედეგების მომტანი, სოციალური პროცესების

ცოდნაა, ამერიკის მთელი ისტორიის ქრონოლოგიურად წარმოჩენა კი არ ხდება, არამედ აღებულია მხოლოდ ტიპური მაგალითები: ჩიკაგო და მისისიპის ველი; ვირჯინია, ნიუ-იორკი, ახალი ინგლისის პურიტანები და პილიგრიმები. მიზანია კლიმატური და ლოკალური პირობების მრავალფეროვნების, წინააღმდეგობისა და მხარდაჭერის განსხვავებული ფორმებისა და სხვადასხვა ხალხის ისტორიული ტრადიციების, ჩვევებისა და მიზნების მრავალფეროვნების ჩვენება.

მეთოდი მოიცავს გარემო და საცხოვრებელი პირობების – იარაღის, ტან-საცმლის, საოჯახო ნივთების, საკვების, ყოველდღიური ცხოვრების ფორმების დიდი რაოდენობით, წვრილმან დეტალებში ჩვენებას. ამ გზით სოციალური პროცესები და მისი შედეგები რეალობად იქცევა. მეტიც, როდესაც ბავშვი თავისი თავის პერსონალურ იდენტიფიცირებას ახდენს ადრინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სოციალურ პირობებთან, რომლებიც მან უნდა შეისწავლოს, ეს იდენტიფიცირება ინტელექტუალური ხდება – ბავშვი თავის თავს აყენებს იმ პირობებში, იმ პრობლემების წინაშე, რომელთა გადაწყვეტის გზების ძიებასაც იწყებს. ზოგადი შეხედულება – საშუალებების მიზნებზე მორგება – მეცნიერების მუშაობასაც აკონტროლებს. მოხერხებულობისათვის ისინი ორ ნაწილად უნდა დავყოთ – გეოგრაფიულად და ექსპერიმენტულად. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული მუშაობა დამოკიდებულია ბუნებრივი გარემოს, როგორც რესურსების წყაროს, და გადაუდებელი პრობლემების წარმოჩენის გზის გაცნობაზე, დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკურ გეოგრაფიასაც – მთებს, მდინარეებს, დაბლობებს, ბუნებაში მოგზაურობისა და ურთიერთგაცვლის გზებს, თითოეული კოლონიის ფლორასა და ფაუნას. ეს უკავშირდება ექსკურსიებს, როგორც გარემოს დათვალიერების გზით ბავშვის წარმოსახვის კვებას. სასურველია, ამ ექსკურსიებისას ბავშვები რაც შეიძლება შორს წავიყვანოთ, რათა მათ კონსტრუქციული წარმოსახვა უფრო მეტი მონაცემით შეივსონ.

ექსპერიმენტული მხარე ეთმობა იმ პროცესების შესწავლას, რომლებსაც ადამიანისთვის ღირებული შედეგები მოაქვს. ბავშვის აქტივობა ადრეულ ასაკში უფრო პირდაპირ პროდუქტიულია, ვიდრე კვლევითი. მისი ექსპერიმენტები აქტიური ქმედებების საშუალებებია, ზუსტად ისე, როგორც მისი თამაშობები. მოგვიანებით, ის დაინახავს, როგორ გამოიყენება სხვადასხვა მასალა და ქმედება კონკრეტული შედეგების მისაღწევად. ამიტომ ის მკვეთრად განსხვავდება ექსპერიმენტის ჩატარებისაგან, ამ სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობით, სადაც მიზანი ფაქტების აღმოჩენა და პრინციპების გამრავალფეროვნებაა; ეს კი მხოლოდ მეორე პერიოდისთვისაა მისაღები. იმის გამო, რომ ამ ექსპერიმენტში პრაქტიკული ინტერესი დომინირებს, ის არის გამოყენებითი, და არა – წმინდა

მეცნიერების შესწავლა. მაგალითად, შერჩეული პროცესები, რომლებიც კოლონიური ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესად ჩაითვალა – გამოთვთრება, ღებვა, საპნისა და სანთლის წარმოება, მოკალუღი ჭურჭლის წარმოება, სიდრისა და ძმრის დამზადება, რასაც გარკვეული ქიმიური პროცესების შესწავლასთან – ზეთებისა და ცხიმების მომზადებასთან, ელემენტარულ მეტალურგიასთან მივყავართ. „ფიზიკაც“ ასეთივე გამოყენებითი შეხედულებებიდან იღებს სათავეს. შესწავლა იწყება სართავი ბორბლისა და საქსოვი დაზგის გამოყენებით. მექანიკური პრინციპების ყოველდღიური გამოყენებაც – კლიტებში, სასწორში და ა. შ. – სწავლის პროცესში ერთვება. ამის შემდეგ ელექტრონულ მოწყობილობებზე – ელექტროზარებზე, ტელეგრაფზე და ა.შ. გადავდივართ.

საშუალებებსა და მიზნებს შორის კავშირი სხვა სახის სამუშაოებშიცაა ხაზგასმული. ხელოვნებაში ყურადღება ექცევა პრაქტიკულ საკითხებს პერსპექტივის, პროპორციის, სივრცისა და მოცულობის, ბალანსის, ფერთა შეხამებისა და კონტრასტის და ა.შ. შესახებ. სატმლის მომზადებისას, საკვების შემადგენლობა და მის შემადგენელ ელემენტებზე სხვადასხვა ქმედებების ზემოქმედება განიხილება, რათა ბავშვებმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საკუთარი წესები გამოიმუშაონ. კერვაში – გამოჭრისა და მორგების მეთოდები (თოჯინისათვის ტანსაცმლის შეკერვით) წამოიწევს, მოგვიანებით კი გვირისტის ტექნიკური მანევრებლები და ა. შ.

ნათელია, რომ მუშაობისა და ინტერესის სხვადასხვა მიმართულებას შორის მზარდი დიფერენციაციისას, რომელსაც სხვადასხვა სწავლებაში მეტ ინდივიდუალობამდე და დამოუკიდებლობამდე მივყავართ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბალანსს, ერთი მხრივ, უკიდურეს განცალკევებასა და იზოლირებას და, მეორე მხრივ, დიდი ოდენობის თემებისადმი მრავალმხრივ და ყოველდღიურ ყურადღებას შორის, რომელიმეს გამოკვეთილად და ადეკვატურად არჩევის გარეშე. პირველი პრინციპი სამუშაოს მექანიკურსა და ფორმალურს ხდის, ამიტომ ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მის მართვაზე ეფექტიანად ზემოქმედებას აშორებს. მეორე კი დანაწევრებულსა და ბუნდოვანს ხდის და ბავშვს თავისი შესაძლებლობების მართვის უნარის ან მიზნების გაცნობიერების საშუალებას არ აძლევს. ალბათ საშუალებებსა და მიზნებს შორის ცნობიერი ურთიერთობის პრინციპი მხოლოდ წელს იქნა აღქმული, როგორც ამ პერიოდის გამაერთიანებელი პრინციპი. იმედია, შრომის ყველა მიმართულებაში ამის აღნიშვნას ბავშვის განვითარებაზე უდავოდ კუმულაციური და გამამთლიანებელი შედეგი ექნება.

ჯერჯერობით არაფერი თქმულა გამოცდილების გაფართოებისა და მისი გაკონტროლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებაზე – სოციალური

ან ტრადიციული სიმბოლოების მართვაზე – ენის სიმბოლოების ჩათვლით. ეს საშუალებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ტრადიციული, სამი R-ის სასწავლო პროგრამა მას ეფუძნება – დაწყებითი განათლების პირველი ოთხი-ხუთი წლის სასწავლო პროგრამის დროის 60%-დან 80%-მდე ეთმობა. უფრო მცირე პროცენტია შერჩევით აღებულ სკოლებში, და არა დანარჩენი სკოლების საშუალო მაჩვენებელში.

ეს საკითხები ორგვარად სოციალურია. ესენია ინსტრუმენტები, რომლებიც საზოგადოებამ წარსულში თავისი ინტელექტუალური ძიებებისათვის შეიმუშავა. ეს გასაღები ბავშვს სოციალურ, რაც მისი მწირი პირადი გამოცდილების მიღმა, კარს გაუღებს. მაშინ როდესაც მოცემული ორი შეხედულება ამ ხელოვნებას განათლებაში კუთვნილ ადგილს მიუჩენს, მათი შემოტანა განსაზღვრული პირობების დანახვასაც შესაძლებელს გახდის. სწავლის მასობრივი და პირდაპირი მიწოდებისას ეს პირობები მხედველობაში არ მიიღება. მთავარი პრობლემა, რომელიც დღეს სამ R-ს უკავშირდება, ამ პირობების აღიარება და მათთან სამუშაოს ადაპტაციაა.

ეს პირობები შეიძლება ორამდე დავიყვანოთ: (1) ბავშვისათვის პირადი და სასიცოცხლო გამოცდილების, სოციალური და ფიზიკური რეალობის გაცნობისა და მასთან კონტაქტის მრავალფეროვანი ფონის აუცილებლობა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ სიმბოლოები სინამდვილის მეორეხარისხოვან და ტრადიციულ შემცვლელად არ იქცეს. (2) იმის აუცილებლობა, რომ ბავშვის ჩვეულებრივმა, უფრო პირდაპირმა და პერსონალურმა გამოცდილებამ დაანახვოს პრობლემები, მოტივები და ინტერესები, რომლებიც მას აიძულებს, გადაწყვეტილების მისაღებად და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად წიგნებს მიმართოს. სხვა შემთხვევაში, ბავშვი წიგნს მიმართავს ინტელექტუალური შიმშილის, სიფრთხილის, დაინტერესებული დამოკიდებულების გარეშე, რისი შედეგი, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ, ასეთია: წიგნებზე მორჩილი დამოკიდებულება, რომელიც ასუსტებს და ასახიჩრებს აზროვნებისა და ძიების უნარს, მივყავართ წიგნების ფანტაზიის უსისტემო სტიმულაციისათვის კითხვასთან, ემოციურ წახალისებასთან და რეალური სამყაროდან წარმოსახვით სამყაროში გადასვლასთან.

აქ პრობლემა (1), ბავშვს შევთავაზოთ რაც შეიძლება მეტი პირადი აქტივობა საქმიანობაში, თვითგამოხატვაში, საუბარში, შექმნასა და ექსპერიმენტირებაში, რათა მისი როგორც მორალური, ისევე ინტელექტუალური ინდივიდუალობა არ ჩაიძიროს სხვების არაპროპორციულ გამოცდილებაში, რომელსაც ბავშვი წიგნებიდან ითვისებს; (2) პირდაპირი გამოცდილება ისე წარვმართოთ, რომ ბავშვმა იგრძნოს საჭიროება, ტრადიციულ სოციალურ საშუალებებს მიმართოს და

მართოს ისინი, მივაწოდოთ მოტივები და გავხადოთ მისი რესურსები გონიერი, შესაძლებლობების გამაძლიერებელი, ნაცვლად იმისა, რომ მონურად მორჩილი იყოს. მას შემდეგ, რაც ეს პრობლემა გადაწყდება, მუშაობა ენაზე, ლიტერატურასა და რიცხვებზე მექანიკური გავარჯიშების, ფორმალური ანალიზისა და შეგრძნებებზე დამყარებული ინტერესების თუნდაც გაუცნობიერებელი გამოყენების უბრალო კომბინაცია აღარ იქნება; საეჭვო აღარ იქნება, რომ წიგნები, და ყველაფერი, მათთან დაკავშირებული, მათთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ.

აღბათ საჭირო არ არის იმის აღნიშვნა, რომ ეს პრობლემა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ჩვეულებრივი ჩივილი, რომ ამ ტრადიციულ სკოლებში ბავშვების წინსვლა ეწირება ახალ საგნებს, რომლებიც სასწავლო პროგრამაში შემოდის, საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ ზუსტი ბალანსი ჯერ ნაპოვნი არ არის. გამოცდილება, ყოველ შემთხვევაში, სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარა არ არის, დღემდე შემდეგ სავარაუდო შედეგებს მოიცავს: (1) საქმიანობის უფრო პირდაპირი საშუალებები, კონსტრუქციული და დასაქმებითი სამუშაო, სამეცნიერო დაკვირვება, ექსპერიმენტირება და ა. შ. კითხვის, წერისა (მართლწერის) და რიცხვებთან მუშაობის საჭირო გამოყენების უამრავ საშუალებასა და შემთხვევას გვაძლევს. ეს საკითხები შეიძლება შეტანილ იქნეს სკოლაში არა როგორც იზოლირებული სწავლება, არამედ ბავშვის გამოცდილებაზე დამყარებული. პრობლემა არის ამ შემთხვევების ჩვენს სასარგებლოდ სისტემატურად და პროგრესული გზით გამოყენება. (2) სისწრაფე და მნიშვნელობა, რომელსაც ეს სწავლებები უზრუნველყოფს, საშუალებას იძლევა, მათზე ჩვეულებრივ დახარჯული დრო საგრძნობლად შევამციროთ. (3) სიმბოლოების საბოლოო გამოყენება, იქნება ეს კითხვაში, თვლასა თუ თხზულებაში, უფრო გონიერი და ნაკლებად მექანიკური, მეტად აქტიური და ნაკლებად პასიურად აღქმელი, მზარდი შესაძლებლობების მქონე და ნაკლებად გამართობი ხდება.

მეორე მხრივ, მზარდი გამოცდილება ნათელს ხდის შემდეგ მოსაზრებებს: (1) რომ ადრეულ ასაკში, სიმბოლოების აღქმისა და გამოყენების სწავლებისას, შესაძლებელია ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობები გამოვიყენოთ როგორც პრინციპებში, ისე მუშაობის სხვა მიმართულებებში, რომლებიც ბევრად უფრო პირდაპირია. უპირატესობა ენიჭება ლიმიტირებულ და განსაზღვრულ შედეგს, რომელსაც ბავშვი თავისი წინსვლის გასაზომად გამოიყენებს. (2) აღნიშნული ფაქტის გაუთვალისწინებლობამ შედეგად მოიტანა ამ მიმართულებით საქმიანობის ზოგიერთი საფეხურის დროში გაჭიანურება, რის გამოც ბავშვი, რომელმაც ინტელექტუალურ წინსვლას მიაღწია, გრძნობს, რომ ის, რაც ადრე

შესაძლებლობისა და შემოქმედების ფორმა იყო, მოსაწყენი ამოცანა ხდება. (3) სასკოლო პროგრამაში საჭიროა ამ სწავლებაზე დახარჯული დროის პერიოდული კონცენტრაცია და ცვლილება – ყველანაირ სწავლებაზე, სადაც ტექნიკის ან სპეციალური მეთოდის ფლობა არის რეკომენდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამაში ყველა საგნის ერთდროულად და ერთნაირი ტემპით სწავლების შეტანის ნაცვლად, ზოგიერთმა საგანმა პერიოდულად წინა პლანზე უნდა წამოიწიოს და ზოგიერთი უკანაზე დარჩეს, სანამ ბავშვი არ გააცნობიერებს, რომ მას საკმარისი ძალა და უნარი აქვს, რომ ისინი დამოუკიდებლად გამოიყენოს.

დაწყებითი განათლების მესამე პერიოდი საშუალო სკოლისას ესაზღვრება. ის დგება მაშინ, როდესაც ბავშვს სინამდვილის სხვადასხვა ფორმისა და აქტივობის სახეობების საკმარისი, პირდაპირი ცოდნა აქვს; როდესაც იგი საკმარისად ფლობს გამოცდილების სხვადასხვა ფაზისათვის შესაფერისი ამროვნების, ძიებისა და აქტივობის მეთოდებსა და საშუალებებს, რათა გონიერი მიზნების მისაღწევად თავისთვის სასარგებლოდ დაეუფლოს გამოკვეთილ ცოდნასა და ხელოვნებას. მაშინ, როდესაც სკოლას ჰყავს ამ ასაკის ბავშვების განსაზღვრული რაოდენობა, მას, რა თქმა უნდა, საკმარისი გამოცდილება არა აქვს, რომ ტიპური დასკვნები გააკეთოს. მაგრამ ნამდვილად არსებობს იმედი, რომ, სირთულეების, საჭიროებების გაცნობიერების მიუხედავად, და ბოლო ხუთი წლის ექსპერიმენტით მიღებული გამოცდილების მეშვეობით, ჩვენ შევძლებთ, ბავშვები ამ პერიოდამდე მივიყვანოთ და ეს პერიოდი სიმყარის, გონების მოწესრიგებულობისა თუ სწავლის ტექნიკური საშუალებების ფლობის მსხვერპლად შეწირვის გარეშე, ასევე, ცხოვრების ჰორიზონტის დადებითი მიმართულებით გაფართოებითა და ცხოვრებაზე უფრო ფართო, თავისუფალი და ღია შეხედულების ქონით გავატაროთ.

V. ფრომბელის საგანმანათლებლო პრინციპები

ჩიკაგოს უნივერსიტეტის დაწყებითი სკოლის ერთ-ერთი ისტორია ეხება სტუმარს, რომელმაც სკოლაში იმისათვის შემოიარა, რომ საბავშვო ბაღი ენახა. როდესაც უთხრეს, რომ სკოლას საბავშვო ბაღი ჯერ არა აქვს, მან იკითხა, ასწავლიდნენ თუ არა სიმღერას, ხატვას, ხელსაქმეს, თამაშობებს, დრამატულ ხელოვნებას და აქცევდნენ თუ არა ყურადღებას ბავშვებს შორის სოციალურ ურთიერთობებს. როდესაც დადებითად უპასუხეს, მან ერთდროულად გამარჯვებული სახით და თან აღშფოთებით გამოაცხადა, რომ მუსტად ეს არის ის, რასაც იგი საბავშვო ბაღს უწოდებს და არ ესმის, რას გულისხმობდნენ, როდესაც უთხრეს, რომ სკოლას საბავშვო ბაღი ჯერ არა აქვს. ალბათ შეიძლება დავეთანხმოთ მის ნათქვამს, თუ მას სიტყვა-სიტყვით არ გავიგებთ. ყოველ შემთხვევაში, ის გვიჩვენებს, რომ სკოლა ცდილობს, სწავლების სრული კურსი გაიაროს – ოთხიდან ცამეტ წლამდე – რათა ეფექტიანი გახადოს გარკვეული პრინციპები, რომლებიც პირველად ფრომბელმა ჩამოაყალიბა. ზოგადად, ეს პრინციპები შემდეგია:

1. სკოლის უპირველესი მოვალეობა, ბავშვებში ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპების აღზრდა; მათში გაცნობიერებული ურთიერთდამოკიდებულების გრძნობის გაღვივება; შესაბამის რეგულირებაში პრაქტიკული დახმარება, რაც ამ განწყობას ღია ქმედებებში გადაატანინებს.

2. საგანმანათლებლო საქმიანობის მთავარი საფუძველი ბავშვის ინსტინქტურ და იმპულსურ დამოკიდებულებებსა და ქმედებებშია და არა გარე მასალების წარმოდგენასა და გამოყენებაში, სხვების აზრების მეშვეობით იქნება ეს თუ ალქმით; შესაბამისად, ბავშვის ურიცხვი სპონტანური აქტივობა, თამაში, თამაშობა, მი-

მიკური მოძრაობა, ანუ აშკარად უაზრო მოძრაობა – გამოხატულებები, რომლებიც, როგორც უმნიშვნელო და არასერიოზული, ადრე მხედველობაში არ მიიღებოდა, ზოგ შემთხვევაში კი იგმობოდა, როგორც აშკარად მანკიერი – განათლებისათვის გამოსადეგი აღმოჩნდა; უარყოფა განათლების მეთოდის საფუძველია.

3. ეს ინდივიდუალური ტენდენციები და აქტივობები, მათი თანაცხოვრების მიერ ორგანიზებული და წარმართული, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. მათი უპირატესობის გათვალისწინებით, რაც საშუალებას იძლევა, ბავშვის დონეზე გადმოვიტანოთ უფრო დიდი, ბრდასრული საზოგადოების, რომელშიც მას ცხოვრების გაგრძელება მოუწევს, ქმედებები და საქმიანობები; ღირებული ცოდნის მიწოდების გარანტირებულობასა და საბოლოოდ გადაწყვეტას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ პროდუქტიულობისა და შემოქმედებითი უნარის გამოყენებით.

რამდენადაც ეს მოსაზრებები ზუსტად გადმოსცემს ფროებელის განათლების ფილოსოფიას, სკოლა ამ ფილოსოფიის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. შეინიშნება მცდელობა, რომ იმავენაირი რწმენითა და გულწრფელობით გამოიყენონ ისინი, როგორც თორმეტი, ასევე ოთხი წლის ბავშვების მიმართ. ეს მცდელობა, დაადგინოს, სრული სასკოლო სისტემიდან რა უნდა ჩაითვალოს საბავშვო ბაღის ნაწილად, საჭიროს ხდის იმ სამუშაოს გარკვეულ მოდიფიკაციას, რაც ეგრეთ წოდებულ საბავშვო ბაღის პერიოდში კეთდებოდა – ეს ოთხიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებს მოიცავს. საჭიროა მხოლოდ იმ მიზეზების დასახელება, რომელთა გამო ყველა ეს მოსაზრება ფროებელის კვლევის არსს შეესაბამება, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის აშკარად რადიკალური ხასიათისა.

თამაშთან და თამაშობებთან დაკავშირებით

თამაში არ არის მხოლოდ ის, რასაც ბავშვი გარეგნულად აკეთებს. ის უფრო მიუთითებს ბავშვის სრულ და მთლიან გონებრივ დამოკიდებულებაზე. თამაში თავისუფალია, ბავშვის აზროვნების, მისი ფიზიკური მოძრაობების, წარმოსახვისა და ინტერესების ურთიერთთამაშია. უარყოფითი მნიშვნელობით, ეს როგორც ეკონომიკური წნეხისაგან – საცხოვრებელი საშუალებების მოპოვებისა და სხვების დახმარებისაგან – თავისუფლებაა, ასევე, დადგენილი პასუხისმგებლობებისგანაც, რაც პასუხია უფროსების გარკვეულ მოთხოვნებზე. დადებითი მნიშვნელობით კი ეს ნიშნავს, რომ ბავშვის უმთავრესი მიზანი სრულყოფილი ზრდა, მასში ჩადებული შესაძლებლობების სრულად რეალიზაციაა, რომელსაც ის ერთი დონიდან მეორეზე აჰყავს.

ეს ძალიან ზოგადი განცხადებაა და სწორედ იმიტომ, რომ ზოგადია, ბუნდო-

ვანიცაა და პრაქტიკული დატვირთვა ვერ ექნება. თუ მის მნიშვნელოვნებასა და გამოყენებას დეტალურად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ საბავშვო ბაღში მიღებული მეთოდის შეცვლა შესაძლებელია, და მეტიც, საჭიროა. პირდაპირ რომ ვთქვათ, ის, რომ „თამაში“ ბავშვის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებებს გვიჩვენებს და არა მის გარეგნულ საქციელს, ნიშნავს რომელიმე მოცემული ან გამოწერილი სისტემისაგან ან საჩუქრების, თამაშობებისა და ქმედებების სისტემისაგან განთავისუფლებას. რა თქმა უნდა, გონიერი მასწავლებელი დაიწყებს მოსაზრებების ძებნას ფრობელის მიერ აღნიშნული ქმედებების (დედის თამაშში ან სხვაგან) გასამართლებლად და იმის გასამართლებლადაც, რასაც ასე დაწვრილებით განვიხილავთ მისი მიმდევრები. მაგრამ მას ასევე უნდა ახსოვდეს, რომ თამაშის პრინციპი მისგან ამ საკითხების ყურადღებით გამოკვლევასა და კრიტიკას მოითხოვს; აგრეთვე, იმის გადაწყვეტას, ეს აქტივობები მისი ბავშვებისთვისაც სასიცოცხლოა თუ მხოლოდ წარსულში, სხვა პირობებში მცხოვრები ბავშვებისათვის იყო მნიშვნელოვანი. რადგან საქმიანობებმა, თამაშებმა და ა.შ. ფრობელი და მისი ადრეული მიმდევრები უკვდავყვეს, ვერ ვიტყვით, რომ მათ წინააღმდეგ ხშირად რაიმე წინასწარი განწყობა იკვეთება – მაგრამ საქმე ისაა, რომ გარეგნული ქმედებების, რომლებსაც ფრობელი განვიხილავდა, გაფეტიშებით, ჩვენ მის პრინციპებს ყურადღებას აღარ ვაქცევთ.

მასწავლებელი აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს თავის უფლებაში, ნებისმიერი და ყველა წყაროდან მიიღოს რჩევა და თავის თავს მხოლოდ ეს ორი შეკითხვა უნდა დაუსვას:

გაითავისებს თუ არა ბავშვი თამაშის ამ ფორმას? არის თუ არა ეს თამაში ის, რისი ინსტინქტური ფესვებიც მასში არსებობს და მისცემს თუ არა ის განვითარების შესაძლებლობას იმ უნარებს, რომლებიც ბავშვის ბუნებაში გამოვლინებისათვის იბრძვიან? და კიდევ: არის თუ არა ამ იმპულსების გამოხატვა ის, რაც ბავშვს ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს, იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ ააღელვოს და შემდეგ იქ დატოვოს, სადაც იყო, დაუმატოს გარკვეული ნერვული გამოფიტვა და მომავალშიც ასეთივე აღელვების სურვილი?

არსებობს ყველანაირი მტკიცებულება, რომ ფრობელი ყურადღებით სწავლობდა თავისი დროის ბავშვების თამაშებსაც და იმათაც, რომლებსაც დედები ბავშვებთან ერთად თამაშობდნენ. მან ასევე ძალიან დიდი ძალისხმევა მონაღომა – მაგ. დედამისის თამაშებში – იმის ხაზგასმას, რომ ამაში ჩართული იყო გარკვეული უმნიშვნელოვანესი პრინციპები. ფრობელს თავისი თაობა იმის გაცნობიერებამდე უნდა მიეყვანა, რომ ეს ქმედებები, მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი აკეთებს, უბრალოდ ტრივიალური და ბავშვური კი არ არის, არამედ მათი ზრდის არსებითი ფაქტორებია. მაგრამ მე არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მას მხო-

ლოდ და მხოლოდ ეს თამაშები მიაჩნდა მნიშვნელობის მატარებლად (აზრიანად), არა მაქვს. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ ის თავისი მიმდევრებისაგან იმდროინდელი პირობებისა და საქმიანობების კვლევის გაგრძელებას ელოდა და არა მის მიერ შეგროვილი თამაშების ზედმიწევნით გამეორებას. მეტიც, არა მგონია, თვითონ ფროებელი დათანხმებოდა აზრს, რომ ამ თამაშების ინტერპრეტაციით მან იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე იმ დროს მისთვის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ცოდნის თავის სასარგებლოდ გამოყენება იყო. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი პირველი იქნებოდა, ვინც ფსიქოლოგიური მეცნიერების უფრო გაფართოებულ და უკეთეს განვითარებას (ზოგადი იქნება, ექსპერიმენტული თუ ბავშვების შესწავლა) მიესალმებოდა და თავის დახმარებასაც შემოგვთავაზებდა ამ აქტივობების ხელახლა ინტერპრეტირებაში, უფრო კრიტიკულ განხილვაში, რაც მათ განათლებისათვის ღირებულად აქცევდა.

სიმბოლიზმი

უნდა გავიხსენოთ, რომ ფროებელის სიმბოლიზმის დიდი ნაწილი მისი ცხოვრებისა და მუშაობის ორი სპეციფიკური ვითარების შედეგია. უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ იმ დროს არ არსებობდა ბავშვის ზრდის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტებისა და პრინციპების საკმარისი ცოდნა, ის იძულებული იყო, თამაშების შეფასებისას მათთვის არასწორი და ხელოვნური ახსნა მიეცა. მიუკერძოებელი დამკვირვებლისთვის აშკარაა, რომ ბევრი მისი მოსაზრება ზედმეტად დამძიმებული და არაბუნებრივია. ის აბსტრაქტულ ფილოსოფიურ მიზეზებს უძებნის იმას, რასაც დღეს შეიძლება მარტივი ფორმულირება ჰქონდეს. მეორეც, ზოგადი პოლიტიკური და სოციალური პირობები იმ დროს გერმანიაში ისეთი იყო, რომ საბავშვო ბაღის თავისუფალ სოციალურ ცხოვრებასა და გარე სამყაროს შორის კავშირის გაცნობიერება შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, საკლასო ოთახში „საქმიანობას“ ის ვერ განიხილავდა, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ეთიკური პრინციპების ზუსტ ასლს – აღნიშნული პრინციპები იმ დროს ზედმეტად მკაცრი და ავტორიტარული იყო იმისათვის, რომ ღირებულ მოდელებად გამომდგარიყო.

აქედან გამომდინარე, ის იძულებული იყო, ისინი აბსტრაქტული ეთიკური და ფილოსოფიური პრინციპების სიმბოლოებად მიეჩნია. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირობები საკმარისად განსხვავებული და წინ წასულია იმდროინდელ გერმანიასთან შედარებით იმისათვის, რომ გაამართლოს საბავშვო ბაღის საქმიანობის უფრო ბუნებრივი, უფრო პირდაპირი და ნამდვილი ურთიერთობა რეალურ ცხოვრებასთან, ვიდრე ამას ფროებელის მიმდევრები

აკეთებდნენ. ფრობელის ფილოსოფიის შეუსაბამობამ გერმანიის პოლიტიკურ იდეებთან, თანამდებობის პირები დააეჭვა საბავშვო ბაღის საჭიროებაში. ეს ფილოსოფია იყო ერთადერთი ძალა, რომელმაც სოციალური სიმარტივე მასში ინტელექტუალური ტექნიკის შეტანით შეცვალა.

წარმოსახვა და თამაში

სიმბოლიზმის გადამეტებულმა აქცენტირებამ, რა თქმა უნდა, ზეგავლენა მოახდინა წარმოსახვისადმი დამოკიდებულებაზე. უდავოა, რომ პატარა ბავშვი წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობს. ერთი მხრივ, ის „ვითომით“ ცხოვრობს, მისი ქმედებები იმ ცხოვრებას განასახიერებს, რომელიც მის გარშემოა. რადგან მისი ქმედებები ცხოვრებას ასახავს, მათ შეიძლება სიმბოლური ვუწოდოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს „ვითომ“ და სიმბოლურობა იმ ქმედებებს უკავშირდება, რომლებსაც ბავშვს სთავაზობენ. თუ ისინი ბავშვისათვის ისეთივე რეალური და ნათელი არ არის, როგორც უფროსების ქმედებებია, შედეგი აუცილებლად ხელოვნურობა, ნერვული დაძაბულობა და ემოციური აღგზნებადობა, ან მისი შესაძლებლობების დაქვეითება იქნება.

საბავშვო ბაღში არსებობდა უცნაური, თითქმის წარმოდგენილი ტენდენცია, ჩაეთვალოთ, რომ რადგან აქტივობები იმის მიხედვით ფასდება, რამდენად ეხმარება ის ბავშვს, გამოყენებული მასალები რაც შეიძლება ხელოვნური უნდა იყოს და ბავშვები შეძლებისდაგვარად რეალურ საგნებსა და რეალურ მოვლენებს უნდა ავარიდოთ. ამის შედეგია ის, რაც ჩვენ გვსმენია, რომ ზოგჯერ ბავშვები ბაღში მუშაობის დროს თესლის ნაცვლად ქვიშას აბნევენ; რომ ბავშვი ალაგებს და ასუფთავებს ვითომ ოთახს ვითომ ცოცხით და ვითომ ჩვრით; რომ აწყობს სუფრას ქალაქისგან გამოტრილი თევზებით და არა სათამაშო ტურტლით, რომლითაც ის ბაღის გარეთ თამაშობს. თოჯინები, სათამაშო ლოკომოტივები და მანქანები ტაბუირებულია, როგორც უკიდურესად რეალური. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ ისინი ბავშვის წარმოსახვის განვითარებას ხელს არ უწყობენ.

რა თქმა უნდა, ეს დაუსაბუთებელი წარმოდგენებია. ბავშვის წარმოსახვის უნარი შეთავაზებების, მოგონებებისა და მოლოდინების მეშვეობით ყალიბდება, რომლებიც იმ ნივთის გარშემო იყრის თავს, რომელსაც იგი იყენებს. რაც უფრო ბუნებრივი და პირდაპირი იქნება ეს კავშირი, მით უფრო კონკრეტული და ახლოებული იქნება ბავშვისათვის ამ ემოციების გამოწვევისა და მათი თავმოყრის საფუძველი, რაც მის წარმოსახვას ნამდვილად ხატოვანს გახდის. უბრალოდ

საქონლის მომზადება, ჭურჭლის რეცხვა, მტვრის გაწმენდა და სხვა სამუშაო, რომელსაც ბავშვები ასრულებენ, მათთვის ისეთი პრობაული და მხოლოდ გამოყენებითი აღარ არის, როგორც, მაგალითად, ხუთი რაინდის თამაში იქნებოდა. ეს საქმიანობები ბავშვებისათვის იდუმალებით ივსება, ისე როგორც ყველაფერი, რასაც უფროსები აკეთებენ. ამიტომ მასალა, რომელთანაც ბავშვებს საქმე აქვთ, იმდენად „რეალური“, უშუალო და პირდაპირი უნდა იყოს, რამდენადაც ამის საშუალებას პირობები იძლევა.

მაგრამ პრინციპი აქ არ მთავრდება – სიმბოლოებში გამოხატული რეალობა ბავშვის აღქმის შესაძლებლობებს უნდა შეესაბამებოდეს. არსებობს მოსაზრება, რომ წარმოსახვის გამოყენება მომგებიანია იმდენად, რამდენადაც ის ბუნდოვან მეტაფიზიკურ და სულიერ პრინციპებს ამართლებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევების უდიდეს უმრავლესობაში უფროსი თავს იტყუებს. ის აცნობიერებს როგორც რეალობას, ისე სიმბოლოს და, აქედან გამომდინარე, მათ შორის ურთიერთკავშირსაც. მაგრამ რადგანაც წარმოდგენილი სიმართლე, ანუ რეალობა, ბავშვისთვის მიუწვდომელია, შესაძლებელი სიმბოლო მისთვის სულაც არ არის სიმბოლო. ის მისთვის უბრალოდ რეალური რამაა. პრაქტიკულად, თითქმის ყველაფერი, რასაც ის მისგან იღებს, ფიზიკური და მგრძნობელობითი მნიშვნელობისაა. ამას დამატებული ფრაზებისა და დამოკიდებულებების გედაპირული სიმარტივე, ამრობრივი ანალოგის შეთავაზების გარეშე – ისაა, რასაც მასწავლებელი მისგან ელის. ჩვენ ბავშვებს ხშირად ვასწავლით სიყალბეს, ხელოვნურ სენტიმენტალობას და სენსუალიზმს, როდესაც გვგონია, რომ მათ სიმბოლოების მეშვეობით სულიერ ჭეშმარიტებებს ვუნერგავთ. ამიტომ ბავშვის მიერ რეპროდუცირებული სინამდვილე რაც შეიძლება ნაცნობი, პირდაპირი და რეალური ხასიათის უნდა იყოს. ეს არის მიზეზი, რომლის გამოც ჩვენი სკოლის საბავშვო ბაღში მუშაობა სახლისა და სამემობლოს ცხოვრების ასახვაზეა კონცენტრირებული. ამას პირდაპირ თემის საკითხამდე მივყავართ.

თემა

სახლში ცხოვრება, თავისი მოწყობილობით, ავეჯით, ჭურჭლით და ა. შ., სახლში მიმდინარე საქმიანობებთან ერთად, გვაძლევს მასალას, რომელიც ბავშვთან პირდაპირ და რეალურად არის დაკავშირებული და რომლის გადმოცემასაც ის წარმოსახვითი ფორმით ცდილობს. ის ასევე სავსეა ეთიკური ურთიერთობებით, რომლებიც ბავშვში მორალურ ვალდებულებებს იწვევს და მას მორალური

თვალსაზრისით ასაზრდოებს. ბევრ საბავშვო ბაღთან შედარებით, პროგრამა არაამბიციურია, მაგრამ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, არის თუ არა თემის ასეთ შემზღვევაში რაიმე დადებითი. როდესაც მასში შედის ცხოვრების მრავალი სფერო (ინდუსტრიული საზოგადოება, ჯარი, ეკლესია, სახელმწიფო და სხვ.), არსებობს საშიშროება, რომ სამუშაო ზედმეტად სიმბოლური გახდება. ამ მასალიდან იმდენია ოთხი-ხუთი წლის ბავშვის გამოცდილების მიღმა, რომ ერთადერთი, რასაც ის მისგან იღებს, ფიზიკური და ემოციური რეფლექსია – მას ვერ ექნება თვითონ მასალის ნამდვილი წვდომა. მეტიც, ამბიციური პროგრამების შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ ისინი თვითონ ბავშვის ინტელექტუალურ მდგომარეობაზე არასასურველ გავლენას მოახდენენ. ბავშვისთვის ცოდნის ზედმეტი მოცულობის წარმოსახვითი ფორმით მიწოდება მოყირჭების ეფექტს იწვევს, ბავშვი კარგავს ინტერესს პირდაპირი, მარტივი გამოცდილებისადმი და დაწყებითი სკოლის პირველი საფეხურების მასალისადმი უჩნდება დამოკიდებულება, რომ მას ეს უკვე გავლილი აქვს. ბავშვის ცხოვრების შემდგომ წლებს თავისი საკუთარი კანონები აქვს და ბერეულე, მხოლოდ ემოციური აღქმის ჩამოყალიბებამ მას შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს.

მეტიც, ამ მიდგომამ შეიძლება ბავშვის აზროვნებაში ერთი საკითხიდან მეორეზე სწრაფად გადახტომის ჩვევა ჩამოაყალიბოს. პატარა ბავშვს გარკვეული სახის მოთმინება და ამტანობა ახასიათებს. მართალია, რომ მას სიახლისა და მრავალფეროვნებისაკენ აქვს მიდრეკილება, რომ ის სწრაფად იღლება ისეთი საქმიანობით, რომელსაც სიახლემდე არ მიჰყავს და ახლის აღმოჩენის გზებს არ უხსნის, მაგრამ ერთფეროვნებას არც მე ვითხოვ. სახლის საქმიანობაში, საოჯახო ნივთებსა და ინსტრუმენტებში საკმარისი მრავალფეროვნებაა იმისათვის, რომ ბავშვის საქმიანობაც მრავალფეროვანი გახდეს. ეს საქმიანობა ზოგჯერ სამოქალაქო და ზოგჯერ ინდუსტრიულ ცხოვრებას ეხება; მათი საქმეში შემოტანა შეიძლება მაშინ, როცა ამის საჭიროება დგება, ისე რომ ძირითადი თემის მთლიანობას არ გავცდეთ. აქედან გამომდინარე, ჩნდება საშუალება, ბავშვს გამოვუმუშაოთ შეგრძნება, რომელიც ყურადღებისა და ინტელექტუალური ზრდის საფუძველია – უწყვეტობის შეგრძნება. უწყვეტობის გრძნობას ხშირად თვითონ ის მეთოდები ელოდება, რომლებიც მის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ბავშვის პოზიციიდან – ერთიანობა არის თემაში, იმ საქმეში, რომელსაც ის ახლა აკეთებს, იმაში, რომ მას ყოველთვის ერთ რამესთან აქვს საქმე: საოჯახო ცხოვრებასთან. აქცენტი მუდმივად ამ ცხოვრების ერთი სფეროდან მეორეზე გადადის, ყურადღება გადადის ერთი ქმედებიდან მეორეზე, ავეჯის ერთი ნაწილიდან მეორეზე, ერთი ურთიერთობიდან მეორეზე, მაგრამ ყველაფერი ეს ცხოვრების

ერთი და იმავე მოდელის მშენებლობას ემსახურება, იმის მიუხედავად, მისი რომელი სფეროა ამ წუთას გამოკვეთილი. ბავშვი ყოველთვის ერთიანობის ფარგლებში მუშაობს, თუმცა ერთიანობის თითოეულ სფეროს ნათლად და კონკრეტულად აღიქვამს და მათ შესაბამისი კავშირებით აერთიანებს. როდესაც თემები მრავალფეროვანია, უწყვეტობას უფრო ფორმალურ მხარეში ეძებენ, ანუ თანმიმდევრობის სქემებში – „მუშაობის სკოლებში“ (schools of work), განვითარების ხისტ პროგრამაში, „დღის სააზროვნოში“, რომლიდანაც მუშაობისას გადახვევის უფლება არ აქვს. როგორც წესი, ასეთი თანამიმდევრობა წმინდად ინტელექტუალურია, მას მხოლოდ მასწავლებელი აღიქვამს, ბავშვს კი გვერდით ჩაუვლის. აქედან გამომდინარე, წლის, სემესტრის, თვის, კვირის და ა. შ. პროგრამა უნდა შედგეს იმის საფუძველზე, თუ რა მოცულობის ზოგადი თემები უნდა აითვისოს ბავშვმა ამ პერიოდში, და არა ინტელექტუალური და ეთიკური პრინციპების საფუძველზე. ეს პროგრამას გახდის როგორც მკაფიოს, ასევე – მოქნილს.

მეთოდი

დაბალი კლასების სპეციფიკური პრობლემა, რა თქმა უნდა, ბავშვის ბუნებრივი იმპულსებისა და ინსტინქტების ფლობა და მათი ისე გამოყენებაა, რომ აღქმისა და მსჯელობის უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ და უფრო ეფექტიანი ჩვევები გამოვუმუშაოთ. ამის შედეგად მას უფრო გაფართოებული და გაღრმავებული ცნობიერება და ქმედების გაკონტროლების გაზრდილი უნარი ექნება. იქ, სადაც ეს შედეგი მიღწეული არ არის, თამაში უბრალო გართობად რჩება და განათლების ფუნქციას კარგავს.

მთლიანობაში, კონსტრუქციული, ანუ „შენების“, სამუშაო (რა თქმა უნდა, შეიძლება სასურველი მოცულობით თხრობა, სიმღერა და თამაში კონსტრუქციული სამუშაოს იდეებს დაუკავშირდეს) უკეთ, ვიდრე სხვა დანარჩენი, უზრუნველყოფს შემდეგ ორ ფაქტორს – პირადი იმპულსის შემოტანასა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. ამას ბავშვი მრავალფეროვანი მასალის – ხის, კალის, ტყავის, ძაფის და ა.შ. – გამოყენებამდე მიჰყავს. ეს მას მასალის რეალობაში გამოყენების ბევრად უფრო სერიოზულ მოტივს აძლევს, ვიდრე სავარჯიშოების კეთება, რასაც მხოლოდ ბუნდოვანი და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ამას თამაშში გრძნობების სიცხადე და დაკვირვების სიმკვეთრე შეაქვს; დაგეგმვის დროს მოითხოვს მისალწვევი მიზნების მკაფიოდ წარმოდგენას, მოხერხებულობასა და ფანტაზიას; ასევე, ყურადღების კონცენტრირებასა და სამუშაოს შესრულებამდე პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც მიზნები ისე მკაფიოდ არის ჩამოყა-

ლიბებულის, რომ ბავშვს შეუძლია, დასრულებული სამუშაო შეაფასოს და თავისი სტანდარტები გააუმჯობესოს.

ერთი-ორი სიტყვა უნდა ითქვას მიბაძვისა და შეგონების ფსიქოლოგიაზე, საბავშვო ბაღის სამუშაოსთან დაკავშირებით. უდავოა, რომ პატარა ბავშვი ძალიან მიმბაძველია და შეგონებისათვის – გახსნილი. რა თქმა უნდა, მისი ნედლი უნარები და უმწიფარი ცნობიერება ამ არხების მეშვეობით მუდმივ გამდიდრებასა და წარმართვას საჭიროებს. ამიტომ ერთმანეთისაგან აუცილებლად უნდა განვასხვაოთ მიბაძვისა და შეგონების გარეგნული და, აქედან გამომდინარე, არაფსიქოლოგიური გამოყენება და ის, რაც ბავშვის საქმიანობასთან ორგანული კავშირით არის გამართლებული. ზოგადი პრინციპით, არც ერთი აქტივობა მიბაძვიდან არ უნდა გამომდინარეობდეს. საწყისი ბავშვისგან უნდა წამოვიდეს, მოდელი ან ასლი კი შეიძლება შემდეგ ჩაერთოს, რათა ბავშვს დაეხმაროს, უფრო ზუსტად წარმოიდგინოს და გააცნობიეროს, სინამდვილეში რა უნდა. ის ღირებულია არა როგორც მოდელი, რომელსაც ქმედებით უნდა მიბაძო, არამედ როგორც გზამკვლევი, რომელსაც ბავშვი მკაფიო და ადეკვატურ გააზრებამდე მიჰყავს. თუ ის ქმედებაში საკუთარ წარმოსახვას არ ეყრდნობა, დამოკიდებული რჩება და არ ვითარდება. მიბაძვა ისაა, რაც აძლიერებს, ეხმარება, და არა ის, რითიც ვიწყებთ.

არ გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მასწავლებელმა ბავშვს არაფერი უნდა შესთავაზოს, სანამ ის ამ მიმართულებით გაცნობიერებულ სურვილს არ გამოამჟღავნებს. კეთილგანწყობილმა მასწავლებელმა, სავარაუდოდ, ბავშვზე უკეთ იცის, როგორია და რას ნიშნავს მისი ინსტინქტები. მაგრამ შეგონება ბავშვის ზრდის ძირითად ბუნებას უნდა დაემთხვეს; ის, უბრალოდ, უნდა იყოს სტიმული, რომელიც ბავშვს იმის უფრო ადეკვატურად გაკეთებაში დაეხმარება, რასაც მანამდე ბრმად ცდილობდა. თუ ბავშვს დავაკვირდებით და შევცვდებით, დავინახოთ მისი დამოკიდებულება შეთავაზებისადმი, მიხვდებით, ეს შეთავაზებები შემდგომი ზრდის ფაქტორებად გადაიქცევა თუ მხოლოდ გარეგნულად, შემთხვევითად და თავს მოხვევლად დარჩება, რაც ნორმალურ ზრდას ხელს უშლის.

იგივე პრინციპი, ოღონდ უფრო ძლიერად, ეხება ე.წ. კარნახსაც. არაფერია უფრო აბსურდული, ვიდრე იმის ვარაუდი, თითქოს არ არსებობს არაფერი შუალედური საკუთარი ფანტაზიებისა და სურვილების ამარა ბავშვის დატოვებასა და მისი ქმედებებისათვის ფორმალურად, კარნახის გზით მიმართულების მიცემას შორის. როგორც ეს-ესაა აღვნიშნეთ, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, ბავშვის განვითარების ამ პერიოდში რა ძალები მოითხოვს გამოხატვას და რა სახის აქტივობა შეუწყობს ხელს მათ გამოხატვას ბავშვისათვის სასარგებლოდ. ეს კი

იმისათვისაა საჭირო, რომ ბავშვი აუცილებელი სტიმულითა და საჭირო მასალებით უზრუნველყოს. მაგალითად, შესთავაზოს სათამაშო სახლი, მის მოსაწყობად უკვე გაკეთებული საგნების დათვალიერება, სხვა, მუშაობით დაკავებულ ბავშვებზე დაკვირვება. ეს სავსებით საკმარისია ხუთი წლის ბავშვის აქტივობების წარმართვისათვის. მიბაძვა და შეგონება მის ცხოვრებაში თანდათანობით შედის, მაგრამ მხოლოდ როგორც საშუალებები, რომლებიც ბავშვს საკუთარი სურვილებისა და ჩანაფიქრების განხორციელებაში უწყობს ხელს. ისინი ბავშვს ეხმარება, გაიაზროს, გააცნობიეროს ის, რისკენაც აქამდე ბუნდოვანი, ჩამოუყალიბებელი და ამიტომ არაეფექტიანი გზით ისწრაფოდა. ფსიქოლოგიური პოზიციიდან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი იძულებულია, კარნახი გამოიყენოს, იმიტომ რომ ბავშვს წარმოდგენილი არა აქვს, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ამ მიმართულებებისადმი დაქვემდებარებით კონტროლის უნარი მოიპოვოს, სინამდვილეში, მას კარგავს და გარე წყაროებზე დამოკიდებული ხდება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თემები (subject-matter) და მეთოდი ექვსი წლის ბავშვების ქმედებებს (რომლებიც დაწყებითი სკოლის პირველ საფეხურს შეესაბამება) პირდაპირ უკავშირდება. საოჯახო ცხოვრების თამაშში ასახვა ბუნებრივად გადადის უფრო დიდი სოციალური საქმიანობების, რომლებზედაც დამოკიდებულია ოჯახური ცხოვრება, ფართო და სერიოზულ შესწავლაში. დაგეგმვისა და შესრულების უნარების მიმართ მუდმივად მზარდი მოთხოვნა მას საშუალებას აძლევს, გამოკვეთილად ინტელექტუალური თემებისადმი მიპყრობილი ყურადღება უფრო გააკონტროლოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცვლილება, რომელიც „საბავშვო ბაღისა“ და „პირველი კლასის“ სამუშაოს შორის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად არის საჭირო, არ შეიძლება მხოლოდ ამ უკანასკნელმა მოიტანოს. ცვლილებები სკოლაში ისეთივე თანდათანობითი და ფრთხილი უნდა იყოს, როგორც ბავშვის აღზრდაში. ეს კი შეუძლებელია, თუ სკოლამდელი განათლება უარს არ იტყვის იმაზე, რაც მის იზოლაციას იწვევს, და მთელი გულით არ მიესალმება იმ მასალებსა და წყაროებს, რომლებიც ბავშვის უნარების სრულად განვითარებას აუწყობს ფეხს და მას ახალი სამუშაოს შესასრულებლად მუდმივ მზადყოფნაში ამყოფებს.

VI. საქმიანობის ფსიქოლოგია

საქმიანობაში არ იგულისხმება ნებისმიერი „დაკავებულობა“ ან სავარჯიშოები, რომლებიც ბავშვს მხოლოდ იმისთვის ეძლევა, რომ არ იცელქოს ან მერხთან უსაქმოდ არ იჯდეს. საქმიანობაში ვგულისხმობ ბავშვის აქტივობის ფორმას, რომელიც სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მუშაობის რაიმე ფორმას ასახავს ან მას მიჰყვება. საუნივერსიტეტო დაწყებით სკოლაში ეს საქმიანობა მოცემულია სახელოსნოში ხეზე ინსტრუმენტებით მუშაობით, კერვით, საჭმლის მომზადებითა და საფეიქრო სამუშაოთი, რომელთა შესახებაც უკვე ვილაპარაკეთ.

ფსიქოლოგიის საქმიანობაზე ძირითადი შეხედულება გულისხმობს, რომ ის გამოცდილების ინტელექტუალურ და პრაქტიკულ ასპექტებს შორის ბალანსს ამყარებს. როგორც საქმიანობა, ის აქტიური, ანუ ქმედებასთან დაკავშირებულია. გამოხატულებას პოულობს ფიზიკურ ორგანოებში – თვალებში, ხელებში და ა.შ. მაგრამ ასევე მოიცავს მასალებზე მუდმივ დაკვირვებას, დაგეგმვასა და გააზრებას, რომ პრაქტიკული, ანუ შესრულების მხარე წარმატებით განხორციელდეს. ასე გაგებული საქმიანობა მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ სამუშაოსგან, რომელიც განათლებას ხელობის სფეროში აქცევს. იგი იმიტომ განსხვავდება, რომ მისი მიზანი თავად მასშია, ზრდაში, და არა გარეგნულ გამოყენებაში. ზრდა კი იდეებსა და მათ ქმედებაში განხორციელებას შორის მუდმივ ურთიერთქმედებას მოაქვს.

ამ სახის სამუშაოს გაგრძელება შესაძლებელია ისე (მაგრამ არა პროფესიულ სკოლებში), რომ ძირითადი ყურადღება მთლიანად ხელსაქმებზე ან ფიზიკურ სამუშაოზე გადავიდეს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, სამუშაო უბრალოდ რუტინად ან ჩვევად იქცევა და მისი საგანმანათლებლო ღირებულება იკარგება. ეს ტენდენცია გარდაუვალია ყველგან, სადაც ხელსაქმე,

კონკრეტული ინსტრუმენტების მოხმარება ან კონკრეტული ნივთების კეთებაა უპირველესი მიზანი, მაგრამ ბავშვს უფრო შესაფერისი ინსტრუმენტების არჩევის ინტელექტუალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, სამუშაოს მოდელისა და გეგმის ჩამოყალიბების, საკუთარი შეცდომების დანახვისა და მათი გამოსწორების გზების ძიების საშუალება არ ეძლევა – ეს კი, რა თქმა უნდა, მის შესაძლებლობებშია. როცა მხედველობაში მიიღება მხოლოდ გარეგნული შედეგები, და არა მიზნის მიღწევის პროცესში შემავალი გონებრივი და მორალური მდგომარეობა და ზრდის ფაქტორი, სამუშაოს შეიძლება ვუწოდოთ ხელსაქმე, და არა საქმიანობა. ყველაფერი, რაც ჩვევასთან, რუტინასთან არის დაკავშირებული, შედეგად საქმის გაუცნობიერებლობასა და მექანიკურობას მოიტანს მაშინ, როდესაც საქმიანობა ყველაფრის, რაც კეთდება, მაქსიმალურ გაცნობიერებას ნიშნავს. ეს საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ აქცენტები: ა) საფეიქრო სამუშაოსთან დაკავშირებულ პირად ექსპერიმენტირებაზე, დაგეგმვასა და ხელახლა გამოგონებაზე; ბ) მათ ისტორიულ პარალელებზე. პირველი – ბავშვისგან გონებრივ სისხარტესა და ყურადღებას მოითხოვს, რათა ფიზიკური სამუშაო კარგად შეასრულოს. მეორე კი – სამუშაოს სოციალური ცხოვრების, რომლითაც ის გამსჭვალულია და რომელსაც იმეორებს, მიერ მიწოდებული ღირებულებებით ამდიდრებს და აღრმავებს.

ითვლება, რომ საქმიანობა გვაძლევს როგორც გრძნობების აღზრდის, ასევე, აზროვნების მოწესრიგების იდეალურ საშუალებებს. ჩვეულებრივი, თითქოს გრძნობების აღზრდაზე გათვლილი გაკვეთილების სისუსტე ისაა, რომ მათგან არაფერი და, მაშასადამე, არც საჭირო მოტივი არ გამომდინარეობს მაშინ, როდესაც ცალკეული ინდივიდის, ისევე როგორც მთლიანად ადამიანთა მოდემის, ბუნებრივი ცხოვრება გონიერი დაკვირვებისათვის მიზნებს ყოველთვის იძლევა. მისაღწევ მიზანს ყოველთვის ახლავს საჭიროებები, რომლებიც ადამიანისაგან ითხოვს, ეძებოს, აღმოაჩინოს და გამოყოს ის, რაც ამ მიზნის მიღწევაში დაეხმარება. ნორმალური შეგრძნებები აქტივობის საჭირო მიმართულებით წარმართვაში გასაღებად, დახმარებად, სტიმულად გვევლინება, და არა მიზნად. შეგრძნებების რეალური საჭიროებებისა და მოტივებისაგან განცალკევებულად აღზრდა ჩვეულებრივი ვარჯიში, შეგრძნებების მიღწევის ილეთი ან გრძნობის ორგანოების უბრალო გამღიზიანებელი ხდება.

იგივე პრინციპი გამოდგება ნორმალურ აზროვნებასთან დაკავშირებითაც. აზროვნება აზროვნებისთვის არ ჩნდება და არც თავის თავში მთავრდება. მას სირთულეების აღქმისა და მათი დაძლევის საუკეთესო გზის გამოკვეთის საჭიროება წარმოშობს. აქედან გამომდინარე, ის ხელს უწყობს მისაღწევი მიზნის

დაგეგმვას, გონებაში წარმოდგენას, მიღწევისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯების მოფიქრებასა და მათი თანმიმდევრობის ჩამოყალიბებას. ქმედების ეს კონკრეტული ლოგიკა წმინდა ამროვნებისა და აბსტრაქტული კვლევის ლოგიკას ბევრად უსწრებს და, მის მიერ ჩამოყალიბებული გონებრივი ჩვევების მეშვეობით, ამ მეორისათვის მომზადების საუკეთესო გზად გვევლინება.

მეორე საგანმანათლებლო საკითხი, რომელსაც საქმიანობის ფსიქოლოგია ნათელს ჰფენს, ის ადგილია, რომელიც უკავია ინტერესს სასკოლო მუშაობაში. სკოლის მუშაობაში ბავშვის ინტერესისათვის ფართო და რეალური ადგილის დათმობის საწინააღმდეგოდ გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრება გულისხმობს, რომ ამ საფუძველზე სწორი შერჩევა შეუძლებელი იქნება. აღნიშნული მოსაზრების ავტორები ამბობენ, რომ ბავშვებს ყველანაირი ინტერესები აქვთ – კარგიც, ცუდიც და ნეიტრალურიც. საჭიროა ნამდვილად მნიშვნელოვანი ინტერესების ჩვეულებრივისაგან, სასარგებლო ინტერესების კი – საზიანოსაგან გამორჩევა; წარმავალი ინტერესების, რომლებიც მხოლოდ წუთიერ აღელვებას იწვევენ და მდგრადი ინტერესების, რომლებიც მუდმივად მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გარჩევა. თითქოს იმისათვის, რომ ინტერესის გამოყენების საფუძველი მოვძებნოთ, თავად ინტერესის ფარგლებს უნდა გავცდეთ.

უდავოა, რომ ბავშვისთვის საქმიანობა უკიდურესად საინტერესოა. ამაში დასარწმუნებლად იმ სკოლებში, სადაც ასეთი სამუშაო ტარდება, ერთხელ შეხედვაც კი საკმარისია. სკოლის გარეთ, ეზოში ბავშვების თამაშობების დიდი ნაწილი სოციალური საქმიანობების მინიატურულად და უნებლიეთ ასახვის მცდელობაა. საკმარისი მიზეზი გვაქვს, დავიჯეროთ, რომ ამ საქმიანობების დროს წარმოქმნილი ინტერესი ნამდვილად ჯანმრთელი, მუდმივი და საგანმანათლებლოა; და რომ საქმიანობისათვის მეტი ყურადღების დათმობით, შესანიშნავ და, შეიძლება ითქვას, ბავშვის სპონტანური ინტერესის გამოსავლენად საუკეთესო გზას უზრუნველვყოფთ. თანაც, გარანტია გვეძლევა, რომ ეს ინტერესი უბრალოდ სიამოვნების მიღება, აღელვება და წარმავალი რამ არ იქნება.

პირველ რიგში, ყველა ინტერესი რაღაც ინსტინქტიდან ან ჩვევიდან გამომდინარეობს და შემდეგ თვითონ ორიგინალურ ინსტინქტს ეფუძნება. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი მათგანი თანაბარი ღირებულებისაა. ჩვენ შთამომავლობით ვიღებთ გარკვეულ ინსტინქტებს, რომლების ცხოვრებაში გამოსაყენებლადაც მათი უფრო გარდაქმნა საჭირო, ვიდრე დაკმაყოფილება. მაგრამ ინტერესები, რომლებიც ცნობიერ გამოხატულებას საქმიანობაში ჰპოვებს, უკიდურესად ფუნდამენტური და მუდმივია. ცხოვრებაში აქტივობები იმისკენ არის მიმართული, რომ ბუნების მასალები და ძალები ჩვენი მიზნების კონტროლს დაუქვემდებარ-

როს, ცხოვრებისეული ამოცანების განსახორციელებლად გამოიყენოს. ადამიანებს უნდა ემუშავათ, რომ ეცხოვრათ. მუშაობის მეშვეობით, ისინი ბუნების ბატონ-პატრონები გახდნენ, შეძლეს თავიანთი ცხოვრების პირობების დაცვა და გამდიდრება, თავიანთი შესაძლებლობები გააცნობიერეს — მივიდნენ გამომგონებლობამდე, დაგეგმვამდე, უნარებისა და შესაძლებლობების დაუფლებამდე. საქმიანობები შეიძლება უხეშად დავყოთ ისეთებად, რომლებიც ადამიანის სამყაროსთან ფუნდამენტურ ურთიერთობებს უკავშირდება, იმ სამყაროსთან, რომელშიც ის ცხოვრობს, აუცილებელ საკვებს მოიპოვებს, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით თავს უზრუნველყოფს, ცხოვრებას ილამაზებს და უსაფრთხოს ხდის, საბოლოოდ, მოიპოვებს სახლს, სადაც მაღალი და უფრო სულიერი ინტერესები თავის ადგილს იპოვის. არა მგონია, ეჭვს იწვევდეს, რომ ინტერესები, რომელთა უკან ასეთი ისტორია დგას, ღირებული უნდა იყოს.

თუმცა ეს ინტერესები, როდესაც ისინი ბავშვში ვითარდება, არა მხოლოდ საკუთარი რასის წარსულ, მნიშვნელოვან საქმიანობას იმეორებს, არამედ ბავშვის გარშემო დღეს არსებულ გარემოსაც ასახავს. ბავშვი მის ირგვლივ მუდმივად ამ საქმეებით დაკავებულ უფროსებს ხედავს; ყოველდღიურად აწყდება მათ შედეგებსა და, ასევე, ფაქტებს, რომლებსაც სხვა აზრი, თუ არა ამ საქმიანობებთან კავშირი, არა აქვთ. ამოიღეთ ეს ყველაფერი დღევანდელი ცხოვრებიდან და დაინახავთ, რამდენად ცოტა რამ დარჩება, არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ინტელექტუალური, ესთეტიკური და მორალური ქმედებების თვალსაზრისითაც, რადგან ეს ფართოდ და გარდაუვალად უკავშირდება ზოგადად საქმიანობას. ბავშვის ინსტინქტურ ინტერესს მუდმივად ის ასაზრდოებს, რასაც თავის გარშემო ხედავს, გრძნობს და ესმის. ამ მიმართულებით შეგონებები მუდმივად ბავშვისკენაა მიმართული და მას გარკვეული მოტივები უჩნდება; მისი ენერჯია მოქმედებისთვის მზადაა. და ისევ, უსაფუძვლო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინტერესები, რომლებსაც მუდმივად და მრავალი მხრიდან ვხეებით, ღირებული და გამძლეა.

მესამე, განათლებაში ინტერესის პრინციპის გათვალისწინების საწინააღმდეგოდ გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ის აზრობრივი სტრუქტურის დაშლას და, ბავშვის მუდმივი აფორიაქებით, უწყვეტობისა და სიმყარის განადგურებას იწვევს. მაგრამ საქმიანობა (როგორცაა საფეიქრო საქმე) სწორედ აუცილებლად უწყვეტია. ის გრძელდება არა დღეების, არამედ თვეებისა და წლების განმავლობაში. მოითხოვს არა იზოლირებული და ზედაპირული ენერჯიების ამოქმედებას, არამედ გარკვეული ზოგადი ხაზის გარშემო ძალების მყარ, უწყვეტ ორგანიზებას. რა თქმა უნდა, იგივე ეხება საქმიანობის ყველა სხვა ფორ-

მას, მაგალითად, სახელოსნოში იარაღებით მუშაობას ან საჭმლის მომზადებას. საქმიანობები იმპულსების უზარმაზარ მრავალფეროვნებას ერთ მთლიან, მყარი ხერხემლის მქონე ჩონჩხად აერთიანებს, სხვა შემთხვევაში, ისინი დანაწევრებული და არათანაბარი იქნება. საეჭვოა, რამდენად შესაძლებელი იქნება „ინტერესის“ პრინციპს სკოლის მუშაობაში თავისი კუთვნილი დიდი ადგილი დაეთმოს, თუ მას ზოგიერთი რეგულარული და პროგრესული მოდელისაგან, რომელიც მთელი სასკოლო სისტემის საფუძველია, სრულიად განვაცალკევებთ.

VII. ყურადღების განვითარება

სკოლამდელი, ანუ საბავშვო ბაღის განყოფილება განიხილავს პედაგოგიკის პრობლემებს, რომლებიც წარმოშვა საბავშვო ბაღსა და დაწყებით განათლებას შორის ახლო ურთიერთობის დამყარების მცდელობამ და ტრადიციული მასალებისა თუ ტექნიკის შეცვლამ, რათა სოციალურ პირობებს, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ცოდნის თანამედროვე დონეს მორგებოდა. ნაშრომის დეტალური ვარიანტი მოგვიანებით გამოქვეყნდება.

პატარა ბავშვების დაკვირვებები და აზრები, ძირითადად, ადამიანებისკენა მიმართული: რას აკეთებენ, როგორ იქცევიან, რით არიან დაკავებულნი და აქედან რა შედეგს იღებენ. მათი ინტერესი უფრო პიროვნული, და არა ობიექტური და ინტელექტუალური ხასიათისაა. ამგვარი ინტელექტუალური ინტერესის ანალოგი არის თხრობის ფორმა, რაც გრძნობებთან ერთად საერთო იდეით გაერთიანებულ ფსიქოლოგიურ მომენტს, განსხვავებულ მონაწილეებსა და აზრებს გულისხმობს. მას არ აინტერესებს რაიმე კონკრეტული ამოცანა, მიზანი ან პრობლემა, ზედაპირზე არსებული ურთიერთობები ან ზღაპარი. ბავშვის გონება კი ეძიებს ისეთ მთლიანობას, რომელიც სხვადასხვა სახით ვლინდება ეპიზოდში, გაცოცხლებულია მოქმედებით და განსაზღვრულია თვალშისაცემი მახასიათებლებით. იგი უნდა შეიცავდეს მოულოდნელობებს, მოძრაობას, იძლეოდეს სარგებლობისა და მოქმედების შეგრძნებას. ფორმისა და სტრუქტურის ცალკეული დეტალების ანალიზი ბავშვს არც იზიდავს და არც აკმაყოფილებს. მას იდეებისგან განცალკევებული საგნები და მოვლენები აინტერესებს.

მასალა, რომელსაც არსებული სოციალური საქმიანობა გვაწვდის, გათვლილია იმაზე, რომ დაინახოს და კვებოს ეს დამოკიდებულება. წლების წინ ბავშვებს აინტერესებდათ სახლის საქმიანობა, ოჯახების ერთმანეთთან და გარე ცხოვრებასთან კავშირი. დღეს მათ შეუძ-

ლიათ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საქმიანობების მთლიანობაში განხილვა – სტადია, რომელიც ბავშვის ეგოისტურ, საკუთარ თავზე კონცენტრირებულ ინტერესს სცილდება და, ამასთან ერთად, რაღაც ძალიან პიროვნულთან, მათთვის ამაღელვებელთან ასოცირდება.

განათლების თეორიის თვალსაზრისით, შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი დამახასიათებელი თვისებები:

1. ბუნების საგნების, პროცესებისა და ურთიერთობების შესწავლა ადამიანის ყურადღების არეში შედის. წლის განმავლობაში თესლსა და მის ზრდაზე, მცენარეებზე, ტყეზე, ქვებზე, ცხოველებზე, მათი აგებულებისა და ზრდის ზოგ სტადიაზე, ლანდშაფტის გეოგრაფიულ პირობებზე, კლიმატზე, მიწისა და წყლის მართვაზე საკმაოდ დეტალური დაკვირვება მიმდინარეობს. პედაგოგიკის ამოცანაა, ბავშვის დაკვირვების უნარი წარმართოს, მასში სამყაროს, რომელშიც ის ცხოვრობს, თვისებების მიმართ კეთილგანწყობილი ინტერესი აღზარდოს, ხელი შეუწყოს მასალის ინტერპრეტირებას უფრო დაკვირვებული შესწავლისათვის, ბავშვის სპონტანური ემოციებისა და აზრების მეშვეობით მრავალფეროვანი ფაქტებისა და იდეების გარემო შექმნას. აქედან გამომდინარეობს მათი კავშირი ადამიანების ცხოვრებასთან. აბსოლუტურად არ იკვეთება არანაირი გამიჯვნა სამუშაოს „სოციალურ“ და „მეცნიერულ“ მხარეებს შორის, რადგან ცნობიერი სხვაობა ადამიანსა და ბუნებას შორის შემდგომი აღქმისა და განზოგადების შედეგია და ბავშვის იძულება, დროზე ადრე გაიგოს ეს, არა მხოლოდ მთელი მისი გონებრივი ენერჯის გამოყენების წარუმატებელი მცდელობა იქნება, არამედ მას დააბნევს და ყურადღებას გაუფანტავს. გარემო ყოველთვის ის ადგილია, სადაც ცხოვრება მიმდინარეობს და რომელიც ამ ცხოვრების პირობებს ქმნის. მისი იზოლირება და პატარა ბავშვების დაკვირვებისა და განხილვის ცალკე ობიექტად ქცევა ადამიანის ბუნებისადმი უყურადღებო მიდგომაა. დაბოლოს, გონების ბუნებისადმი ღია და თავისუფალი მიდგომა ინგრევა; ბუნება დაყვანილია უამრავ უმნიშვნელო დეტალამდე.

„კონკრეტულისა“ და „ინდივიდუალურის“ მუდმივი აქცენტირებისას თანამედროვე პედაგოგიურ თეორიას მხედველობიდან რჩება, რომ კონკრეტული ფიზიკური საგნის ან არსების – ქვის, ფორთოხლის ან კატის – არსებობის ან წარმოდგენის ფაქტი სულაც არ არის კონკრეტულობის გარანტი; რომ ეს ფსიქოლოგიური საკითხია, ისაა, რაც გონებას, როგორც მთელს, ინტერესისა და ყურადღების თვითკმარ ცენტრად აღიქვამს. ზედაპირული და, რაღაც გაგებით, მკვდარი შეხედულების მხარის საპასუხო ქმედებიდან ხშირად გამომდინარეობს, რომ თითქოს საჭირო გარეგნული ფორმა, რომელიც ადამიანისათვის

მნიშვნელობის შემცველია, მხოლოდ პირდაპირი პერსონიფიკაციიდან მოდის და ჩვენ მცენარის, ღრუბლის ან წვიმის მუდმივ სიმბოლოზაციას ვიღებთ, რაც მხოლოდ ფსევდომცენიერების სფერო შეიძლება იყოს, რომელსაც, იმის ნაცვლად, რომ თვითონ ბუნებისადმი სიყვარულის გენერირებას ახდენდეს, ინტერესი გრძნობიერ და ემოციურ მხარეებზე გადააქვს, ფანტაზს მას და ანადგურებს. ბუნებისადმი ლიტერატურული გარემოდან გამომდინარე მიდგომის ტენდენციაც კი, მაგალითად, ნაძვის ხისადმი უკმაყოფილო ნაძვის შესახებ თქმულების საშუალებით მიდგომა და ა.შ., ადამიანის ასოციაციური აზროვნების საჭიროებას აღიარებს, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ გონებისა და საგნის დამაკავშირებელი პირდაპირი გზა არსებობს – თვითონ ცხოვრებასთან უშუალო კავშირი; და რომ ლექსსა და მოთხრობას, ლიტერატურულ გამონათქვამებს თავისი ადგილი აქვს, როგორც ძალების განახლებისა და იდეალიზებისათვის აუცილებელს, მაგრამ არა როგორც საფუძვლის ჩამყრელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა არა ბავშვის გონებისა და ბუნების კავშირის განმტკიცება, არამედ უკვე არსებულისთვის თავისუფალი და ეფექტიანი არსებობის საშუალების მიცემა.

2. ეს მაშინვე წარმოშობს პრაქტიკულ შეკითხვებს (რომლებიც, ჩვეულებრივ, „ურთიერთკავშირის“ სახელით განიხილება) შესწავლილ მოვლენებსა და მოპოვებულ უნარებს შორის ისეთი ურთიერთკავშირების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დანაკარგების თავიდან აცილება და გონებრივი ზრდის მთლიანობის მიღწევა. დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, პრობლემა უფრო დახარისხებას ეხება, ვიდრე ურთიერთქმედებას, როგორც ამას, ჩვეულებრივ, თვლიან. ცხოვრების მთლიანობა, როგორც ის ბავშვს წარმოუდგება, ერთმანეთთან აკავშირებს და ცხოვრებაში ატარებს განსხვავებულ საქმიანობებს, მცენარეთა, ცხოველთა და გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებას. ხატვა, მოდელირება, თამაშები, კონსტრუქციული სამუშაო და ანგარიში არის გზები, რომლებსაც ცხოვრების მთლიანობის გარკვეული დამახასიათებელი თვისებები გონებრივ და ემოციურ დაკმაყოფილებამდე და სრულყოფამდე მიჰყავს. ამ წლის განმავლობაში წერასა და კითხვას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცევა, მაგრამ ნათელია, ეს ყურადღება საჭიროდ რომ ჩათვლილიყო, აქაც იგივე პრინციპი გამოდგებოდა. თემის ერთიანობა და უწყვეტობაა ის, რაც ორგანიზებას ახდენს და ამ მხარეებს ერთმანეთთან აკავშირებს. ურთიერთკავშირი არ მყარდება მითითებების მეშვეობით, რომლებსაც მასწავლებელი იყენებს, რათა ერთმანეთს მიაბას საგნები, რომლებიც ერთმანეთს ვერ უკავშირდება.

3. არსებობს დაწყებითი განათლების ორი აღიარებული მოთხოვნა, რომე-

ლიც დღეს ხშირად ერთიანად არ აღიქმება, მეტიც, ერთმანეთს უპირისპირდება კიდევ. უცნობსა და ახალზე გადასასვლელად ნაცნობისა და უკვე გამოცდილის საფუძვლად გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. ბოლოს და ბოლოს, იწყება ბავშვის წარმოსახვის, როგორც ფაქტორის, აღიარება. პრობლემა ამ ორი უნარის ერთად, და არა ცალ-ცალკე ამუშავებაა. ბავშვს ნაცნობი საგნებისა და იდეების გარშემო სავარჯიშოები პირველი პრინციპის გათვალისწინებით ზედმეტად ხშირად ეძლევა. იმავე დროს, მას პირდაპირ აცნობენ გაუგებარ, უცნაურ, ძნელად დასაკმაყოფილებელ მეორე პრინციპის მოთხოვნებს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შედეგი ორმაგად წარუმატებელია. არ არსებობს კონკრეტული კავშირი არარეალურს, მითს, ზღაპარსა და გონებაში წარმოსახულ სახეებს შორის. წარმოსახვა შეუძლებლის დანახვა კი არა, მთავარი იდეის გავლენის ქვეშ მყოფი ნებისმიერი რაღაცის კონსტრუქციული გზით წარმოდგენაა. საქმე ის კი არ არის, ბავშვები უკვე ნაცნობი საკითხების მოსაწყენ გამეორებაზე შეჩერდნენ, გაკვეთილზე თვალსაჩინოების ცქერით თავანთი გრძნობები უკვე გაცნობილი მასალისკენ მიმართონ, არამედ ყველაფერი ჩვეულებრივი, შინაური და ჩვეული გააცოცხლონ, რომ მანამდე შეუცნობელი და უცხო სიტუაციების შესაქმნელად და შესაფასებლად გამოიყენონ. ეს წარმოსახვის კულტურაა. ეტყობა, ზოგ ავტორს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ბავშვის წარმოსახვა მხოლოდ წარსულში მისგან შორს მდებარე ადგილების მითებსა და ზღაპრებში ან მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ წარმოდგენელი ამბების შეთხზვაში გამოიხატება. ისინი კიდევაც ცდილობენ, „მეცნიერება“ წარმოადგინონ მითებით შეფუთული, როგორც ბავშვის წარმოსახვის დომინანტური გზა. ჯონისა და ჯინის, რომელთა შესახებაც ჩვენ ყველამ ვიცით, წარმოსახვა მთლიანად ცხოვრების მიმდინარე და ნაცნობი კონტაქტებისა და მოვლენების – დედისა და მამის, მეგობრის, გემებისა და ლოკომოტივების, ცხვრებისა და ძროხების, ფერმის რომანტიკისა და ტყის, ზღვის სანაპიროსა და მთების გარშემო ტრიალებს. ერთი სიტყვით, საჭიროა, უზრუნველვყოთ შესაძლებლობები, რომლებიც ბავშვს უბიძგებს, გამოავლინოს და სხვას გაუცვალოს თავისი გამოცდილებებისა და ინფორმაციის მარაგი, მოახდინოს ახალი დაკვირვებები, რომლებიც შეასწორებს და გააფართოებს ამ გამოცდილებასა და ინფორმაციას, რათა წარმოსახვითი სახეები ცოცხალი იყოს, რომ ახლისა და მზარდის განსაზღვრული და მკაფიო რეალიზაციით მისმა გონებამ სიმშვიდე და დაკმაყოფილება მოიპოვოს.

რეფლექტიური ყურადღების განვითარებამ ბავშვის აღზრდის მეთოდების ცვლილების საჭიროება და შესაძლებლობა მოიტანა. წინა პარაგრაფებში განვიხილეთ ბავშვის პირდაპირი, სპონტანური დამოკიდებულება, რომელიც მას შვიდ

წლამდე ახასიათებს — მისი მოთხოვნილება, შეიძინოს ახალი გამოცდილება, და სურვილი, თამაშში გადმოცემული წარმოსახვითი სახეების მეშვეობით, თავისი არასრული გამოცდილება სრულყოს. ეს დამოკიდებულება ტიპურია იმისათვის, რასაც ავტორები სპონტანურ, ზოგიერთები კი — არანებაყოფლობით, ყურადღებას უწოდებენ.

ბავშვი, უბრალოდ, მთლიანად ერთვება იმაში, რასაც აკეთებს. საქმიანობა, რომელშიც ჩართულია, მთლიანად იპყრობს. ის უშურველად, ბოლომდე გასცემს საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ენერჯია იხარჯება, ბავშვის ძალისხმევა გაცნობიერებული მაინც არ არის. ბავშვი კონცენტრირებისკენ არის მიდრეკილი, თუმცა ეს გაცნობიერებული განზრახვა არ არის.

უფრო შორეული მიზნების აღქმის განვითარებასა და ქმედებების ისე წარმართვის საჭიროებას, რომ ისინი ამ მიზნების მიღწევის საშუალებებად იქცნენ (საკითხი, რომელიც მეორე ნომერშია განხილული), გადაყვავართ იმაზე, რასაც არაპირდაპირი ან, ზოგიერთ ავტორთან, ნებაყოფლობითი ყურადღება ეწოდება. შედეგი წარმოსახვითია და ბავშვი ჩართულია იმაში, რაც მის წინაშეა ან რასაც ის იმ წუთას აკეთებს, რადგან ეს მიზნის მიღწევაში ეხმარება. ობიექტი ან ქმედება, ცალკე აღებული, შეიძლება უინტერესო ან სულაც მიუღებელი იყოს. მაგრამ რადგან ბავშვს სასურველად ან ღირებულად ეჩვენება, ეს უკანასკნელი მომხიბლობასა და ბავშვზე გავლენის უნარს იძენს.

ეს „ნებაყოფლობით“ ყურადღებაზე გადასვლაა, მაგრამ მხოლოდ გადასვლაა. ის სრული ძალით მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როდესაც ბავშვი შედეგებს იმ პრობლემებისა და შეკითხვების ფორმით მიიღებს, რომელთა გადაწყვეტა ან რომლებზე პასუხებიც მან თვითონ უნდა მოძებნოს. გარდამავალ სტადიაზე (რვა წლიდან, ვთქვათ, თერთმეტ ან თორმეტ წლამდე), როდესაც ბავშვი გარდამავალი საფეხურის საქმიანობათა სერიას იმ მიზნისკენ მიმართავს, რომლის მიღწევის სურვილიც მას აქვს, ეს მიზანი რაღაც მატერიალურის გაკეთებაა. პრობლემა უფრო პრაქტიკული ხასიათისაა, ვიდრე ინტელექტუალურის. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბავშვის შესაძლებლობები იზრდება, მას შეუძლია, ჩაწვდეს მიზანს, როგორც რაღაც აღმოსაჩენსა და გასარკვევს, და მოიქცეს ისე, რომ აღმოჩენა და გადაწყვეტა შეძლოს. ეს არის კონკრეტულად რეფლექტიური ყურადღება. ისტორიის შესწავლის დროს არსებობს გადასვლა ამბის ან ბიოგრაფიის მოცოლის ფორმიდან, წამოჭრილი დისკუსიიდან და შეკითხვებიდან შეკითხვების დაკონკრეტების ფორმაზე. შეხედულებები, რომელთა შესახებაც შესაძლებელია არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა, საკითხები, რომლებზეც გამოცდილებამ და გააზრებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს, ისტორიაში ყოველთვის გვხვდება.

მაგრამ დისკუსიის იმისათვის გამოყენება, რომ ეს საჭოჭმანო და განსხვავებული საკითხები გარკვეულ პრობლემად ვაქციოთ, ბავშვს ვაგრძობინოთ, რაშია სირთულე და შემდეგ საშუალება მივცეთ, საკუთარი რესურსების გამოყენებით ეძიოს მასალა, რომელიც ამ შეხედულებებსა და მსჯელობაზე ზემოქმედებას მოახდენს, ან გადაწყვეტილება მიიღოს, მნიშვნელოვანი ინტელექტუალური წინსვლაა. ასე მაგალითად, მეცნიერებაში ფოტოაპარატის გაკეთებისა და გამოყენებისადმი პრაქტიკული დამოკიდებულებიდან ამ პროცესში ჩართული ინტელექტუალური პრობლემების გათვალისწინებაზე (განათების დაყენების პრინციპები, გადაღების კუთხის განსაზღვრა და ა.შ.) გადასვლა ხდება, ეს კი პრაქტიკისათვის თეორიულ საფუძველს ქმნის.

ეს ზრდა, ზოგადად, ბუნებრივი პროცესია. მაგრამ მისი სწორად განსაზღვრა და შემდეგ გამოყენება ინტელექტუალური თვალსაზრისით სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. ადამიანი, რომელმაც რეფლექტიური ყურადღების, პრობლემების გონების თვალთ დასახვის უნარი უკვე შეიძინა და შეუძლია კითხვები დასვას, ინტელექტუალური თვალსაზრისით, განათლებულია. მას დისციპლინირებული გონება აქვს (mental discipline), – გონების უნარი და უნარი გონებისათვის (power of the mind and for the mind). ამის გარეშე გონება ჩვევისა და გარე შეთავაზებების ამარა რჩება. ზოგი სირთულე ჩვეულებრივი სწავლების ფორმისათვის დამახასიათებელი შეცდომის განხილვამ შეიძლება დაგვანახოს. ძალიან ხშირად მიაჩნიათ, რომ ყურადღება პირდაპირ ერთ რომელიმე თემაზე შეგვიძლია გავამახვილოთ, თუ ამისათვის საჭირო სურვილი და განწყობა გავვაჩინა. ამ შემთხვევაში, წარუმატებლობას სურვილისა და აღქმის უნარის არქონას უკავშირებენ. ბავშვებს მათემატიკის, გეოგრაფიისა და გრამატიკის გაკვეთილებს ვუტარებთ და ვეუბნებით: იმისათვის რომ ისწავლონ, ამ გაკვეთილებს უნდა დაესწრონ. მაგრამ, თუ გამოვრიცხავთ, რომ ყურადღების საფუძველი გონებაში არსებული კითხვები და ეჭვებია, რეფლექტიური ყურადღების მიღწევა შეუძლებელია. თუ თვითონ მასალა შეიცავს საკმარის შინაგან ინტერესს, შესაძლებელი იქნება პირდაპირი, ანუ სპონტანური ინტერესის მიღწევა, რაც, თავისთავად, შესანიშნავია, მაგრამ თვითონ ეს ინტერესი არ იძლევა ფიქრისა და შინაგანი გონებრივი კონტროლის უნარს. თუ მასალა ბავშვისათვის შინაგანად საინტერესო, მიმზიდველი არ არის, მაშინ (ბავშვის ტემპერამენტიდან და ტრენინგიდან გამომდინარე და სკოლების მიერ დაფიქსირებული პრეცედენტებისა და მოლოდინების მიხედვით) მასწავლებელმა ის ან უცხო მომხიბლობით უნდა შეფუთოს, ან ბავშვების „საინტერესო გაკვეთილისადმი“ ყურადღება სხვა გამაღიზიანებლების გამოყენებით მიიპყროს (დაბალი ნიშნის, წინ ვერწასვ-

ლის, სკოლის შემდეგ დარჩენის მუქარით ან გაკიცხვის გზით, რისი გამოხატვაც მრავალნაირად შეიძლება - მუდმივი უკმაყოფილებით, ყურადღებისადმი მოწოდებით და ა.შ.).

მაგრამ (1) ასე მოპოვებული ყურადღება მხოლოდ ნაწილობრივი ან გაფანტული შეიძლება იყოს. (2) ის ყოველთვის რაღაც გარეგანზე დამოკიდებული იქნება - აქედან გამომდინარე, როგორც კი ყურადღება მოდუნდება ან ზეწოლა შესუსტდება, შინაგანი, ანუ ინტელექტუალური კონტროლისაგან ცოტა რამ თუ რჩება. (3) ასეთი ყურადღება მხოლოდ „სწავლებისათვის“, ანუ შესაძლო კითხვებზე მზა პასუხების დამახსოვრებისთვისაა გამოსადეგი. მეორე მხრივ, ნამდვილი, რეფლექტიური ყურადღება ყოველთვის მსჯელობას, აზროვნებას, მოფიქრებას გულისხმობს. ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვს თავისი საკუთარი კითხვა გააჩნია და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვითონვე ეძებს და არჩევს შესაფერის მასალას, ითვალისწინებს მის იმ გადაწყვეტილებისადმი დამოკიდებულებას, რომელიც მან უნდა მიიღოს. პრობლემა მისია; აქედან გამომდინარე, სტიმული და იმპულსიც მისია და მიღწეული ტრენინგიც - ეს არის დისციპლინა, ანუ გონების კონტროლის უნარი. ეს კი უკვე პრობლემის განხილვის ჩვევაა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტრადიციული განათლება მხოლოდ ბავშვისათვის მზა მასალის (წიგნები, თვალსაჩინოებები, მასწავლებლის საუბრები) მიწოდებასა და ბავშვის მიერ მის თხრობას ანიჭებს მნიშვნელობას. ამიტომ რეფლექტიური ყურადღების განვითარებისათვის მხოლოდ შემთხვევითი შესაძლებლობა და მოტივი შეიძლება არსებობდეს. თითქმის არანაირი ყურადღება არ ექცევა ფუნდამენტურ აუცილებლობას, ბავშვმა პრობლემა საკუთრად აღიქვას და მასზე პასუხი თვითონვე იპოვოს. პრობლემის, როგორც პირადის, აღქმის პირობები იმდენად სრულად იყო უგულებელყოფილი, რომ ნებაყოფლობითი ყურადღების თვითონ იდეაც კი უკიდურესად დამახინჯდა. მას აღიქვამენ, როგორც მცდელობის სურვილის არქონას, როგორც აქტიუობას, რომელსაც ზეწოლის შედეგად უცხო და მიუღებელი მასალა იწვევს, და არა, როგორც თვითინიცირებულ მცდელობას. სიტყვა „ნებაყოფლობითი“ სურვილის არქონად და მიუღებლად ითვლება, და არა თავისუფლად, პირადი ინტერესისა და იმპულსის მიერ მართულად.

VIII. ისტორიის დანიშნულება დაწყებით განათლებაში

თუ ისტორიას შევხედავთ, როგორც წარსულის უბრალო ჩანაწერებს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მან დაწყებითი განათლების პროგრამაში დიდი როლი ითამაშოს. წარსული წარსულია და მან თავისი მკვდრები თვითონ უნდა დამარხოს. დღევანდელი იმდენ გადაუდებელ მოთხოვნას გვიყენებს, იმდენი გამოწვევაა მომავლის ბლურბლზე, რომ ძნელია, ბავშვს საშუალება მივცეთ, მთლიანად ჩაეფლოს იმაში, რაც დიდი ხნის წინ დამთავრდა. მაგრამ ეს ასე არ იქნება, თუ ისტორიას სოციალური ცხოვრების საშუალებებად და ფორმებად განვიხილავთ. სოციალური ცხოვრება მუდამ ჩვენთანაა, მისთვის აწმყოსა და წარსულს შორის განსხვავება არ არის და ცხოვრება ერთიანია. ის გვიჩვენებს მოტივებს, რომლებიც ადამიანებს აერთიანებს ან ყოფს, და აფიქსირებს, რა არის სასურველი და რა – საზიანო. რაც უნდა იყოს ისტორია ისტორიკოსისათვის, პედაგოგისათვის ის არაპირდაპირი სოციოლოგიაა – სწავლება საზოგადოების შესახებ, რომელიც განვითარების პროცესებსა და ორგანიზების მოდელებს ღიად გვიჩვენებს. დღეს არსებული საზოგადოება ზედმეტად რთული და, იმავე დროს, ბავშვთან ზედმეტად ახლოს მდგომია, რათა შეისწავლოს. ის ვერ პოულობს ძაფის გორგალს, რომ დღევანდელი სოციალური ცხოვრების ლაბირინთში გზა გაიკვლიოს და არც ისეთ სიმალღებზე ასვლა შეუძლია, რომ მისი მოწყობის პერსპექტივა ზევიდან დაინახოს.

თუ ისტორიის სწავლება მიზნად დაისახავს, ბავშვს სოციალური ცხოვრების ღირებულებების შეფასება შეაძლებინოს, წარმოსახვით დაანახოს ის ძალები, რომლებმაც ადამიანების ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობა შესაძლებელი გახადა, გააგებინოს, ხასიათის რომელმა თვისებამ შეუწყო ან შეუშალა

ხელი განვითარებას, მაშინ ამ სწავლებაში მთავარი დინამიკურობაა. ბავშვებს ისტორია არა როგორც შედეგებისა და ეფექტების ნაკრები, როგორც მომხდარი ფაქტების უბრალო ჩამონათვალი უნდა მივაწოდოთ, არამედ როგორც რაღაც მძლავრი და მოქმედი. მოტივი, ანუ მამოძრავებელი ძალა წინა პლანზე უნდა წამოვიდეს. ისტორიის სწავლა ინფორმაციის დაგროვებას კი არ ნიშნავს, არამედ ინფორმაციის გამოყენებას, რათა მკაფიო სურათი შეიქმნას, თუ როგორ და რატომ სწავლიდნენ ადამიანები ამა თუ იმ საქციელს, აღწევდნენ ან ვერ აღწევდნენ წარმატებებს.

როდესაც ისტორიას, როგორც მოძრავსა და დინამიკურს აღვიქვამთ, მისი ეკონომიკური და ინდუსტრიული ასპექტები წინა პლანზე გამოდის. ეს მხოლოდ ტექნიკური ტერმინებია იმ პრობლემის გამოსახატად, რომლებიც მუდმივად იდგა კაცობრიობის წინაშე: როგორ ეცხოვრა, როგორ დაემორჩილებინა და გამოეყენებინა ბუნების ძალები ისე, რომ მათ ცხოვრების გამდიდრებისთვის ხელი შეეწყობოთ. გონიერების გამოვლინებებმა, რამაც ადამიანი ბუნებისადმი გაუმართლებელ დაქვემდებარებაზე მაღლა დააყენა და დაანახვა, როგორ შეიძლება ბუნების ძალების საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოყენება, ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი წინსვლა მოიტანა. სოციალური სამყარო, რომელშიც დღეს ბავშვი ცხოვრობს, იმდენად მდიდარი და სავსეა, რომ ძნელი წარმოსადგენია, რა ფასი, რა ძალისხმევა და რამდენი ფიქრი დგას ყველაფერი ამის უკან. ადამიანს ამოუწურავი მზა შესაძლებლობები აქვს. ბავშვს უნდა დავეხმაროთ, ეს მზა რესურსები ისეთ ტერმინებად აქციოს, რომლებიც პროცესს გამოხატავენ. მას ადამიანი უნდა დავანახოთ ბუნების პირისპირ, უკვე მოპოვებული შესაძლებლობებისა და იარაღების, უკვე არსებული პროდუქციის გარეშე. შემდეგ თანდათან თვალი გავადევნებინოთ პროცესზე, რომლის მანძილზეც ადამიანმა იმ კონკრეტულ სიტუაციაში არსებული საჭიროებები დაინახა, მოიფიქრა იარაღები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ამ საჭიროებებს გაუმკლავდებოდა. მერე ისწავლა, რომელ ახალ პერსპექტივებსა და, იმავე დროს, პრობლემებს უქმნიდა მას ეს ახალი რესურსები. ადამიანის ინდუსტრიული ისტორია არ არის მხოლოდ მატერიალური, ანუ გამოყენების ისტორია. ის გონის ისტორიაცაა. ეს პროცესი გვიჩვენებს, როგორ ისწავლა ადამიანმა ფიქრი რაღაც მიზნის მისაღწევად, ცხოვრების პირობების ისე შესაცვლელად, რომ თვითონ ცხოვრება გამხდარიყო განსხვავებული. ეს ეთიკის ისტორიაცაა, ჩამონათვალია იმ პირობებისა, რომლებიც ადამიანებმა თავიანთი მიზნების მისაღწევად თანდათანობით დახვეწეს.

საკითხი, როგორ ცხოვრობენ ადამიანები, რა თქმა უნდა, ბავშვის მთავარი ინტერესია. ისტორიულ მასალას ის ამ ინტერესით უდგება. ეს არის შეხედულება,

რომელიც წარსულში მცხოვრებ და მომუშავე ადამიანებს მათთან აახლოებს, ვისთანაც ბავშვი ყოველდღიურად ურთიერთობს და, გარდა ამისა, მას თანაგანცდის უნარს ანიჭებს.

ბავშვს, რომელსაც აინტერესებს, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, რა იარაღებით მუშაობდნენ, რა გამოგონებები ჰქონდათ, რა ცვლილებები იყო მათ ცხოვრებაში, დიდი სურვილი აქვს, თავის ქმედებებში იგივე პროცესები გაიმეოროს, ხელახლა შექმნას იგივე საოჯახო ნივთები, იმავე მასალებს დაეუფლოს. ბავშვს აინტერესებს მინდორი და ტყე, ოკეანე და მთა, მცენარე და ცხოველი, ამიტომ ადრე მცხოვრები ადამიანების პრობლემებისა და წარმატებების გაგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ დაინახავს, რა რესურსებს აწვდიდა და რა წინააღმდეგობებს უქმნიდა მათ ბუნება. მხოლოდ ბუნებრივი გარემოს გააზრების შემდეგ, რომელშიც ადამიანები მის მიერ შესასწავლ პერიოდში ცხოვრობდნენ, შეძლებს ბავშვი მათ შესახებ ცოდნის დაუფლებას. ხოლო ადრინდელი ბუნებრივი გარემოს სურათის სრულად წარმოდგენა შეუძლებელი იქნება, თუ ბავშვი ბუნებასთან ურთიერთობის საკუთარ გამოცდილებას გამორიცხავს. ისტორიისადმი ინტერესი ბუნების შესწავლას უფრო ადამიანურს ხდის და მეტ მნიშვნელობას სძენს. ხოლო ბუნების ცოდნა, თავის მხრივ, ისტორიის შესწავლას მნიშვნელობასა და სიზუსტეს ანიჭებს. ეს ისტორიისა და მეცნიერების ბუნებრივი „ურთიერთკავშირია“.

იგივე მიზანი, სოციალური ცხოვრების უფრო ღრმა აღქმა, ისტორიის სწავლებაში ბიოგრაფიული ელემენტის ადგილს განაპირობებს. უდავოა, რომ ბავშვისათვის ის ისტორიული მასალა უფრო აშკარად და სრულად მიმზიდველი, რომელიც პიროვნული ფორმითაა მიწოდებული და რომელიმე გმირის ცხოვრებასა და საქმიანობაშია თავმოყრილი. თუმცა ბიოგრაფიის ისე გამოყენებაც შეიძლება, რომ ის მხოლოდ უბრალო ამბების ნაკრებად იქცეს, რაც თავისთავად ალბათ საინტერესოა, მაგრამ ბავშვის მიერ სოციალური ცხოვრების აღქმას სულაც არ უწყობს ხელს. ეს ხდება მაშინ, როდესაც პირი, რომლის შესახებაც მოთხრობილია ისტორია, სოციალური გარემოსაგან განცალკევებულად განიხილება ან როდესაც ბავშვს ხელს არ ვუწყობთ, იგრძნოს ის სოციალური გარემო, რომელმაც გმირს ამა თუ იმ ქმედებების ჩადენისაკენ უბიძგა, და სოციალური პროგრესი, რომელსაც მისმა ქმედებებმა ხელი შეუწყო. თუ ბიოგრაფია მიწოდებულ იქნება, როგორც სოციალური საჭიროებებისა და მიღწევების ჯამი, თუ ბავშვი ნათლად წარმოიდგენს სოციალურ ნაკლოვანებებს, პრობლემებსა და იმდროინდელი ადამიანის მიერ გამოყენებულ საშუალებებს მათთან გამკლავებისათვის, მაშინ ბიოგრაფიის შესწავლა სოციალური ცხოვრების შესწავლად იქცევა.

ისტორიის სოციალური დანიშნულების გაცნობიერება ისტორიის მითებად, ზღაპრებად და, უბრალოდ, ლიტერატურულ ინტერპრეტაციებად წარმოდგენას აგვარიდებს. მიუხედავად იმისა, რომ ჰერბარტიანულმა სკოლამ ისტორიის სწავლების მიმართულებით დაწყებითი პროგრამის გასამდიდრებლად ბევრი გააკეთა, ისტორიასა და ლიტერატურას შორის ურთიერთობას ხშირად მაინც არასწორად წარმოაჩენს. ამერიკული კოლონიალიზმისა და დეფოს რობინზონ კრუზოს ისტორიის ლაიტმოტივი, გარკვეული აზრით, ერთი და იგივეა. ორივე გვიჩვენებს ადამიანს, რომელმაც ცივილიზაციას მიაღწია, ამროვნების სიმწიფე მოიპოვა, იდეები, მოქმედების საშუალებები განავითარა, მაგრამ უეცრად მხოლოდ საკუთარი რესურსების ამარა დარჩა, იძულებული გახდა, ველურ, ხშირად მტრულად განწყობილ ბუნებას შეჭიდებოდა და წარმატება გონიერების, ენერჯისა და მტკიცე ხასიათის მეშვეობით ხელახლა მოეპოვებინა. მაგრამ როდესაც რობინზონ კრუზოს მესამე ან მეოთხე კლასის პროგრამაში ვსვამთ, ეტლს ცხენის წინ ხომ არ ვაყენებთ (are we not putting the cart before the horse), ხომ არ ჯობდა, ბავშვისათვის რეალობა ფართოდ, უფრო ინტენსიური შესაძლებლობით, ნათელი და მუდმივი ღირებულებებით მიგვეწოდებინა და რობინზონ კრუზო ამ ტიპის პრობლემებისა და საქმიანობების წარმოსახვითი იდეალიზაციისათვის გამოგვეყენებინა? და ისევ, რაც უნდა ღირებული იყოს, ზოგადად, ველური ცხოვრებისა და, კონკრეტულად, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების ცხოვრების შესწავლა, რატომ უნდა ვასწავლოთ ის ჰაიავათას მეშვეობით და არა უფრო პირდაპირი გზით. პოემს უდავოდ უნდა გამოვიყენოთ იმ პირობებისა და ბრძოლების მთელი რიგის იდეალიზებისათვის, რომლებიც ბავშვისთვის უკვე ცნობილია. ინდიელების ყოფა სოციალურ ცხოვრებაში მუდმივად აჩენს კითხვებსა და გარკვეულ საკითხებს, ან სწავლების სქემაში მას ადგილი თითქმის არ აქვს. თუ ეს ყოფა ნამდვილად ღირებულია, თვითონ ამ ღირებულებით უნდა გამოიკვეთოს და წმინდა ლიტერატურულ დახვეწილობასა და მშვენიერებაში არ დაიკარგოს.

მე ვფიქრობ, იგივე მიზანი – ხასიათისა და სოციალური ურთიერთობების ბუნებრივი ურთიერთდამოკიდებულების გაგება – ისტორიის სწავლებაში ქრონოლოგიის საკითხის გადაწყვეტის საშუალებასაც გვაძლევს. არც ისე შორეულ წარსულში ყურადღება ცივილიზაციის განვითარების თანმიმდევრობით შესწავლის საჭიროებას ექცეოდა, ევფრატის მინდვრებითა და ნილოსით დაწყებული, შემდეგ საბერძნეთითა და რომით გაგრძელებული და ა.შ., შეხედულება, რომელსაც ეყრდნობოდნენ, გულისხმობდა, რომ აწმყო დამოკიდებულია წარსულზე, ხოლო წარსული – წინარე წარსულზე.

ჩვენ ახლა ისტორიის ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციებს შო-

რის კონფლიქტს ვეცნობით. თუ მიზანი ისაა, რომ ბავშვმა გაიგოს, რა არის და როგორ მიმდინარეობს სოციალური ცხოვრება, რაც მასთან სულით უფრო ახლოსაა. ბაბილონის ან ეგვიპტის ცხოვრების გაგება რთული იმიტომ კი არ არის, რომ ის ჩვენგან დროში ძალიან დაშორებულია, არამედ იმიტომ, რომ დღევანდელი სოციალური ცხოვრების ინტერესებსა და მიზნებს არ ემთხვევა. ის საკმარისად არ ამარტივებს და არ განაზოგადებს, ყოველ შემთხვევაში, ამას სწორად არ აკეთებს. ის მოქმედებს იმის გამოტოვებით, რაც დღეს მნიშვნელოვანია და მის დაბალ დონეზე ორგანიზებას არ ახდენს. მისი მკვეთრი, თვალმისაცემი თვისებები სპეციალისტისთვისაც კი ძნელი გასაგებია. ის უდავოდ გვაწვდის ფაქტორებს, რომლებმაც შემდგომი ცხოვრების განვითარებაში წვლილი შეიტანა და დროის დინებაში მოვლენათა რიგი შეცვალა. მაგრამ ბავშვს ჯერ არ შეუძლია აბსტრაქტული მიზეზების სპეციფიკური მიღწევებისა და მიღწევების შეფასება. მას ტიპური ურთიერთობების, პირობებისა და საქმიანობების სურათი სჭირდება. ამ თვალსაზრისით, მისთვის ბევრი რამ პრესტორიული ცხოვრებიდან უფრო ახლობელია, ვიდრე ბაბილონისა და ეგვიპტის რთული და ხელოვნური ცხოვრება. როდესაც ბავშვი მზადაა, გაიგოს, რა არის ინსტიტუტები, ის შეძლებს, გაიგოს, რომელ კონკრეტულ ინსტიტუციურ იდეას უჭერდა მხარს ესა თუ ის ისტორიული ერი და რა ფაქტორები გახდა მისაღები დღევანდელი რთული ინსტიტუციური კომპლექსისათვის. მაგრამ ეს პერიოდი დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვს სხვა სფეროებში მიზეზების აბსტრაქტიზების უნარი უჩნდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ის საშუალო განათლების პერიოდს უახლოვდება.

ამ ზოგად სქემაში სამი პერიოდი, ანუ ფაზა შეიძლება გამოვყოთ: იწყება განზოგადებული ანუ გამარტივებული ისტორიით – იმით, რომელსაც, ლოკალური ან ქრონოლოგიური გაგებით, ისტორიას ვერც კი დავარქმევთ, მაგრამ რომელიც ბავშვს სოციალური აქტივობების მრავალფეროვნების გაცნობისთვის ბიძგს აძლევს. ამ პერიოდში შედის ექვსი წლის ბავშვების მიერ დღევანდელი სოფლისა და ქალაქის ტიპური საქმიანობების შესწავლა; შვიდი წლის ბავშვების მიერ ცნობილი აღმოჩენებისა და ცხოვრებაზე მათი ზემოქმედების სწავლა და რვა წლის ბავშვების მიერ დიდი გადაადგილებებისა და მიგრაციების პროცესის, გამოკვლევებისა და აღმოჩენების, რომლებმაც მთელი დედამიწა ადამიანების ყურადღების არეში მოაქცია, ათვისება. პირველი ორი წლის მუშაობა აშკარად არ ისახავს მიზნად კონკრეტული ხალხების, ადამიანებისა და ისტორიული მოვლენების შესახებ ინფორმაციის შესწავლას. იმავე დროს, ინდივიდუალური ფაქტორის შემოსატანად, უზარმაზარი მოცულობის სამუშაო ტარდება. დიდი მკვლევარებისა და დიდი პირველადმოჩენების შესწავლა იმაზე გადასვლას ემსახურება, თუ რა

არის ლოკალური და სპეციფიკური (რაც დამოკიდებულია პიროვნებებზე, რომლებიც გარკვეულ, კონკრეტულ ადგილას და დროს ცხოვრობდნენ).

ამას გადავყავართ მეორე პერიოდზე, რომელზეც ადამიანების გარკვეული ჯგუფების ლოკალური პირობები და კონკრეტული საქმიანობები წინა პლანზე გამოდის. ეს მიმდინარეობს ბავშვის უნარის, გაიგოს შემოსაზღვრული და პოზიტიური ფაქტების მნიშვნელობა, ზრდის პარალელურად. რადგან ჩიკაგო, ან თუნდაც შეერთებული შტატები, ის გარემოა, რომელსაც ბავშვი ყველაზე კარგად იცნობს, შემდეგი სამი წლის სამუშაო პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს. და ისევე, მესამე წელი გარდამავალია. ის ამერიკულ ცხოვრებას ევროპულს უკავშირებს. ამ დროისათვის ბავშვი მზად უნდა იყოს, გაიზაროს არა ზოგადად და არა მხოლოდ თავისთვის კარგად ნაცნობი სოციალური ცხოვრება, არამედ საფუძვლიანად დიფერენცირებული და, ასე ვთქვათ, მისი სპეციფიკური ტიპები, თითოეული მათგანის განსაკუთრებული მნიშვნელოვნებისა და იმ წვლილის გათვალისწინებით, რომელიც მან მსოფლიო ისტორიაში შეიტანა. შესაბამისად, შემდეგ პერიოდში უკვე მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა შემოდის, ხმელთაშუა ზღვის არეალის ძველი ისტორიით დაწყებული, შემდეგ ისევე ევროპული ისტორიით გაგრძელებული, და ბოლოს ამერიკის ისტორიის თავისებური და დიფერენცირებული ფაქტებით დამთავრებული.

ამ პროგრამას პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად არ განვიხილავთ. მან შეიძლება თავისი წვლილი შეიტანოს საქმეში, რომელიც ფიქრის კი არა, მნიშვნელოვანი ექსპერიმენტირებისა და ერთი წლიდან მეორეში საგნების გადატანის შედეგი უნდა იყოს. ეს ყველაფერი ბავშვისათვის ისეთი მასალის მისაწოდებლად უნდა გაკეთდეს, რომელიც დააინტერესებს, თანდათან სოციალური ცხოვრების როგორც პრინციპების, ისე ფაქტების უფრო ღრმა, ზუსტ ცოდნამდე მიიყვანს და ისტორიის შემდგომი სპეციალიზებული შესწავლისათვის მოამზადებს.

ბავშვი და კურიკულუმი

თეორიებს შორის გამოკვეთილი განსხვავებები არასოდეს არაა უსაფუძვლო და გამოგონილი. ეს პრობლემის შიგნით არსებული დაპირისპირებული ელემენტებითაა გამოწვეული. პრობლემაც სწორედ იმიტომ არსებობს, რომ მის შიგნით ელემენტები დაპირისპირებულია. ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა შეიცავს გარემოებებს, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მისი გადაჭრა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ უკვე დადგინდა შეხედულებებს თავს დავაღწევთ და გარემოებებს სხვა, ანუ ახალი კუთხით მივუდგებით. მაგრამ ეს ცვლილება გონების დაძაბვას მოითხოვს. უფრო ადვილია, მტკიცედ დაიცვა ის, რაც უკვე ნათქვამია და, შემოდავების შემთხვევაში, ამ ნათქვამის გასამყარებელი არგუმენტები მოიძიო, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებულ იდეებზე უარი თქვა და უკვე შესწავლილ ფაქტებს გაემიჯნო.

ამის საფუძველზე იქმნება სექტები – შეხედულებების სკოლები. თითოეული არჩევს გარემოებათა ჯგუფს, რომელიც მათ შეხედულებას შეესატყვისება. შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ისინი პრობლემის ფაქტორად აღიქვას, რომელიც განხილვას საჭიროებს, სრული და დამოუკიდებელი ჭეშმარიტების რანგში აჭყავს.

საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ფაქტორები მცირეწლოვანი ჩამოყალიბებელი არსებები არიან. ხოლო სოციალური მიზნები და მნიშვნელობები უფროსების გამოცდილებაში განსხეულებული ღირებულებებია. საგანმანათლებლო პროცესი კი ამ ძალების ურთიერთქმედებას შეესაბამება. მათი ურთიერთობის ისეთი გააზრება, რომელიც ყველაზე სრულ და თავისუფალ ურთიერთქმედებას უწყობს ხელს, განათლების თეორიის არსია.

მაგრამ აქ შემოდის აზროვნება. უფრო ადვილია გარემოებების ცალ-ცალკე დანახვა, ერთის ხარჯზე

მეორის სასარგებლო არგუმენტების მოყვანა, მათგან ანტაგონისტების შექმნა, ვიდრე აღმოჩენა რეალობისა, რომელსაც თითოეული მათგანი ეკუთვნის. ყველაზე ადვილია ბავშვის ბუნებაში ან დიდის განვითარებულ ცნობიერებაში რაღაც ერთი თვისების პოვნა და შემდეგ იმის მტკიცება, რომ ეს მთელი პრობლემის გადაჭრის გასაღებია. როდესაც ეს ხდება, ნამდვილად სერიოზული პრაქტიკული პრობლემა – ურთიერთქმედება – არარეალურ და, აქედან გამომდინარე, გადაუჭრელ თეორიულ პრობლემად იქცევა. იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი საგანმანათლებლო მყარ მთლიანობად აღვიქვათ, ჩვენ დაპირისპირებულ საკითხებს ვხედავთ და ვიღებთ ბავშვს, რომელიც კურიკულუმს, სასწავლო პროგრამას უპირისპირდება; ინდივიდუალურ ბუნებას, რომელიც სოციალურ კულტურას არ შეესაბამება. ეს დაპირისპირება პედაგოგიური შეხედულებების ყველა სხვა დანაყოფზე ქვევითაა განთავსებული.

ბავშვი პირადი კონტაქტების ვიწრო სამყაროში ცხოვრობს. მისი გამოცდილება ძნელად იღებს იმას, რაც მას ან მისი ოჯახისა და მეგობრების კეთილდღეობას მჭიდროდ და აშკარად არ უკავშირდება. მას უფრო პერსონალური ინტერესებით აღსავსე ადამიანური სამყარო აინტერესებს, ვიდრე ფაქტებისა და კანონების. მის სამყაროს გრძნობა და სიმპათია განაპირობებს და არა – გარე ფაქტორების შესაბამისი სინამდვილე. ამის საპირისპიროდ, სკოლების სასწავლო კურსი გვაძლევს მასალას, რომელიც დროში განუსაზღვრელად უკან გადადის, ხოლო სივრცეში ფართოვდება. ბავშვი, მისთვის ნაცნობი ფიზიკური გარემოდან, რომლის ფართობი ერთ კვადრატულ მილზე მეტი არ იქნება, ფართო სამყაროში გადაჰყავთ – დიას, და მზის სისტემაშიც კი. მისი პირადი მეხსიერებისა და ტრადიციის პაწაწინა კონას ყველა ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ფარავს.

და მაინც, ბავშვის ცხოვრება ყოვლისმომცველი და მთლიანია. ის სწრაფად გადადის ერთი თემიდან მეორეზე, ისევე როგორც, ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ ამ გადაადგილებებსა და შესვენებებს არ აცნობიერებს. აქ არ არსებობს გაცნობიერებული იზოლაცია და, ალბათ, არც განსხვავება. ყველაფერს, რითაც ის დაკავებულია, პირადი და სოციალური ინტერესები აერთიანებს. რაც მის გონებაში იმ წუთისათვის მთავარია, მისთვის მთელი სამყაროა, ის კი ცვალებადი და სხარტია. მისი არსი გასაოცარი სისწრაფით იცვლება. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ბავშვის საკუთარი სამყაროა. ის ისეთივე ერთიანი და სრულყოფილია, როგორც ბავშვის ცხოვრება, მაგრამ, როდესაც იგი სკოლაში მიდის, ამ სამყაროს სხვადასხვა საგანი ყოფს და ანაწევრებს. გეოგრაფია ფაქტების ერთ ნაწილს ერთი კონკრეტული კუთხიდან განიხილავს, განაზოგადებს და აანალი-

ზებს. არითმეტიკა კიდევ ერთი დანაყოფია, გრამატიკა – სხვა და ასე უსასრულობამდე.

სკოლაში ყველა ეს საგანი კლასიფიცირებულია. ფაქტები გამოცდილებაში თავის ორიგინალურ ადგილს მოწყვეტილი და რაღაც ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით არის გადაწყობილი. კლასიფიკაცია ბავშვის გამოცდილებას არ ეხება. საკითხები ადამიანამდე კლასიფიცირებული არ მიდის. სიახლოვის სასიცოცხლო კავშირები და საქმიანობის დამაკავშირებელი ძაფები პირად, მრავალფეროვან გამოცდილებებს აერთიანებს. ზრდასრული ადამიანების გონება იმდენად კარგად იცნობს ლოგიკურად დალაგებული ფაქტების ცნებას, რომ მას არ შეუძლია, აღიაროს – გაიგოს – დიდი რაოდენობის განცალკევებები და ხელახალი ფორმულირებები, რომლებიც პირდაპირი გამოცდილებით მიღებულმა ფაქტებმა უნდა გაიაროს, სანამ ისინი „სწავლებად“ ან სწავლების რომელიმე დარგად მოგვევლინებინ. ინტელექტისათვის აუცილებელია, რომ პრინციპი გარკვეული და განსაზღვრული იყოს. ფაქტების ინტერპრეტირება ამ პრინციპთან კავშირში უნდა მოხდეს და არა მისგან დამოუკიდებლად. ისინი ხელახლა უნდა შეგროვდეს ახალი ცენტრის გარშემო, რომელიც მთლიანად აბსტრაქტული და იდეალური უნდა იყოს. ყველაფერი ეს განსაკუთრებული ინტელექტუალური ინტერესის განვითარებას ნიშნავს. ეს კი ფაქტების მიუკერძოებლად და ობიექტურად, ანუ ადამიანის გამოცდილებაში მათი ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინებლად, დანახვას გულისხმობს. ეს ანალიზისა და სინთეზის უნარია და უკიდურესად მომწიფებული ინტელექტუალური ჩვევების, სამეცნიერო კვლევის გარკვეული ტექნიკისა და მეთოდების ფლობას მოითხოვს. სწავლებები, როგორც ისინი კლასიფიცირებულია, საუკუნოვანი მეცნიერების პროდუქტია, და არა ბავშვის გამოცდილებისა.

ბავშვსა და კურიკულუმს შორის ეს აშკარა განსხვავებები შეიძლება განუსაზღვრებლად გაფართოვდეს. მაგრამ აქ რამდენიმე საკმაოდ ფუნდამენტური შეუსაბამობა გვაქვს: პირველი – ბავშვის ვიწრო, მაგრამ პირადი სამყარო, სივრცისა და დროისგან გაუცხოებული, მაგრამ უსასრულოდ ფართო სამყაროს პირისპირ; მეორე – ბავშვის ცხოვრების სისრულე, გულწრფელობა და კურიკულუმის დანაწევრება, სპეციალიზაცია; მესამე – ლოგიკური კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აბსტრაქტული პრინციპი და ბავშვის ცხოვრების პრაქტიკულობა, ემოციურობა.

ამ კონფლიქტური ელემენტებიდან სხვადასხვა საგანმანათლებლო სექტა წარმოიშობა. ერთი სკოლა კურიკულუმის თემებისა და ბავშვის გამოცდილების მოცულობის შედარების მნიშვნელობაზე აფიქსირებს ყურადღებას. თითქოს

ისინი კითხულობენ: ცხოვრება უმნიშვნელო, ვიწრო და გაუაზრებელია? შემდეგ სწავლა უზარმაზარ, ფართო სამყაროს, მთელი მისი სისრულითა და აზრების მრავალფეროვნებით დაგვანახებს. ბავშვის ცხოვრება ეგოისტური, თავის თავზე კონცენტრირებული და იმპულსურია? შემდეგ, სწავლის პროცესში აღმოვაჩინებთ ობიექტურ სამყაროს, რომელშიც სიმართლე, კანონი და წესრიგია. ბავშვის გამოცდილება მოუწესრიგებელი, ბუნდოვანი და წუთიერი კაპრიზის ან გარემოებების გავლენის ქვეშაა? შემდეგ, სწავლის პროცესში ვეცნობით მარადიული და ზოგადი ტემპარატების საფუძველზე მოწყობილ სამყაროს, სადაც ყველაფერი გაზომილი და განსაზღვრულია. აქედან მორალი: ბავშვისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა და სპეციფიკურობა, უცნაურობები და გამოცდილება იგნორირებულია ან მინიმუმამდეა შემცირებული. ეს ის თვისებებია, რომელთაც თავი უნდა დავაღწიოთ, ბუნდოვანი გავხადოთ ან საერთოდ გავანადგუროთ. ჩვენი, როგორც განათლების წარმომადგენლების, სამუშაო ზუსტად ისაა, რომ ამ ზედაპირულ და არასერიოზულ საკითხებს სტაბილური და კარგად მოწესრიგებული რეალობები დავუპირისპიროთ. სწავლასა და გაკვეთილებში სწორედ ეს აისახება.

თითოეული თემა ქვეთემებად დაყავით, ქვეთემები – გაკვეთილებად, გაკვეთილი – სპეციფიკურ ფაქტებად და ფორმულებად. ბავშვს დაავალეთ, თითოეულ ნაწილს ნაბიჯ–ნაბიჯ დაეუფლოს და ბოლოს მას მთელი მასალა შესწავლილი ექნება. გზა, რომელიც უსასრულობაში იკარგება და ასე გრძლად გვეჩვენება, ადვილი გასავლელია, თუ მას კონკრეტული ნაბიჯების მწკრივად ჩავთვლით. ამდენად, აქცენტი საგნის ლოგიკურად დაყოფაზე და ამ დანაყოფების თანმიმდევრობით დალაგებაზე კეთდება. განათლების პრობლემად ითვლება მხოლოდ ტექსტების შერჩევა, მათი ლოგიკურად დახარისხება, ამ დანაყოფების მიმდევრობის დადგენა და შემდეგ გაკვეთილზე განსაზღვრული და დანაწილებული ფორმით მიწოდება. საგანი უზრუნველყოფს მიზანს და განსაზღვრავს მეთოდს. ბავშვი, უბრალოდ, უმწიფარი არსებაა, რომელიც მომწიფებას საჭიროებს. ის ზედაპირული არსებაა, რომელიც გაღრმავებას საჭიროებს. მას აქვს ვიწრო გამოცდილება, რომელიც უნდა გაფართოვდეს. მისი საქმე ინფორმაციის მიღება და აღქმაა. მისი წილი სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება, თუ ის დამყოლი, დამკვრი და აღქმის კარგი უნარის მქონეა.

ასე არ არის, ამბობს მეორე სექტა. საწყისი, ცენტრი და საბოლოო მიზანი თვითონ ბავშვია. იდეალი მისი ზრდა და განვითარებაა. სტანდარტებს მხოლოდ ის ქმნის. ყველანაირი სწავლა ბავშვის ზრდას უნდა ემსახურებოდეს. ის მხოლოდ საშუალებაა, რომელიც იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად ემსახურ-

რება ზრდის საჭიროებებს. პიროვნება და ხასიათი მეტია, ვიდრე საგანი. მიზანი თვითრეალიზაციაა, და არა ცოდნა და ინფორმაცია. მთელი ცოდნის დაუფლება, მაგრამ ამასობაში პიროვნულობის დაკარგვა, ისეთივე საშინელი ხვედრია განათლებაში, როგორც რელიგიაში. მეტიც, ბავშვი საგანს გარედან ვერასოდეს აითვისებს. სწავლა აქტიური საქმიანობაა. ის გონებით წვდომას, ორგანულ ასიმილაციას გულისხმობს, რაც თვითონ ბავშვისგან იწყება. უფრო ზუსტად, ბავშვით უნდა დავიწყოთ და ჩვენი საქმიანობის საწყისი წერტილი სწორედ ის უნდა იყოს. სწავლის მოცულობასაც და ხარისხსაც თვითონ ბავშვი განსაზღვრავს, და არა საგანი.

ერთადერთი მნიშვნელოვანი მეთოდი არის გონების მეთოდი, რომელიც საკითხს სწვდება და მასთან ასიმილირდება. შესასწავლი თემა მხოლოდ სულიერი საკვებია, შესაძლო მასალაა, რომელიც კვებავს. ის თავის თავს თვითონ ვერ გადახარშავს, თვითონ ვერ გადაიქცევა ძვლებად, კუნთებად და სისხლად. ზუსტად ბავშვის ცხოვრებისა და გამოცდილების დაქვემდებარება კურიკულუმისადმი არის წყარო ყველაფერი უსიცოცხლოსი, მექანიკურისა და ფორმალურის, რაც კი რამ სკოლებში არსებობს. სწორედ ამის გამოა, რომ „სწავლა“ სინონიმია ყველაფერი მოსაწყენისა და მომაბეზრებელის, ხოლო გაკვეთილი – დავალების.

ბავშვსა და კურიკულუმს შორის წინააღმდეგობის, რომელსაც თეორიის ეს ორი მხარე ქმნის, გადმოცემა სხვა ტერმინებითაც შეიძლება. „დისციპლინა“ იმათი შეძახილია, ვინც სწავლის პროცესს გადამეტებულად აფასებს; „ინტერესი“ კი იმათი, ვის ბანერზეც ემბლემად „ბავშვია“ გამოსახული. პირველი პოზიცია ლოგიკურია, ხოლო მეორე – ფსიქოლოგიური. პირველი ყურადღებას მასწავლებლის განსწავლულობაზე და გაწვრთნილობაზე ამახვილებს, ხოლო მეორე – ბავშვის ინსტინქტების ცოდნასა და მის მიმართ კეთილგანწყობაზე. ერთი სკოლის ლოზუნგია „მართვა და კონტროლი“, მეორისა კი – „თავისუფლება და ინიციატივა“. ერთი კანონს იცავს, მეორე კი – სპონტანურობას. ერთისათვის ძვირფასია ის, რაც ძველია და საუკუნეების მანძილზე ტანჯვითა და ძიძმე შრომითაა შენარჩუნებული, ხოლო მეორეს ყველაფერი ახალი, პროგრესული და ცვლილების შემცველი მოსწონს. ინერტულობისა და რუტინის, ქაოსისა და ანარქიის შესახებ საყვედურები ძალიან გავრცელებულია. ერთი მხარე აყენებს ბრალდებას, რომ მოვალეობის ხელშეუხებელი ავტორიტეტი იგნორირებულია. მეორე კი პირველს ტირანული დესპოტიზმის გზით ინდივიდუალობის დათრგუნვაში ადანაშაულებს.

ასეთი წინააღმდეგობები იშვიათად მიდის თავის ლოგიკურ დასასრულამდე. მათ, ექსტრემალური ხასიათის გამო, საღი აზრი ისხლექს. ისინი თეორეტიკოსებს

რჩება მაშინ, როდესაც სალი აბრი უშედეგოდ ცდილობს, კომპრომისი მოძებნოს და შეუთავსებელი შეათავსოს. თეორიისა და პრაქტიკული სალი აბრის დაახლოებების საჭიროებას ისევ ჩვენს პირველ თემისამდე მივყავართ: რომ საქმე გვაქვს სიტუაციებთან, რომლებიც განათლების პროცესში აუცილებლად უკავშირდება ერთმანეთს და სწორედ ესაა ურთიერთქმედება და ურთიერთშეთანხმება.

მაშ, სადაა პრობლემა? იმ მაგნე მოსაზრებისაგან თავის დაღწევაში, რომ არსებობს ხარისხობრივი ნაპრაღი ბავშვის გამოცდილებასა და საგნის (subject matter) სხვადასხვა ფორმას შორის, რომელიც სწავლების კურსს ქმნის. საჭიროა, ბავშვმა დაინახოს, რომ მისი გამოცდილება უკვე შეიცავს იმ ელემენტებს – ფაქტებსა და სიმართლეს – რომლებიც ჩამოყალიბებულ სწავლებაში შემოდის. რა უფრო მნიშვნელოვანია და რამდენად მოიცავს მიდგომებს, მოტივებსა და ინტერესებს, რომლებიც საგნის განვითარებასა და ორგანიზებაზე, მის დღევანდელ დონემდე მისაყვანად ზემოქმედებდა. ხოლო სწავლებამ საჭიროა, ისინი ბავშვის ცხოვრებაში მოქმედი ძალებიდან აღმოცენებულად აღიქვას და ის საფეხურები დაადგინოს, რომლებიც ბავშვის დღევანდელ გამოცდილებასა და მის უფრო მდიდარ მოწიფულობას შორისაა.

თემის ცნება, როგორც უკვე დადგენილი და მზა, ბავშვის გამოცდილების გარეთ დავტოვოთ. აღარ ვიფიქროთ ბავშვის გამოცდილებაზე, როგორც რაღაც მძიმესა და სწრაფზე ერთდროულად; შევხედოთ მას, როგორც რაღაც სხარტს, ჩანასახოვანსა და სასიცოცხლოს; და მივხვდებით, რომ ბავშვი და კურიკულუმი, უბრალოდ, ორი საზღვარია, რომელიც ერთ პროცესს შემოფარგლავს. ბავშვის დღევანდელი მდგომარეობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, სწავლების ფაქტები და ჭეშმარიტებები, სწავლებას განსაზღვრავენ ზუსტად ისე, როგორც ორი წერტილი სწორი ხაზის ერთ მონაკვეთს. ეს არის მუდმივი მოძრაობა ბავშვის დღევანდელი გამოცდილებიდან ჭეშმარიტებების ორგანიზებული მოცულობებისკენ, რასაც ჩვენ სწავლას ვუწოდებთ.

ერთი შეხედვით, სხვადასხვა საგანი – არითმეტიკა, გეოგრაფია, ენა, ბოტანიკა და ა.შ., – თვითონაა გამოცდილებები. ისინი ადამიანთა მოდგმის თაობიდან თაობაზე გადასული ძალისხმევის, მისწრაფებებისა და წარმატებების აკუმულირებული შედეგის განსხეულებაა. ისინი არა უბრალო აკუმულაცია, გამოცდილების ცალკეული ნაწილების უბრალო გროვება, არამედ ორგანიზებული და სისტემატური, ანუ რეფლექსიურად ფორმულირებული.

აქედან გამომდინარე, ფაქტები და სინამდვილე, რომლებიც ბავშვის ახლანდელ გამოცდილებაში შედის და ისინი, რომლებსაც სწავლების თემები შეიცავს, ერთი რეალობის თავი და ბოლოა. მათი დაპირისპირება ერთი სიცოცხლის ჩვი-

ლობისა და მოწიფულობის პერიოდების ანტაგონიზმს ნიშნავს; ეს იგივეა, რომ მოძრაობის ტენდენცია პროცესის საბოლოო შედეგს დავეუპირისპიროთ; და რომ ბავშვის ბუნება და მისი ხვედრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღვიქვათ.

თუ საქმე ასეა, ბავშვსა და კურიკულუმს შორის ურთიერთობის პრობლემა ამ სახით წარმოჩნდება: განათლების თვალსაზრისით, რა სარგებლობა მოაქვს დასაწყისში მიზნის განჭვრეტის შესაძლებლობას? როგორ დაგვეხმარება ზრდის გვიანი სტადიების წარმოდგენის შესაძლებლობა ზრდის ადრეული სტადიების განხილვაში? როგორც შევთანხმდით, სწავლა განვითარების შესაძლებლობაა, რომელიც ბავშვის უშუალო და ჩამოყალიბებელ გამოცდილებაში იმთავითვეა ჩადებული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ის ხომ უშუალოდ დღევანდელი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი არ არის და მას ვერ გავითვალისწინებთ.

ამ კითხვაში პასუხიც იგულისხმება. შედეგის დანახვა იმის ცოდნაა, თუ რა მიმართულებით მოძრაობს დღევანდელი გამოცდილება, ეს კი მის სწორად და ჯანმრთელად მოძრაობას უწყობს ხელს. შორეული საკითხი, რომელიც, მისი სიშორის გამო, ჩვენთვის უმნიშვნელოა, უზარმაზარ დატვირთვას იძენს, როგორც კი მას დღევანდელი მოძრაობის მიმართულების განმსაზღვრელად განვიხილავთ. მაშინ ის შორეული მიზანი კი აღარ არის, არამედ დღევანდელობასთან ურთიერთობის წარმართველი მეთოდია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოზრდილის გონების სისტემატიზებული და ჩამოყალიბებული გამოცდილება ჩვენთვის ღირებულია იმიტომ, რომ ის ბავშვის დღევანდელი ცხოვრების ინტერპრეტებაში, წარმართვასა და მისთვის მიმართულების მიცემაში გვეხმარება.

მოდით, ერთი წუთით შევხედოთ ამ ორ იდეას: ინტერპრეტაციასა და წარმართვას. ბავშვის დღევანდელი გამოცდილება არ არის ის, რასაც ახსნა არ სჭირდება. ის საბოლოო კი არა, გარდამავალია. მასში არაფერია სრული; ყველაფერი გარკვეული ზრდის ტენდენციების ნიშანი ან ინდექსია. სანამ ჩვენი მზერა მხოლოდ იმისკენ იქნება მიპყრობილი, რასაც ბავშვი აქ და ახლა გვთავაზობს, დაბნეულები და შემცდარნი აღმოვჩნდებით. მის მნიშვნელობას ვერ ვიგებთ. ბავშვის მორალური და ინტელექტუალური შესაძლებლობების არასათანადოდ შეფასებისა და მისი სენტიმენტალური იდეალიზაციის ფესვები გავრცელებულ შეცდომაშია, რაც ზრდის სტადიების უკვე დადგენილად და დაფიქსირებულად მიჩნევიდან გამომდინარეობს. პირველი ვერ ხედავს გრძნობებსა და ქმედებებში არსებულ პერსპექტივებს, რომლებიც, ცალკე აღებული, უკომპრომისო და თავის თავზე კონცენტრირებულია; მეორისათვის შეუმჩნეველი რჩება, რომ უკიდურესად სასიამოვნო და ლამაზი გამოვლინებებიც კი მხოლოდ რაღაცის ნიშნებია და დაკნინებასა და დაშლას იწყებენ, როგორც კი მათ მიღწევებად ჩავთვლით.

ჩვენ გვჭირდება ის, რაც საშუალებას მოგვცემს, ბავშვის დღევანდელი მცდელობებისა და წარუმატებლობების ელემენტები, ძალისა და სისუსტის გამოძახებები ავხსნათ და უფრო დიდი ზრდის პროცესის ფონზე შევაფასოთ, სადაც მათი ადგილია. მხოლოდ ასე შევძლებთ დახარისხებას. თუ ჩვენ ბავშვის დღევანდელ მიზნებსა და გამოცდილებებს მათი კუთვნილი ადგილისგან და იმ როლისაგან, რომელიც მათ განვითარებად გამოცდილებაში უნდა შეასრულონ, განცალკევებულად განვიხილავთ, ყველაფერი იმავე დონეზე დარჩება. ყველაფერი, რაც ერთნაირია, შეიძლება ან ერთნაირად კარგი, ან ერთნაირად ცუდი იყოს. მაგრამ ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა ელემენტი ღირებულების სხვადასხვა დონეზე ადგილს მყარად იკავებს. ბავშვის ზოგიერთი ქმედება საზიანო ტენდენციის სიმპტომებს ატარებს. ის იმ ელემენტების ფუნქციონირების გადარჩენაა, რომლებმაც თავისი საქმე უკვე გააკეთეს და ახლა ცხოვრებაში ფუნქციას თანდათან კარგავენ. ასეთი თვისებებისათვის ყურადღების მიქცევა განვითარების დაბალ დონეზე შეჩერების ტოლფასია. ეს ზრდის საწყისი სტადიის მუდმივად შენარჩუნებას ნიშნავს. სხვა აქტივობები კულმინაციური უნარებისა და ინტერესების ნიშნებია, რომლებიც უნდა გამოიჭედოს, სანამ რკინა ცხელია. სწორედ ამაზე ამბობენ: ან ახლა, ან არასდროს. თუ კარგად შევარჩევთ, გამოვიყენებთ და მათზე ყურადღებას გავამახვილებთ, მათ ბავშვის კარიერის გაუმჯობესების ფუნქციის შესრულება შეუძლია. ხოლო თუ უგულვებელყოფთ, შესაფერის მომენტს ხელიდან გავუშვებთ და ის არასოდეს დაბრუნდება. სხვა ქმედებები და გრძნობები წინასწარმეტყველურია; ისინი იმ მბჟუტავი სინათლის დანახვას ნიშნავს, რომელიც მხოლოდ შორეულ მომავალში განათდება. რაც შეეხება ამ ქმედებებსა და გრძნობებს, მათთან დაკავშირებით ერთადერთის გაკეთება შეგვიძლია: მივცეთ სამართლიანი და სრული შანსი და მათი მიმართულების განსაზღვრისათვის მომავალს დაველოდოთ.

„ძველი განათლების“ სისუსტე, ბავშვის უმწიფრობასა და მოზრდილის სიმწიფეს შორის უსამართლო შედარებასა და პირველისადმი, როგორც სწრაფად გასავლელი პერიოდისადმი, დამოკიდებულება იყო. ზუსტად ასეთივე საფრთხე არსებობს „ახალ განათლებაში“, როდესაც ის ბავშვის დღევანდელ შესაძლებლობებსა და ინტერესებს თავისთავად მნიშვნელოვნად აღიქვამს. სინამდვილეში ბავშვის ცოდნა და მიღწევები ცვალებადია. ისინი შეიძლება ყოველ დღე და ყოველ საათში შეიცვალოს.

საზიანო იქნება, თუ ბავშვის შესახებ სწავლება ადამიანებს შთაბეჭდილებას შეუქმნის, რომ მოცემული ასაკის ბავშვი ისეთი მიზნებითა და ინტერესებითაა აღჭურვილი, რომელთა პირდაპირ კულტივირება შეიძლება. სინამდვილეში,

ინტერესები სხვა არაფერია, თუ არა შესაძლებელი გამოცდილებებისადმი დამოკიდებულებები. მათი ღირებულება იმაშია, რომ ისინი მიზნის მიღწევის საშუალებებია, და არა იმაში, რომ საბოლოო შედეგს გვთავაზობს. მოცემული ასაკისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი მოვლენის განხილვა, როგორც თავისთავად გასაგების ან თვითკმარის, საბოლოოდ ცუდ შედეგს მოიტანს. ბავშვის თუ მოზრდილის ნებისმიერი უნარი წაქეზებული იქნება, თუ მას ავიღებთ ისე, როგორც ის დღევანდელი ასაკისათვის დამახასიათებელ ცნობიერებაშია. მისი ნამდვილი მნიშვნელობა კი ისაა, რომ ის უფრო მაღალ დონეზე გადასვლას უწყობს ხელს. ის უბრალოდ რაღაცის კეთების საშუალებაა. ინტერესის მხოლოდ იმ დონეზე განხილვა, რომელზეც ის დღესაა, უსაფუძვლო გაღიზიანებას იწვევს, ოღონდ გარკვეული მიღწევისკენ მიმართვის გარეშე. ქმედებების მუდმივი ინიცირება, მოლოდინი, რომ რაღაც დაიწყება, მაგრამ არ იწყება, ყველანაირი პრაქტიკული მიზნებისათვის ისევე ცუდია, როგორც უფრო სრულყოფილი აზრისა და სურვილის, სავარაუდო ინტერესების საბაბით, ინიციატივის დათრგუნვა. ეს იგივეა, რომ ბავშვი მუდმივად სინჯავდეს საჭმელს, მაგრამ არასოდეს ჭამდეს. მუდმივად იღიზიანებდეს გემოს შეგრძნებას, მაგრამ ვერასოდეს მიიღოს ორგანული დაკმაყოფილება, რაც მხოლოდ საკვების მონელებასა და მის ფიზიკურ ენერჯიად გარდაქმნას მოაქვს.

ამ შეხედულების საპირისპიროდ, მეცნიერება, ისტორია და ხელოვნება ჩვენთვის ბავშვის რეალური სახის დანახვებას ემსახურება. ჩვენ არაფერი ვიცით არც მისი ტენდენციების მნიშვნელობის და არც მათი განხორციელების შესახებ. ჩვენ მათ, როგორც ნაყოფიერ თესლს ან გახსნილ კვირტს, ისე ვუყურებთ, რომლისგანაც რაღაც ხილი უნდა იშვას. ის, რასაც ბუნებაში თვალნათლივ ვხედავთ, სულაც არ არის საკმარისი, რომ ბავშვის სინათლისა და ფორმის ინსტინქტის პრობლემა ახსნას. მთელი ფიზიკის მეცნიერება არ იქნებოდა საკმარისი, რომ ჩვენ ადეკვატურად გავგაგებინოს, რას გულისხმობს ბავშვი, როდესაც ითხოვს უნებლიე ცვლილების განმარტებას, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო. რაფაელისა და კოროს ხელოვნება არ იქნება საკმარისი, რომ შევაფასოთ ბავშვის იმპულსები, როდესაც ის ხატავს ან ფურცელზე ჩხაპნის.

საკმარისია საგნის ინტერპრეტირებისათვის გამოყენებაზე საუბარი. მისთვის მიმართულების მიცემისა და მართვისათვის შემდგომი გამოყენება სხვა არაფერია, თუ არა იმავე აზრის გავრცელება. ფაქტის ინტერპრეტირება მის სასიცოცხლო გარემოში, ზრდასთან კავშირში დანახვას ნიშნავს. მაგრამ ზრდის ფაქტორის ნაწილად მისი აღქმა მართვისათვის საფუძვლის უზრუნველყოფაა. მართვა არ არის გარედან რაღაცის თავს მოხვევა. ის სასიცოცხლო პროცესის, მისი ადეკვა-

ტურად განხორციელებისათვის განთავისუფლებაა. ოდნავ შეცვლილი ფორმით აქ შეგვიძლია გავიმეოროთ ის, რაც უკვე ითქვა: ბავშვის გამოცდილება გასათვალისწინებელი არ არის, რადგან ის ძალიან შორსაა მოზრდილის გამოცდილებისაგან და მისი მიამიტი კაპრიზებისა და მოქმედების იდეალიზება ხდება. არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვის იძულების ან მის სრულიად მარტო დატოვების ალტერნატივას ვერ ხედავენ. ამის გამო ზოგი ერთ მეთოდს არჩევს, ზოგი კი – მეორეს. ერთნიც და მეორენიც ერთსა და იმავე ფუნდამენტურ შეცდომას უშვებენ. ისინი ვერ ხედავენ, რომ განვითარება გარკვეული პროცესია, რომელსაც თავისი საკუთარი კანონები აქვს და მათი შესრულება მხოლოდ ადეკვატური და ნორმალური პირობების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. დათვლის, გაზომვის, საგნების რითმულ მწკრივში მოქცევის დღევანდელი ჩამოუყალიბებელი იმპულსების გაგება ბავშვისგან მათემატიკურ ცოდნას მოითხოვს – მათემატიკური ფორმულების ცოდნა და მათი ურთიერთმიმართება კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სწორედ ასეთი ნედლი და ჩამოუყალიბებელი ფესვებიდან აღმოცენდა. განვითარების ამ ორ ცნებას შორის მოქცეული, მთელი ისტორია შეგვიძლია დავინახოთ ბავშვის ნაბიჯში, რომელიც მან აქ და ახლა უნდა გადადგას; და იმაში, თუ რა საჭიროებისათვის უნდა გამოიყენოს თავისი ბრმა იმპულსი, რათა ის მკაფიო გახდეს და ძალა შეიძინოს.

და კიდევ ერთხელ, თუ „ძველ განათლებას“ ჰქონდა ტენდენცია, ყურადღება არ მიექცია ბავშვის გამოცდილებაში მემკვიდრეობით გადმოსული დინამიკური თვისებისა და მისი განვითარების შესაძლებლობებისათვის და, აქედან გამომდინარე, დაეშვა, რომ მიმართულების მისაცემად და კონტროლის განსახორციელებლად ბავშვის უბრალოდ მოცემულ გზაზე დაყენება და შემდეგ ამ გზით სიარულის იძულება საკმარისია. „ახალი განათლება“ კი დგას საშიშროების წინაშე, რომ განვითარების იდეა ფორმალურად და შინაარსისაგან დაცლილად განიხილოს. ბავშვისგან ელიან, რომ ის ამა თუ იმ ფაქტს ან სინამდვილეს მხოლოდ თავისი გონების მეშვეობით „განავითარებს“. მას ეუბნებიან, რომ საგნები თვითონ გაიაზროს და გადაწყვეტილებებიც თვითონ, გარეშო პირობების დახმარების გარეშე მიიღოს მაშინ, როდესაც ისინი გააზრების დაწყებისა და წარმართვისათვის სრულიად აუცილებელია. არაფრისგან ვერაფერი განვითარდება, უმწიფარისგან კი – მხოლოდ უმწიფარი; და სწორედ ეს ხდება, როდესაც ბავშვს, როგორც ჩამოყალიბებულ პიროვნებას აღვიქვამთ და ვთავაზობთ, ბუნების ახალი ტექნიკები და მათი საშუალებით მართვის უნარი აითვისოს. ბავშვისაგან იმის მოლოდინი, რომ თავისი გონებით სამყაროს ევოლუციას შეძლებს, ისევე არასერიოზულია, როგორც იმავე ამოცანის გადაჭრის მცდელობა ფილო-

სოფლის მიერ. განვითარება არ არის ის, რისი უბრალოდ გონებით გაკეთებაც შეიძლება. გამოცდილების გამოცდილებით განვითარებაა საჭირო. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ არ შეიქმნა საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ფუნქციონირებისათვის ღირებულ უნარებსა და ინტერესებს განავითარებს. მათ უნდა იმოქმედონ, ხოლო როგორ იმოქმედებენ, თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სტიმულებზე, რომლებიც მათ გარშემოა და მასალაზე, რომელზედაც ისინი მუშაობენ. აქედან გამომდინარე, მიმართულების პრობლემა ინსტინქტებისა და იმპულსებისთვის შესაფერისი სტიმულის შერჩევაა, რომლის გამოყენება ახალი გამოცდილების შექმნისთვისაა სასურველი. როგორი ახალი გამოცდილების შექმნაა პრიორიტეტი და, აქედან გამომდინარე, რა იმპულსებია საჭირო – ამის თქმა შეუძლებელია, თუ არ გავიაზრებთ, განვითარების რა ფორმას ვისახავთ მიზნად; ან თუ მოზრდილის ცოდნას იმისათვის არ გამოვიყენებთ, რომ ბავშვს თავისი მომავალი სავარაუდო კარიერის შესაძლებლობები დავანახოთ.

შეიძლება სასარგებლო იყოს ერთმანეთისაგან გავარჩიოთ და შემდეგ ერთმანეთს დავუკავშიროთ გამოცდილების ლოგიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები. ორივე საგანს განიხილავს, ოღონდ ერთი – როგორც პრიორიტეტს, ხოლო მეორე – ბავშვთან კავშირში. გამოცდილების ფსიქოლოგიური განსაზღვრება მის ფაქტობრივ ზრდას მიჰყვება და ისტორიულია. ის აღნიშნავს პრაქტიკულად გადადგმულ ნაბიჯებს, არაერთმნიშვნელოვანი და არაპირდაპირია, მაგრამ, იმავე დროს, ეფექტიანი და წარმატებულია.

მეორე მხრივ, ლოგიკური შეხედულება უშვებს, რომ განვითარებამ განხორციელების გარკვეულ სტადიას უკვე მიაღწია. ის უარყოფს პროცესს და განიხილავს მხოლოდ შედეგს. აჯამებს, აწესრიგებს და, აქედან გამომდინარე, მიღწეულ შედეგებს იმ ნაბიჯებისაგან აცალკევებს, რომელთა საშუალებითაც ეს შედეგები პირველ შემთხვევაში მიიღწეოდა. ლოგიკურსა და ფსიქოლოგიურს შორის განსხვავება შეგვიძლია შევადაროთ მკვლევარის ჩანაწერებს, რომლებსაც ის ახალ ქვეყანაში მოგზაურობის დროს აკეთებს, და რუკას შორის განსხვავებას. პირველი ბილიკებს ფარნით ანათებდა და უცხო მხარეში საუკეთესო გზებს ეძებდა, ხოლო მეორე შედგენილია მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა უკვე გამოკვლეულია. ისინი ერთმანეთზეა დამოკიდებული. მეტ-ნაკლებად შემთხვევითი და დაკლაკნილი ბილიკების გარეშე, რომლებსაც მკვლევარი მიუყვებოდა, არ იქნებოდა ფაქტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდა შესაბამისი რუკის შექმნა. მაგრამ ერთი მკვლევარის მოგზაურობა უსარგებლო იქნებოდა, თუ მის ჩანაწერებს სხვა მკვლევარების მოგზაურობებს არ შეადარებდნენ და შეამოწმებდნენ; თუ ახალი გეოგრაფიული ფაქტების აღმოჩენას, მდინარეების გადაკ-

ვეთას, მწვერვალების დალაშქვრას და ა.შ. უკვე ცნობილ ფაქტებთან კავშირში კი არ განიხილავდნენ, არამედ, როგორც უბრალო შემთხვევებს ერთი რომელიმე მკვლევრის მოგზაურობიდან. რუკის შექმნა ინდივიდუალურ გამოცდილებებს აწესრიგებს და ერთმანეთთან აკავშირებს. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს აღმოჩენის ლოკალურ, მიმდინარე პირობებსა და შემთხვევებს.

როგორ გამოიყენება გამოცდილების ფორმულირება? როგორ გამოიყენება რუკა?

იქნებ ჯერ ვთქვათ, რა არ არის რუკა. რუკა არ არის პირადი გამოცდილების შემცვლელი. რუკა ნამდვილ მოგზაურობას ვერ შეცვლის. მეცნიერების ან სწავლების რომელიმე მიმართულების ლოგიკურად ჩამოყალიბებული მასალა ვერ შეცვლის პირად გამოცდილებას. ვარდნაში მყოფი საგნის მათემატიკური ფორმულა ასეთ საგანთან უშუალო კონტაქტისა და პირადი გამოცდილების ადგილს ვერ დაიკავებს. მაგრამ რუკა, რომელიც ადრინდელი გამოცდილების მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული შეჯამებაა, იმავე დროს მომავალი გამოცდილებების გზამკვლევიცაა. ის მიმართულებას გვაძლევს, კონტროლს ადვილებს. ის ძალისხმევას ზოგავს, გვარიდებს უსარგებლო ხეტიალს და სასურველ შედეგამდე მისასვლელ საუკეთესო და უსწრაფეს გზებს გვიჩვენებს. რუკის საშუალებით, ყოველი ახალი მოგზაური, ზედმეტი, უსარგებლო ხეტიალის ნაცვლად, თავისი მოგზაურობისათვის ადრინდელი მოგზაურების შედეგებს იყენებს და ამით დროსა და ენერგიას ზოგავს. ის, რასაც ჩვენ მეცნიერებას ან სწავლებას ვუწოდებთ, წარსულ გამოცდილებას აძლევს ფორმას, რომელიც მომავლისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება. ის წარმოგვიდგენს კაპიტალიზაციას, რომლის ინტერესად გადაქცევა დაუყოვნებლივ შეიძლება. გონებრივ მუშაობას ყველანაირად ზოგავს. მეხსიერება ნაკლებად იტვირთება, რადგან ფაქტები რაღაც კონკრეტული პრინციპის გარშემო ჯგუფდება. მათი დანახვა და დაკვირვება გაადვილებულია. ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უნდა ვეძებოთ და სად. რა თქმა უნდა, უფრო ადვილია საჭირო ფურცლის მოძებნა კარგად მოწესრიგებულ წიგნების კარადაში, ვიდრე თივის ბვინში ნემსისა. მსჯელობას მიმართულება ეძლევა, რადგან არსებობს განსაზღვრული ხაზი, რომლის გასწვრივ ყველა იდეა ბუნებრივად ლაგდება და ერთი შემთხვევითი კავშირიდან მეორეზე არ გადადის.

გამოცდილების გადაცემა დასრულებული პროცესი არაა. მისი ღირებულება თვითონ მასში არ არის, მისი მნიშვნელოვნება შეხედულებაში, პოზიციასა და მეტოდშია. მისი ადგილი წარსულის უფრო ყოველდღიურ, ფრთხილ, არაპირდაპირ გამოცდილებასა და მომავლის უფრო გაკონტროლებულ, მოწესრიგებულ გამოცდილებას შორისაა. წარსულის გამოცდილებას ის ისეთი ქსელის ფორმას

აძლევს, რომელიც მას უკიდურესად გამოსადევს, მნიშვნელოვანსა და ნაყოფიერს ხდის. აბსტრაჰირებებს, განზოგადებებსა და კლასიფიკაციებს, რომლებიც მას შემოაქვს, პერსპექტივაზე გათვლილი მნიშვნელობა აქვს.

ამის გამო, მიღებული შედეგი ზრდის პროცესს არ უნდა დავუპირისპიროთ. ლოგიკური ფსიქოლოგიურის საპირისპიროდ არ უნდა განვიხილოთ. ზედმიწევნით შესწავლილი და მოწესრიგებული შედეგი ზრდის პროცესში კრიტიკულ პოზიციას იკავებს. ის შემობრუნების წერტილს აღნიშნავს და გვიჩვენებს, თუ როგორ ვისარგებლოთ წარსული ძალისხმევით მომავალი მისწრაფებებისათვის. ლოგიკური შეხედულება, ფართო გაგებით, თვითონაა ფსიქოლოგიური. მას, როგორც გამოცდილების განვითარების ერთ-ერთ შემადგენელს, აქვს მნიშვნელობა და მისი გამართლება ისაა, რომ მომავალი ზრდისათვის ფუნქციონირებს, რომელსაც თვითონვე უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, საჭიროა, სასწავლო თემები და სასწავლო დარგები იმ გამოცდილებაში აღვადგინოთ, რომლიდანაც უკვე ამოღებულია. ისინი ფსიქოლოგიზებას საჭიროებს. აუცილებელია, მათი იმ უშუალო და პიროვნულ გამოცდილებად გადაქცევა და გადათარგმნა, რომელშიც მისი საწყისი და მნიშვნელობა დევს.

ამგვარად, ნებისმიერ სწავლასა და საგანს ორი ასპექტი აქვს: ერთი – მეცნიერისათვის და მეორე – მასწავლებლისათვის. ეს ორი ასპექტი ერთმანეთთან არც დაპირისპირებულია და არც კონფლიქტშია, მაგრამ იდენტურიც არ არის. მეცნიერისათვის საგანი (თემა) სიმართლის გარკვეული მოცულობაა, რომელსაც ის ახალი პრობლემის დადგენისათვის, ახალი კვლევების დაწყებისა და მათ გარკვეულ შედეგამდე მიყვანისათვის იყენებს. მისთვის სამეცნიერო თემა თავისთავად არსებულია. ის მის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთს უფარდებს, ახალ ფაქტებს უკავშირებს. მას, როგორც მეცნიერს, ამ თემის საზღვრებს გარეთ „მოგზაურობა“ არ სჭირდება, და თუ ამას მაინც აკეთებს, მხოლოდ იმავე თემისთან დაკავშირებული ფაქტების მოსაძიებლად. მასწავლებლის პრობლემა სხვაგვარია. მას მეცნიერებისათვის, რომელსაც ის ასწავლის, ახალი ფაქტების დამატება, ახალი ჰიპოთეზების განხილვა და მათი დამტკიცება არ უწევს. ის მეცნიერებას, როგორც გამოცდილების განვითარების მოცემულ სტადიასა თუ ფაზას, ისე ეხება. მისი ამოცანაა სასიცოცხლო და პირადი გამოცდილების წახალისება. აქედან გამომდინარე, მას, როგორც მასწავლებელს, აინტერესებს, საგანი გამოცდილების ნაწილი გახადოს; ეძებს, რა შეუძლია ამისათვის გამოიყენოს ბავშვის ბუნებაში; როგორ უნდა გამოიყენოს ის, რასაც მიაგნებს; როგორ შეუწყობს ხელს ბავშვის საჭიროებებსა და ქმედებებს მისი საგნის ცოდნა; რა უნდა

გააკეთოს, რომ ბავშვის ზრდის პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვისათვის შესაფერისი გარემო განსაზღვროს. ის დაინტერესებულია საგნით, არა როგორც ასეთით, არამედ საგნით, როგორც ტოტალურ და მზარდ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტორით. ამდენად, ყველაფერი ამის დანახვა უკვე ფსიქოლოგიებას ნიშნავს.

შეცდომა იქნება, თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება თემის ორმაგი ასპექტი, რომელიც ბავშვსა და კურიკულუმს ერთმანეთთან დააპირისპირებს. ეს ამ ნაშრომის დასაწყისში უკვე განვიხილეთ. თემას, როგორც მას მეცნიერი განიხილავს, ბავშვის დღევანდელ გამოცდილებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. ის მის გარეთაა.

საფრთხე აქ მხოლოდ თეორიული ხასიათის არ არის, ის ყველა მხრიდან გვემუქრება. სახელმძღვანელო და მასწავლებელი ერთმანეთს ეჯიბრება ბავშვისათვის საგნის ისეთი ფორმით მიწოდებაში, როგორითაც ამას სპეციალისტი მოითხოვს. ცვლილებები და მოდიფიკაცია, რომლებსაც იგი გამარტივების საბაბით განიცდის, სამეცნიერო სირთულეებისათვის თავის არიდებასა და ზოგადი ინტელექტუალური დონის დაწევას იწვევს. მასალას პირდაპირ ბავშვის ცხოვრების ჩანაცვლებად ან მისი დღევანდელი ცხოვრების გარეგნულ დამატებად გთავაზობენ, თუმცა ეს მასალა ცხოვრებისეულ ტერმინებად არ გარდაუქმნიათ.

ამას სამი ტიპური მავნე შედეგი მოჰყვება: პირველ რიგში, ორგანული კავშირის ნაკლებობა იმასთან, რაც ბავშვს აქამდე უნახავს, უგრძვნია და ჰყვარება, მასალას წმინდად ფორმალურსა და სიმბოლურს ხდის. რაღაც გაგებით, ფორმალურისა და სიმბოლურის მაღალი შეფასება შეუძლებელია. ნამდვილი ფორმა, რეალური სიმბოლო, სიმართლის აღმოჩენისა და დაუფლების მეთოდია, ინსტრუმენტებია, რომლებითაც ადამიანი ცხოვრების გამოუკვლეველ სფეროებში უფრო მომზადებული შედის; საშუალებებია, რომელთა მეშვეობით ის უკვე წარმოებულ კვლევებში მიღწეულ წარმატებებს იყენებს. მაგრამ ეს მაშინ ხდება, როდესაც სიმბოლო ნამდვილ სიმბოლიზებას ახდენს – როდესაც ამყარებს და მოკლედ აჯამებს პიროვნების უკვე განვლილ რეალურ გამოცდილებას. სიმბოლოს, რომელიც გარე ფაქტორებითაა გამოწვეული და რომელიც წინა აქტივობებით შემზადებული არ არის – შიშველს ან უბრალო სიმბოლოს ვუწოდებთ. ის მკვდარი და დამარხულია. ნებისმიერი ფაქტი, არითმეტიკიდან იქნება ის, გეოგრაფიიდან თუ გრამატიკიდან, თუ წინასწარ მომზადებული არ არის და არ გამომდინარეობს რაღაცადან, რასაც ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, შიშველი სიმბოლოა, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. ის რეალობა არ არის, ის რეალობის მხოლოდ ნიშანია, რომელიც შეიძლება გამოცდილ იქნას,

თუ ამისათვის გარკვეული პირობები იქნება. მაგრამ ფაქტის, როგორც სხვებისათვის უკვე ცნობილის, ბავშვებისათვის მოკლედ მიწოდება და მათგან მისი შესწავლის მოთხოვნა, ამ პირობების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ასეთი მიდგომა ფაქტს იეროგლიფად აქცევს: მას იქნებ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს კიდევ, მისი გასაღები რომ არსებობდეს, მაგრამ მისი არარსებობის გამო, უსარგებლო ცნობისმოყვარეობად რჩება. ის გონებას არყევს, ბლოკავს და მკვდარ ტვირთად აწვება.

გარეგნული წარმოდგენისათვის დამახასიათებელი მეორე ნაკლი მოტივაციის არქონაა. ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ არ არსებობს ფაქტები და სინამდვილე, რომლებიც წინასწარაა აღქმული, როგორც რაღაც, რითაც სიახლე უნდა გაითავისო და მისი ასიმილირება მოახდინო, არამედ იმასაც, რომ ამის არც დიდი სურვილი, საჭიროება და მოთხოვნა არსებობს. როდესაც თემა უკვე ფსიქოლოგიზებულია, ე. ი. აღქმულია, როგორც დღევანდელ ტენდენციებსა და ქმედებებზე აღმოცენებული, განსახილველი საკითხის დაუფლების შემთხვევაში, დღევანდელი ინტელექტუალური, პრაქტიკული და ეთიკური წინააღმდეგობების დადგენა და ადეკვატურად გაკონტროლება უფრო ადვილია; ეს კი მისი სწავლის მოტივს აჩენს. როდესაც მიზანი თვითონ ბავშვის მიერაა დასახული, ის ამ მიზნის მიღწევის საშუალებებსაც ეუფლება. მაგრამ როდესაც ბავშვს მასალას პირდაპირ გაკვეთილის ფორმით ვაწვდით და ვთხოვთ, რომ ის, როგორც გაკვეთილი, ისწავლოს, საჭიროებასა და მიზანს შორის კავშირის არარსებობა თვალშისაცემი ხდება. მოტივაციის ნაკლებობის შედეგია ის, რასაც ჩვენ სწავლებაში მექანიკურსა და მკვდარს ვუწოდებთ. ორგანული და ცოცხალი კი ურთიერთქმედებას – გონებრივ მოთხოვნასა და ამ მოთხოვნისათვის მატერიალური მასალის მიწოდებას – გულისხმობს.

მესამე ნაკლი ისაა, რომ საკითხი, თუნდაც მეცნიერული და ლოგიკურად ჩამოყალიბებული, მაგრამ ბავშვისათვის ზედაპირული და მზა ფორმით მიწოდებული, ამ თვისებებს კარგავს. ბავშვისათვის ძნელად გასაგები ნაწილების ამოღებისა და სირთულეების შესამცირებლად, მასალამ გარკვეული ცვლილებები უნდა გაიაროს. რა ხდება ამ დროს? ის საკითხები, რომლებიც მეცნიერისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და, კვლევისა და კლასიფიკაციის ლოგიკის თვალსაზრისით, ღირებულია, ამოვადებული აღმოჩნდება. ამიტომ თემის ყველა ის ნაწილი, რომელიც ამროვნების გააქტიურებას იწვევს, ბუნდოვანი ხდება და მისი მაორგანიზებელი ფუნქცია იკარგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვის მსკელობის, აბსტრაჰირებისა და განზოგადების უნარი შესაბამისად არ ვითარდება. ამდენად, თემა თავის ლოგიკურ ღირებულებას კარგავს და, თუმცა ის ძირი-

თადად ამ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, მას „მეხსიერების“ მომარაგების ფუნქციაღა რჩება. წინააღმდეგობა ასეთია: ვერც ცალკე მოზრდილების ლოგიკურ ფორმულირებებზე და ვერც აღქმისა და რეაგირების საკუთარ უნარებზე დაყრდნობით, ბავშვი წინსვლას ვერ მიაღწევს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ბავშვის ლოგიკას ვთრგუნავთ.

თითქმის ბედნიერება იქნება, თუ ის არ შეითვისებს ნამდვილად არამეცნიერულ, ზედაპირულ და ბანალურ ნარჩენებს იმისას, რაც ერთი-ორი საუკუნის წინ მეცნიერებაში მიღებული იყო – რემინისცენციებს, რაც ვილაცამ, კიდეც უფრო ადრე მცხოვრები ვილაცის გამოცდილებებზე დაყრდნობით, ოდესღაც ჩამოაყალიბა.

ნაკლოვანებების რიგი არ მთავრდება. დაპირისპირებული ცრუ თეორიებისათვის ხელიხელჩაკიდებული მოქმედება ჩვეულებრივი ამბავია. ფსიქოლოგიური მოსაზრებების მხოლოდ დისკრედიტირება ან სადღაც კუთხეში მიყრა შეიძლება, მაგრამ მათი საერთოდ უგულებელყოფა შეუძლებელია; კარიდან გაყრილნი, ისინი ფანჯრიდან შემოვლენ. მოტივი, როგორღაც და სადღაც, აუცილებლად გაგვახსენებს თავს. აუცილებელია გონებასა და მის მკვებავ მასალას შორის კავშირის დამყარება. საქმე ამ კავშირის გარეშე საქმიანობის გაგრძელება კი არ არის, არამედ ის, რაც გონებასთან დაკავშირებული მასალიდან იქნება აღმოცენებული თუ რაღაც გარეთა წყაროებიდან შემოტანილი. თუ გაკვეთილების თემას ბავშვის მუდმივად მზარდ ცნობიერებაში თავისი შესაბამისი ადგილი უჭირავს, თუ ის ბავშვის წარსული ქმედებებიდან, ამრებიდან და წუხილებიდან მომდინარეობს და მის შემდგომ მიღწევებსა და აღქმაშიც თავის ადგილს ჰპოვებს, „ინტერესის“ მისაღწევად მეთოდის არანაირი ინსტრუმენტი ან ხრიკი აღარ იქნება საჭირო. ფსიქოლოგიება უკვე არის ინტერესის შემცველი – ანუ მისი ადგილი მთელ ცნობიერ ცხოვრებაში, მის მიერ ამ ცხოვრების ღირებულებების გაზიარებას განაპირობებს. მაგრამ მხოლოდ გარეგნულად მიწოდებული, ბავშვისათვის ბუნდოვან შეხედულებებად და დამოკიდებულებებად გაგებული და შემუშავებული, უცხო მოტივებად ჩამოყალიბებული მასალა, თავის კუთვნილ ადგილს ვერ დაიკავებს. ხოლო ამ ადგილის დამკვიდრების სურვილი დამატებით ძალისხმევას, ხელოვნურ სავარჯიშოებსა და მოქრთამვასაც კი მოითხოვს.

შესაძლებელია, თემისათვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მისანიჭებლად გარეგანი საშუალებების მოშველიების სამი ასპექტის ჩამოთვლა ღირდეს. ფამილარობა უპატივცემულობას ბადებს, მაგრამ ის შეიძლება სიახლოვეშიც გადაიზარდოს. ჩვენ ვეჩვევით ჯაჭვებს, რომლებსაც ვატარებთ და რომლებიც გვაკლია, როდესაც მათგან ვთავისუფლდებით. ის, რომ ჩვევის გამო ბოლოს

გულში ვიკრავთ იმას, რასაც ადრე ზიზღის გამომეტყველებით ვატარებდით, ძველი ამბავია. მნიშვნელობის არმქონე აქტივობები არასასიამოვნოა, მაგრამ ისინი შეიძლება მისაღები გახდეს მათი ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ. შესაძლებელია, რომ გონებამ ინტერესი რუტინულ ან მექანიკურ პროცესად ჩამოაყალიბოს, თუ პირობები მოქმედების მხოლოდ ასეთ მეთოდს ითხოვს და ყველა სხვას გამორიცხავს. ხშირად მესმის ხოლმე დამაჩლუნგებელი მეთოდებისა და არაფრისმომცემი სავარჯიშოების იმ საბაბით გამართლება, რომ „ბავშვებს „ინტერესებთ“ ისინი“. დიახ, სწორედ ესაა ყველაზე უარესი; გონება, რომელიც ღირებულებების გამოყენებისათვის დახურულია და ადეკვატური ქმედების გემო არ იცის, ეშვება ცოდნისა და კეთების იმ დონეზე, რომელიც დარჩენია, და ინტერესს ძალაუვნებურად შეზღუდულ და შეკუმშულ გამოცდილებაში პოულობს. გავარჯიშებით დაკმაყოფილება გონების ნორმალური თვისებაა და თუ მას დიდ და მნიშვნელოვან საქმეს არ მივცემთ, იძულებული იქნება, ფორმალური ქმედებით დაკმაყოფილდეს — საკმაოდ ხშირად წარმატებასაც აღწევს. ასეთ შემთხვევაში უფრო ინტენსიურ აქტივობებს აღარ ახორციელებს და ეს ჩვენი სკოლის პროდუქტის უმარათაობასა და დეკლასირებას უწყობს ხელს. სიმბოლოების ფორმალურად გაგების, დამახსოვრებისა და შემდეგ აღდგენის ინტერესი ბევრ მოსწავლეში ხშირად რეალობისაკენ ნამდვილ და არსებით სწრაფვას ცვლის; ეს ხდება მაშინ, როდესაც სასწავლო კურსის თემა ინდივიდის კონკრეტულ გონებას არ უკავშირდება; აუცილებელია რაიმე შემცვლელის პოვნა და დამუშავება, რომ საგანსა და გონებას შორის მუშა ურთიერთობა შენარჩუნდეს.

საგნის სასიცოცხლო მოტივაციის მეორე შემცვლელი შედარების ეფექტია. თუ თვითონ გაკვეთილის მასალა საინტერესო არ არის, შეიძლება ის ასეთად რაღაც სხვა გამოცდილებასთან შედარებით გავხადოთ. რა თქმა უნდა, ბავშვისათვის გაკვეთილის სწავლა უფრო საინტერესოა, ვიდრე გალანძღვა, დაცინვა, სკოლის შემდეგ დატოვება, დაბალი ნიშნის მიღება და წინსვლის შესაძლებლობის არქონა. ბევრი რამ იქიდან, რაც საერთო სახელის — „დისციპლინის“ — ქვეშ ერთიანდება, თავს იწონებს რბილი, ძალისხმევითა და მოვალეობის ლოზუნგით გაერთიანებული, პედაგოგიკისადმი დაპირისპირებით, არც მეტი, არც ნაკლები, „ინტერესის“ სრულიად სხვა ფაქტორის საშუალებით (სხვადასხვა სახის ფიზიკური, სოციალური, პირადი ტკივილებისადმი შიში და სიძულვილი) აღძვრება. საგანი თავისთავად მიმზიდველი ვერ იქნება; ის არ არის მზარდი გამოცდილების საწყისი და საყრდენი. მიზიდულობა არსებობს უამრავი გარეგანი და შეუსაბამო ქმედებისადმი, რაც გონებას იმ მასალასთან აბრუნებს, რომელსაც იგი მუდმივად გაურბოდა.

ადამიანის ბუნება ცდილობს, მოტივაცია მისაღებში ეძებოს, და არა მიუღებელში; სასიამოვნოში, და არა უსიამოვნოში. აქედან წარმოიშვა ე.წ. „საინტერესოს“, ამ ტერმინის ყალბი გაგებით, თანამედროვე თეორია და პრაქტიკა. ჯერ კიდევ დარჩენილია მასალები, რომლებიც გარეგნული მახასიათებლების მიხედვითაა შერჩეული და ფორმულირებული. ის ისევ უფრო გეოგრაფიის, არითმეტიკისა და გრამატიკის მხოლოდ შესწავლაა, და არა ენასთან, დედამიწასთან და დათვლილ და გაზომილ რეალობასთან დაკავშირებული გამოცდილების პოტენციური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარეობს მათზე ზემოქმედების სირთულეები გონებისათვის; ამის შედეგი კი ამ მეთოდის მიუღებლობა, გონების გაფანტულობის ტენდენცია, სხვა ქმედებებისა და იმიჯების დახვავება და გაკვეთილის გამორიცხვაა. საუკეთესო გამოსავალი მასალის ტრანსფორმირება, მისი ფსიქოლოგიზებაა – ეს კი, ბავშვის ცხოვრების ფარგლებში ამ მასალის გატარებას გულისხმობს. მაგრამ უფრო ადვილი და მარტივია მისი უცვლელად დატოვება და შემდეგ მეთოდების, ხრიკების დახმარებით ინტერესის აღძვრა, მასალის საინტერესოდ ქცევა, მისი შაქრის მინანქრით დაფარვა, გარდამავალი და თემასთან ნაკლებად დაკავშირებული ინფორმაციით მისი უშინაარსობის დამალვა. დაბოლოს, საწინააღმდეგო სხვა რაღაცას უსინჯავს გემოს, ერთი უგემური ლუკმა გადავაცლაპოთ, მოვანელებინოთ და ბოდიშიც არ მოვუხადოთ. გონებრივი ასიმილაცია ცნობიერების საკითხია. თუ ყურადღება აქტუალური მასალისადმი არ იყო მიპყრობილი, ის ვერც აღიქმება და ამიტომ ვერც ჩვევად იქცევა.

მაშინ როგორი იქნება ვერდიქტი საქმეში – ბავშვი კურიკულუმის წინააღმდეგ? ტყუილია, რომ ჩვენ მხოლოდ ორი არჩევანი გვაქვს – ბავშვი მართვის გარეშე, სპონტანურობის ამარა მივატოვოთ, ან მისი განვითარება გარედან ვმართოთ. გამოსავალი ქმედებაში, ადაპტაციასა და რეგულირებაშია. არ არსებობს წმინდა, აბსოლუტური აქტივობა. ნებისმიერი ქმედება რაღაც გარემოს, სიტუაციის პირობების გათვალისწინებით ხდება. მაგრამ სიმართლის გარედან თავს მოხვევა შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა აქტივობით პასუხობს გონება გარედან მიწოდებულ პირობებს. სწავლების კურსად ჩამოყალიბებული ცოდნის მოცულობა მაშინაა ღირებული, როდესაც ის მასწავლებელს გარემოს განსაზღვრისა და ამ გზით ბავშვის არაპირდაპირი მართვის საშუალებას აძლევს. ის, პირველ რიგში, მასწავლებლისთვისაა ღირებული, და არა ბავშვისათვის. ის ეუბნება მასწავლებელს: ამ ბავშვებისათვის მოცემულია ტემპარიტების, მშვენიერებისა და ქცევის ეს მოცულობა, ახლა შენ იფიქრე და შექმენი პირობები, რომლებიც მათ ამ მიმართულებით, საკუთარი აქტივობების მეშვეობით, მაქსიმალური შედეგის მიღწევაში შეუწყობს ხელს. საშუალება

მიეცით ბავშვის ბუნებას, თავისი დანიშნულება აღასრულოს და დღევანდელი სამყაროს მიერ მხოლოდ თავისად მიჩნეულ მეცნიერებას, ხელოვნებასა და ინდუსტრიას დაეუფლოს.

საქმე ეხება ბავშვს. მისი უნარები უნდა გამოვლინდეს, მასში არსებული ნიჭი განვითარდეს, დამოკიდებულებები განხორციელდეს. თუ მასწავლებელი კაცობრიობის მიერ შემუშავებულ და შემდეგ სასწავლო პროგრამად ჩამოყალიბებულ ცოდნას მყარად და მტკიცედ არ ფლობს, მან არც ბავშვის დღევანდელი უნარი, ნიჭი და დამოკიდებულებები იცის და არც მათი გამოვლენის, განვითარებისა და განხორციელების შესახებ აქვს ცოდნა.

ჯონ დიუი
სკოლა და საზოგადოება.
ბავშვი და კურიკულუმი

ამერიკული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენის მქონე ადამიანს, ცნობილ ფილოსოფოს ჯონ დიუის (1859-1952) სჯეროდა, რომ „ბავშვის განათლება თანამედროვე ფსიქოლოგიის მიერ შემუშავებული გონებრივი აქტივობის პრინციპებისა და ზრდის პროცესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს“. როგორც ჩიკაგოს უნივერსიტეტის სკოლა-ლაბორატორიის დამარსებელი და მმართველი, ის მივიდა დასკვნამდე, რომ სწავლა არის პროცესი, რომელიც არცოდნიდან იწყება და მისი დაძლევისათვის საჭირო იმპულსზე დაყრდნობით ვითარდება. აქედან გამომდინარე, ის დარწმუნებული იყო, რომ სწავლა გამოცდილების შექმნით უნდა დაიწყოს და სასწავლო გეგმა ბავშვის ინტერესების შესაბამისი უნდა იყოს.

ამ წიგნში მოცემულ ორი მცირე მოცულობის, მაგრამ უკიდურესად დიდი გავლენის მქონე ნაშრომი დიუის მიერ დაარსებული სკოლის პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობითაა დაწერილი. მათში ხაზგასმულია განათლების ექსპერიმენტულ, ბავშვზე ორიენტირებულ პროცესად აღქმის რევოლუციური აუცილებლობა. „სკოლა და საზოგადოებაში“ დიუი აღნიშნავს, რომ ჩვენ „თითოეული სკოლა მინიატურულ სოციალურ ცხოვრებად უნდა გადავაქციოთ, სადაც აქტიურად შემოვიტანთ საქმიანობებს, რომლებიც უფრო დიდ საზოგადოებას ასახავს და ხელოვნების ისტორიისა და მეცნიერების სულითაა გაჟღერებული“. „ბავშვი და კურიკულუმი“ ის ხაზს უსვამს სასწავლო პროგრამას, როგორც საშუალებას, რომელიც ბავშვის გარემოს განსაზღვრავს და მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დაეხმაროს ბავშვებს თავის გამოვლენაში, ნიჭის განვითარებასა და თავისი ბუნებრივი დანიშნულების აღსრულებაში.

ამ ერთ მოხერხებულ წიგნში მოქცეული, პედაგოგიკის დარგში ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის დამაფიქრებელი მოსაზრებები უზარმაზარ ინტერესს გამოიწვევს განათლების წარმომადგენლებში, ფსიქოლოგებში, მშობლებსა და ყველაში, ვინც ფსიქოლოგიით, ფილოსოფიითა და ბავშვების განათლებითაა დაინტერესებული.

WWW.TPDC.GE

WWW.MASTSAVLEBELI.GE